

# № 3

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

**ი. გედევანიშვილი**—რა იყო და რა მოხდა.
**აკოფ-აკოფიანი**—ქალაქი.
**შალვა დადიანი**—სახალხო თეატრი.
**ლ. ტროცკი**—მეშვიდე წელი.
**მ. ადამაშვილი**—კვაჭი კვაჭანტირაძე
**პ. ქიქოძე**—ექსპრესიონიზმი.
**გეორგ გეიმ**—ქალაქის დემონები.
**ივან გოლლ**—მდინარე.
**ვ. მაიაკოვსკი**—ავტობიოგრაფია.
**სანდრო შანშიაშვილი**—სპარტაკ.
**მოსე გოგიბერიძე**—ალბერტ აინშტაინი.
უცხოეთის ქრონიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

ორკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი.

| განცხადების ტარიფი: | ხელის მოწერა: | მისამართი: რედაქციის და კონტორის |
|---|---|---|
| ერთი გვერდი . . 100 მ. ჩერ. | სამი თვით . . . 1 მან. 20 კ. ჩერ. | რუსთაველის პრ. № 22. |
| ნახევარი გვერდი . 50 მ. „ | ერთი თვით . . . 40 კ. „ | მიიღება ხელის მოწერა დილის 9—3 საათამდე. |
| მეოთხედი გვერდი . 35 მ. „ | ცალკე ნომერი ყველგან 20 კ. „ | |

№ 3 შაბათი 1 დეკემბერი 1923 წ. № 3

# რა იყო და რა მოხდა

(„წარსულის და აწმყოს სერიიდან“)

## რა იყო

ძლივს იშოვა ვალიკო წნელიშვილმა ქალაქში ბინა. კარგა ხანია ეძებდა, მაგრამ ისეთი ბინის შოვნა, როგორიც მას სურდა ძნელი იყო. 2 ოთახი თავისი მოწყობილობით, ნათელი, თბილი, მოზრდილი, ქალაქის ცენტრთან ახლოს, მაგრამ მშვიდ და მიყრუებულ ქუჩაზე და ამასთან რაც შეიძლება იაფად. ჩაით, სადილით, ვანით, გათბობით, განათებით და დალაგებით... ორი კვირაა ოთახს ეძებს, ზოგან სახლის პატრონი არ მოსწონდა, ზოგან მეტად ძვირი იყო, ხან ადგილი ჭკუაში არ უჯდებოდა, ხან კიდევ მეტის მეტი უსუფთაობა ხვდებოდა და აი ორი კვირის ძებნის შემდეგ თითქოს მიაწყდა სწორედ ისეთს ოთახს, რომელიც სავსებით თუ არა მეტ ნაწილად მაინც მის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა.

კვირა დღე იყო, ვალიკომ ორი უბანი მოიარა, ათიოდე მეტი გასაცემი ოთახი დაათვალიერა და ბოლოს თითქმის საღამოსპირ მოღალულ დაქანცული ერთ პატარა სახლს მიადგა. გაკრულია განცხადება: ოთახი ყოველგვარი მოწყობილობით, ვანით, მარტოხელი მამაკაცისთვის. შეიძლება სადილით. ვალიკომ ზარი დარეკა და თან გადაწყვიტა: „რაც მოხდება, დავიქირავებ“ ადგილი, ქუჩა მოეწონა, სახლიც გარედან ფაქიზი და მყუდროიანი მოსჩანდა.

გაიღო კარი და ვალიკოს წინ დაუხვდა, კოპწიად მორთული, ლამაზი ქალი. „დასაწყისი მეტად კარგია!“ გაიფიქრა ვალიკომ და შესდგა ფეხი.

„რა გნებავთ?“ მოესმა ვალიკოს წკრიალა ხმა. მას შესცქეროდნენ ჟუჟუნა, ცოტათი თითქოს მოელამე თვალები.

— „ოთახი ქირავდება მგონია აქ.“ უპასუხა ვალიკომ და თავში უვლიდა: „ქმრიანია, გასათხოვარი თუ ქვრივი?“ ვალიკოს თვალი უნებლიედ მაღალ მკერდს ქალისას აშტერდებოდა. მოხდენილი ცოტათი დასრულებული ტანი ქალისა და მთელი მისი სიცოცხლით სავსე გარეგნობა იტაცებდა ვალიკოს თვალს. ქალმა ალბად იგრძნო თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ვალიკოზე, ოდნავ შეეღება წითლად სახე, ღიმილმა უმატა და შეეკითხა: „მარტო ბრძანდებით, თუ?..“ — „მარტო გახლავართ“... — „მობრძანდით, აი ეს ოთახია,“ ქალმა გაუღო კარი და შეიყვანა ოთახში. კარგა მოზრდილი ოთახი მოსჩანდა, ნათელი. ქალის გავლენას უნდა მიეწეროს, თუ ვალიკოს დაქანცვას, მაგრამ ოთახიც და მოწყობილობაც პირველ შეხედვითვე მეტად მოეწონა ვალიკოს. ქალი უხსნიდა და აჩვენებდა: „მეორე გასავალი აქ არის, აქ ვანა, საპირფარეშო. სამზარეულო იქით.“ ვალიკო თან დასდევდა, მაგრამ უფრო ქალს და მის მიხვრა-მოხვრას ატანდა ალტაცებულ თვალს, ვიდრე ბინას და მოწყობილებას. ერთ კარებში ქალი მოუბრუნდა ვალიკოს და ვალიკო კი ისე ახლოს მისდევდა, რომ ქალი ოდნავ შეეჯახა. ვალიკომ იგრძნო ქალის სუნთქვა, ქალის რბილმა თმამ ვალიკოს ტუჩს წაულიტინა და ვალიკოს ტანში ჟრუანტელმა დაუარა, აენთო ვალიკო და დაავიწყდა ოთახიც და საქმეც „მაპატიეთ,“ სიცილით ბოდიში მოიხადა ქალმა — „ოხ რა პასუხია,“ სულელურად წაილუღლუღა ვალიკომ. დაბრუნდენ ისევ პირველ ოთახში.

„მოსამსახურე ბრძანდებით“, შეეკითხა ქალი ვალიკოს.

ვალიკო შეკრთდა. „დიახ.“ უპასუხა ცოტა სიჩუმის შემდეგ.

„სადა მსახურობთ, თუ ეს საიდუმლოებას არ შეადგენს?“ რაღაც უცნაური ღიმილით შეეკითხა ქალი. ვალიკოს ყოყმანი დაეტყო. ქალი კვლავ უცნაური ღიმილით შესცქეროდა ვალიკოს.

— „ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოში,“ მიუგო ვალიკომ და თვალი თვალს გაუყარა.

ქალის სახეს თითქოს რაღაც აზრმა გადაჰკრა. არ ეჭაშნიკა ვალიკოს სიტყვები, თუ პირიქით თითქოს გაახარა, ადამიანი ვერ მიხვდებოდა. ვალიკომ საჩქაროდ დაუმატა: „თარჯიმანი გახლავართ!“

„ეგ, სულერთია, რასაკვირველია, მე მხოლოდ იმიტომ შეგეკითხეთ... ბევრი ისეთი თანამდებობის კაცია, რომ მასთან მრავალი ხალხი დაიარება. მე კი მშვიდი და წყნარი ცხოვრების მონატრული ვარ. ერთად ერთი სამი წლის ვაჟი-შვილის მეტი არავინა მყავს. მაგრამ იგი თქვენ არასოდეს არ შეგაწუხებთ, მეტად წყნარია“...

ლუცად გამოიყურებოდა, რომ ვალიკომ გაიფიქრა: „ჯერ-ჯერ, სხვაში დავიკლებ და ამას კი ხელიდან არ გაუშვებ.“ დათანხმდა, ბე მისცა და აღუთქვა ხვალ დილით გადმოვსახლდებიო.

ამ რიგად დაბინავდა ვალიკო ახალგაზრდა ქვრივ სოფიო მაისურაძესთან. სოფიო ტომით რუსი იყო, ქართველზე გათხოვილი. სოფიოს მამა ძველი პოლიციის მოხელე, საქართველოში მსახურობდა, მთლად გაქართველებული იყო და ქართველად მოჰქონდა თავი. ოჯახში თითქმის ყველა ქართულს ლაპარაკობდა. თვითონ სოფიოც მართალია არ იჩენდა, მაგრამ ქართული ენა კარგად ესმოდა, სოფიო ადრე გათხოვდა და გათხოვების ორი

## რკინის გზის მთავარი სახელოსნოები.

დროშის ფოტოგრაფია.



შეკეთებულ ორთქლმავალის გამოშვება დეპოდან.

„ო-ო, რა პასუხია, დაასწრო ვალიკომ... პირიქით ბავშვები მეტად მიყვარს... მეც მყუდროების და სიწყნარის მონატრული ვარ. ათასში ერთხელ თუ შემოივლის ჩემთან რომელიმე მეგობარი, ისე კი დარწმუნებული იყავით არაფრით შეგაწუხებთ“...—„ჭამა-სმა, განათება, გათბობა და დალაგება ხომ დაგჭირდებათ?“ ჰკითხა ქალმა. „დიახ, ყოველისფერი“, მიუგო ვალიკომ და თან მორცხვად დაუმატა: „რა ეღირება?“ ქალი კვლავ ღიმილით დააცქერდა ვალიკოს და უთხრა ფასი. ვალიკოსათვის დიდი ფული იყო, მაგრამ ქალის თვალებში იმდენი წამაქეზებელი ძალა იყო, ოდნავ გაწითლებული სახე ისე კეკ-

წლის შემდეგ დაქვრივდა. ქმარი მისი მაისურაძე ტრაგიკულად გარდაიცვალა, იგი ფარულ ორგანიზაციებში მუშაობდა და რაღაც მძიმე საქმეზე დაიჭირეს, გამოძიებამ თითქმის ერთ წელს გასტანა, ბევრი ტანჯვა და წვალება გამოიარა მისმა ახალგაზრდა ცოლმა. მთელი წლის განმავლობაში ჟანდარმები არ ასვენებდენ, ხან ჩხრეკდნენ, ხან სხვა და სხვა დაწესებულებებში დასაკითხავად იბარებდნენ, ერთ დროს ცოტა ხნით დაიჭირეს კიდეც მაგრამ მალე გამოუშვეს. ძლივს დასრულდა გამოძიება და ქმარი მისი სასამართლოს გადასცეს, მაგრამ საქმის გარჩევის დღეს მაისურაძემ სასამართლომდე ვერ მიაღწია,

იგი გზაში მცველებმა „გააქციეს“, როგორც მაშინ ამბობდნენ, მოჰკლეს და მკვლელობა იმით ახსნეს, რომ ტუსაღმა გაქცევა დააპირაო. დარჩა ობლად პაწია ვაჟიშვილითურთ სოფიო. მშობლები ამაზე უწინ დაეხოცნენ...

ახალგაზრდა კოპწია ქვრივმა მალე გაიტაცა ვალიკოს გული, მაგრამ სოფიო იმ გვარად იქცეოდა, რომ ვალიკო ვერაფერს უბედამდა. მხიარული სიცოცხლით სავსე, მუდამ მომღიმარე ქვრივი, კეკლუცი და მოხდენილი, თითქოს ერთის მხრითაც ვალიკოს მეტისყურადღებით ექცეოდა, მაგრამ ერთნაირი საზღვარი ჩათ შორის მუდამ რჩება და ამას ქვრივი ვალიკოს აშკარად აგრძნობინებდა.

თანდათან ვალიკო გაეცნო ქვრივის ცხოვრებას და მასთან ლაპარაკში ზოგიერთი ცნობები მისი წარსულისა რებას ადგილი არ ჰქონდა. სოფიო შედარებით კარგად სჭამდა და სვამდა, კარგად იცვამდა. პაწია-ვაჟიშვილს არაფერი აკლდა. სამი ოთახი ეჭირა ქალს, სამივე კარგად მოწყობილი კარგი ავეჯით და ნივთებით. მართალია ერთ ოთახს აქირავებდა და კარგ ფასსაც იღებდა, მაგრამ ეს მაინც რა გაუხდებოდა. ვალიკო თავს იმტვრევდა და ვერ გაეგო, თუ სად იყო შემოსავლის წყარო? ცნობის მოყვარეობის გარდა, აქ ცოტა იჭვიანობასაც ჰქონდა ადგილი ვალიკოს მხრით. ქვრივი არამცთუ მოსწონდა, არამედ მისდამი გრძნობა ვალიკოს გულში თანდათან ძლიერდებოდა და რა თქმა უნდა სოფიოს ვინაობის საბოლოოდ გამორკვევა მას მეტად აინტერესებდა. მდგმური და სახლის პატრონი ერთმანეთს დაუახლოვდნენ, მათ შორის ერთნაირი

## რკინის გზის მთავარი სახელოსნოები.

„დროშის“ ფოტოგრაფია.



ბაქანი 900 ფუთის ამწევი.

გამოარკვია, გაიგო მისი დაქვრივების ამბავი. სოფიოც თითქოს გულახდილათ ლაპარაკობდა თავის წარსულზე. თითქმის ერთმა თვემ განვლო, რაც ვალიკო დაბინავდა და არც ერთხელ შეუმჩნევია, რომ ვინმე სოფიოსთან სტუმრად ან რაიმე საქმისათვის მოსულიყო, თითონ ქვრივიც მეტ ნაწილად შინ იჯდა და იშვიათად თუ გავიდოდა კარს. ათასში ერთხელ თუ შეივლიდა მასთან მეზობლად მცხოვრები ვიღაც წვრილფეხა მოხელეს ცოლი, თორემ სხვა არავისათვის მოუკრამს თვალი.

მაგრამ ერთი რამ ვერ გამოერკვია ვალიკოს. გაეცნო ქვრივის ცხოვრებას და კარგად ამჩნევდა: სოფიო არსად მსახურობდა, დამხმარე და მზრუნველი არსად სჩანდა, ყოფა-ცხოვრებითაც თითქოს სავსებით პატიოსანი ქალი იყო, ეს აშკარად სჩანდა მეზობლების მისდამი პატივცემულ მოპყრობაში და მიუხედავად ამისა სოფიოს ცხოვრებაში აშკარად სჩანდა, რომ არავითარ ქონებრივ გაჭივ- ინტიმობა დამყარდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ვალიკოს აშკარად ეტყობოდა და რასაკვირველია სოფიოც კარგათ ხედავდა, თუ რაგვარი გრძნობები ულვივის ვალიკოს გულში, და თვითონაც სოფიო თითქოს ამის წინააღმდეგი არა იყო და კეკლუცობით აქეზებდა ვალიკოს, მაინც მათი ურთიერთობა ერთნაირს საზღვარს არ გადასცილებია და ვალიკო ამ მხრით ვერაფრით დაიკვეხებდა.

„მეტის მეტი მორცხვი ვარ, გაუბედავი, ლაჩარი“, ფიქრობდა ვალიკო: „ცარიელ სიტყვებს შიშით ვერ გავშორებივარ და აქ კი მოურიდებელი, თამამი იერიშია საჭირო. ქალებს ეს მოსწონს ხშირად!“.

და ხშირად, როდესაც სოფიო ოთახში ფუსფუსებდა ალაგებდა ანდა ვალიკოს ჩაით და სადილით უმასპინძლდებოდა ვალიკოს სისხლი აუჩუხჩუხდებოდა, თვალი აენთებოდა და მზად იყო „იერიშისათვის“. „ვტაცებ ხელს, ჩავიკრამ გულში და გამოუტყდები და მერე რაც გინდა მოხდეს“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფიოც თითქოს გრძნობდა ვალიკოს მდგომარეობას, მოუბრუნდებოდა და ღიმილით შემოხედავდა, თითქოს აქეზებდა, მაგრამ თანაც ღიმილი იმ გვარი იყო, რომ ვალიკო ფრთებს ჩამოუშვებდა და ველარასა ბედავდა. გავიდოდა სოფიო ოთახიდან და დარცხვენილი ვალიკო კვლავ მწარე ფიქრებს მიეცემოდა...

ბუნებით მორცხვი ვალიკო ბევრს ყოყმანობდა, თანაც არ შორდებოდა ის აზრი, რომ ბოლოს და ბოლოს, თუნდაც რომ გაებედნა თავის გულის წადილი შეესრულებინა, შედეგი? ცოლად ეთხოვა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამდენად დაუახლოვდა სოფიოს, თითქმის მთელი მისი წარსული ზეპირად იცოდა და დღევანდელი მისი ცხოვრება მის თვალწინ იყო, მაინც ვერ იტყოდა გადაჭრით თუ რაგვარ პიროვნებასთან ჰქონდა საქმე. მერალაცნაირად თითქოს შეიჭმუვნა სოფიომ სახე, თითქოს შეკრთა კიდეც, მაგრამ უმალ ღიმილი მოედო და მადლობით უპასუხა: „დიდს ბოდიშს ვიხდი, აი მეც ბილეთი მაქვს, მაგრამ ვერ მივდივარ... ბავში შეუძლოთ გამიხდა, ძილში შფოთავს, თითქოს ცოტა სიცხეც მისცა და აბა თავს ვერ დავანებებ... და გარდა ამისა, ხომ იცით, ჩემს მდგომარეობაში მყოფ ქალს მეტის მეტი სიფრთხილე სჭირია, ჩვენ რომ ერთად თეატრში გვნახონ, ლაპარაკს დაიწყებენ, ვინ იცის რას იფიქრებენ და ამიტომ ჩემდა საუბედუროდ უარი უნდა გითხრათ“. და ქალის თვალებში ისეთი სინანული აღმოჩნდა რომ მიუხედავად გაცრუებულ იმედისა, ვალიკოს გულში მაინც შესაძლებლობის ნაპერწკალმა იჩინა თავი. „კიდევ ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე და თუ არ დაიზარებთ და შესწუხთებით თან წა-

## რკინის გზის მთავარი სახელოსნოები

„დროშის“ ფოტოგრაფია.



საორთქლმავალო ამქარი.

ტადრე საქმეს ართულებდა და ბურუსში ხვევდა სოფიოს შემოსავლის უჩინარი წყარო, და შემოსავალი კი ეტყობა საგრძნობი იყო. მხოლოდ ერთი რამ იცოდა ვალიკომ: ყოველ კვირა, ხუთშაბათობით სოფიო აუცილებლად თეატრში მიდიოდა და ბრუნდებოდა უსათუოდ ღამის თერთმეტ ან თორმეტის ნახევარზე ე. ი. წარმოდგენის გათავებისას. იცოდა ეს კარგად ვალიკომ იმიტომ, რომ ყოველ ასეთ საღამოს სოფიო მას შინ დარჩენას სთხოვდა ბავშვი მარტო რჩება და მეშინიან არა შეემთხვიოსო. ყოველთვის სოფიო თეატრის ბილეთს აჩვენებდა ვალიკოს და ეკითხებოდა, რომელი ნუმერი ან რომელი რიგიაო.

ერთხელ ვალიკომ ფული ხელში ჩაიგდო, იყიდა ორი ბილეთი და ხუთშაბათს დაპატიჟა სოფიო თეატრში, თან შეჰპირდა მეზობელ ქალს მე თვითონ ვთხოვ ჩვენ მოსვლამდე ბავშს ყური უგდოსო, შეატყო ვალიკომ, რომ იღეთ ჩემი ბილეთიც, იქნებ გაასაღოთ ჩემიც და ერთი თქვენიც, თორემ ტყუილად ფული გვეკარგება“. თავჩაღუნული წამოდგა ვალიკო, თან სწუხდა რომ სიამოვნება სოფიოსთან ერთად ყოფნისა ასცდა და თან კი უხაროდ რა გონიერი და პატიოსნებით სავსე ქალიაო.

იქვე თეატრის შესავალში ვალიკომ გაყიდა ორი ბილეთი და თვითონ თეატრში შევიდა, ანტრაქტში კარგი ნაცნობი შეხვდა, მიიწვია ბუფეტში, გადაჰკრეს რამდენიმე ჭიქა არაყი. ვალიკოს ცოტა მოეკიდა, გამხიარულდა. გათავდა წარმოდგენა, ვალიკო ნაცნობთან ერთად თეატრიდან გამოვიდა და იქვე ახლოს რესტორანში შევიდნენ, ივახშმეს, კარგად შეექცნენ ღვინოს და ვალიკო საკმაოდ შეზარხოშებული დაბრუნდა შინ. ღამის ორი საათი იყო და ვალიკოს მეტად გაუკვირდა, როდესაც თავის ოთახში სინათლე დაინახა. შეაღო კარი და საწერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგიდასან სავარძელში სოფით დაუხვდა. წამოდგა სოფიო და თითქოს მორცხვად უთხრა: „ეს ეს არის ძლივს დავაძინე ბავშვი, მომწყინდა და ვიფიქრე, შევალ საწერ მაგიდას დავალაგებ და მოუცდი ბ. ვალერიანს, წარმოდგენის ამბავს მიამბობს თქო... მაგრამ...“ სიცილით დაუმატა; „არ მეგონა რომ წარმოდგენა ასე გვიან გათავდებოდა... მგონია მეტად მხიარულად ჩაგიტარებიათ წარმოდგენა“. და უმატა სიცილს. ვალიკომ მორცხვენით რაღაცა წაილუღლუღა.

„ბ. ვალიკო, ჩაი დაგიმზადეთ, ვახშამიც მზადაა. დაბრძანდით, ეხლავე მოგართმევთ... მაგრამ მაინც ერთი რამ უნდა გითხრათ, უნდა გაგაფრთხილოთ. ფრთხილად ვერ უვლით თქვენს ნაწერებს, შემოვედი, დავხედე თქვენს ნაწერებს, პირდაპირ აწეწილ დაწეწილი იყვნენ, ჩავალაგე უჯრაში“... დაატყო რომ ვალიკო ამ სიტყვებზე ცოტა შეკრთა, დაამშვიდა... „ნუ შეგეშინდებათ, თქვენი საიდუმლოებანი მაინც ვერ გავიგე.. სულ ქართულად ნაწერია და მე კი ქართულის კითხვა არ ვიცი, და საზოგადოდ არც ჩვეულებათ მაქვს სხვისი ნაწერების წაკითხვა. მხოლოდ მგონია, რომ ამ შემთხვევაში სიფრთხილეს მაინც თავი არ ასტკივა... მაშ აბა ჩაის მოგართმევთ“. და

„დროშის“ ფოტოგრაფია.



ტყიბულის სანახშიროები.

თან თვალებით წაუალერსა ვალიკოს. აინთო ვალიკო, ისედაც შეზარხოშებულს სიმთვრალემ თითქოს უმატა. წაიწია წინ, გადაეხვია სოფიოს და ჩაიკრა იგი გულში. მაგრამ მაგრად ხელი ჰკრა სოფიომ, გაუსხლტდა ხელიდან და საშინელი აღშფოთებით უთხრა: „არა გრცხვენიათ, რას ჩადიხართ... მე. კი დარწმუნებული ვიყავი თქვენს პატიოსნებაში, უშიშრად შემოვდიოდი აქ თქვენთან, განა როდესმე ფიქრად მოვიდოდა ასეთი რამ.... თქვენ კი.... თქვენ სხვაზე უკეთესი არა ჰყოფილხართ... ცოტა გადაჰკარით და დაივიწყეთ პატიოსნება? რითი დავიმსახურე ასეთი შეურაცხყოფა?... განა მოგეცით რაიმე საბუთი?!!

ქალის სიტყვები ქვასავით სცემდნენ ვალიკოს, უცბად გამოფხიზლდა, გამოერკვია, საშინლად შერცხვა, მაგრამ გრძნობდა რომ გაჩუმება და უკან დახევა უარესად შეურაცხყოფდა ქალს. ძალა მოიკრიფა.

„მაპატიეთ, სოფია ალექსანდროვნა“, ხმის კანკალით და მოწიწებით დაიწყო ვალიკომ: „მაპატიეთ და მოწყალება ინებეთ, მომისმინეთ... ვერ წარმოიდგენთ, თუ რა ტანჯვას ვიტანდი იმ დღიდან რაც აქ გადმოვსახლდი. გეფიცებით ჩემი ზრახვანი წმინდა და კეთილშობილურია და სიკვდილს ვირჩევ ყოველთვის თქვენს შეურაცხყოფას... დღეს ვერ მოვითმინე, გონება დავკარგე, მაგრამ.. დღესაც და ყოველთვის გეტყვით... რომ... თქვენზე უკეთესი... რომ...“ აქ სიტყვა გაუწყდა, ცრემლი მოერია...

— „ჰა, ჰა, ჰა,“ გადიხარხარა სოფიომ: „მაშ ამიტომ მომაყენეთ ასეთი შეურაცხყოფა... ვალერიან პეტროვიჩ, დაწექით, მოისვენეთ, გამოფხიზლება გჭირიათ... ხვალ ალბად სხვას იტყვით“, და ამ სიტყვებთან ერთად სოფიომ გასწია ოთახიდან. კარებში შეჩერდა, მობრუნდა და შეხედა ვალიკოს: „მხოლოდ თქვენი სიმთვრალის გამო გაპატიებთ ამ შეურაცხყოფას და უზრდელობას, მაგრამ დაიხსომეთ კარგად, რომ ამიერიდან ჩვენ შორის ცოტა სხვანაირი ურთიერთობა დამყარდება, ისე უშიშრად და გულდამშვიდებული თქვენ ოთახში ველარ შემოვალ... ახლა კი დაიძინეთ“... და გაიხურა კარი.

იქვე საწოლზე დაეშვა ვალიკო, სიმთვრალე უკვე სრულიად გაუქრა.

„რა ვქენი, რა ჩავიდინე?.. სირცხვილი, თავის მოჭრა... რა თვალით უნდა ვეჩვენო?.. ოხერი ღვინო?.. იმის მაგიერ რომ ზრდილობიანად, პატიოსნურად გული გადამეშალა, მომელაპარაკნა და საქმე გამეთავებინა... ასე უხეშად, ასე უმგზავსად, დათვურად მოვიქეცი“.. სწუხდა ვალიკო და იცემდა თავში. მთელი ღამე არ დაუძინია. დილა ადრიან წამოდგა, პირი დაიბანა და გულის კანკალით ელოდა, შემოვა თუ არა ჩვეულებისამებრ სოფიო? ვალიკოს მტკიცედ გადაწყვეტილი ჰქონდა მოლაპარაკება მასთან. „საქმის ასე დატოვება ყოვლად შეუძლებელია“, ფიქრობდა იგი: „თუ დამთანხმდა და ცოლად გამომყვა, ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ექნება და თუ არა, მაშინ... მაშინ მე აქ აღარ დამედგომება“...

კარი დააკაკუნეს. აუკანკალდა უფრო გული ვალიკოს. უმალ მიხვდა თუ ვინ უკაკუნებდა კარს. გაექანა, გააღო კარი და ოთახში ჩაით ხელში, შემოვიდა კვლავინდებურად მომღიმარე სოფიო. ვალიკომ, რომელიც ზედმიწევნით იცნობდა და ყოველი წვრილმანი შესწავლილი ჰქონდა სოფიოს გარეგნობაში, უმალ შეამჩნია, რომ სოფიო უფრო კეკლუცად არის მორთული, ეტყობა ცდილა უფრო მოეწონებინა თავი... „რას ნიშნავს? უკეთესია თუ უარესი ჩემთვის ეს? შეეკითხა თავის თავს ვალიკო.

„დილა მშვიდობისა“, მიესალმა სოფიო ვალიკოს; „ხელს არ გაძლევთ, მეტის მეტი აღელვება დაგჩვევიათ“, სიცილით და კეკლუცობით დაუმატა... „როგორ მოისვენეთ? თავი ხომ არ გტკივათ? ან იქნებ წარმოდგენამ აგაღელვათ ისე და თავი თეატრში გეგონათ?.. არა, არა, მაპატიეთ, დავივიწყოთ...“ კვლავ ხუმრობდა იგი.

— „სოფია ალექსანდროვნა“, დაიწყო ვალიკომ: „რამდენიმე წუთს გართმევთ და გთხოვთ დაბრძანდეთ და მომისმინოთ“... იმდენი ხვეწნა და მუდარა ისმოდა ამ სიტყვებში, რომ სოფიო დაეშვა სკამზე და დააცქერდა ვალიკოს.

„თქვენთან პირველმა შეხვედრამ„, დაიწყო ვალიკომ, „ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და რაც ხანი გადიოდა და უფრო ახლოს გეცნობოდით, თანდათან უფრო და უფრო მომწონდით და ბოლოს... ბოლოს ეს ჩემი აღტაცება უფრო ღრმა და სერიოზულ გრძნობად

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დროშის“ ფოტოგრაფია.



სომხეთის პროლეტარული პოეტი
აკოფ აკოფიანი
(30 წლის იუბილეისთვის)

# აკოფ აკოფიანი

**(30 წლის იუბილეისთვის).**

აკოფიანი არის პირველი სომეხი პოეტი, რომლის შემოქმედების ობიექტია ქარხ ნა და ქალაქი. არსებობს უშუალო კავშირი მის პოეზიისა და მისი ცხოვრების შორის. ის მთელი თავისი წარსულით, მთელი ტემპერამენტით — რევოლიუციონერია. მის პირვანდელ ლექსებში არის ნეკრასოვის მოტივები, მაგრამ მის პოეზიას თანდათან დაეუფლა ქალაქი. მისი მრისხანე ლექსების პათოსი რამოდენიმედ ვერხარნის მოგონებაა. მისმა პოეზიამ და ცხოვრებამ გამოსცადა საპყრობილე, ციმბირი, ბორკილები, მაგრამ უკანასკნელად იმარჯვებს სიყვარული და ბრძოლა.

აკოფიანს არ შეუქმნია ახალი ფორმა, უკეთ რომ ვსთქვათ მას არც შეეძლო ახალი ფორმის შექმნა. პროლეტარული ხელოვნების შექმნაში მას არ ყავდა ამხანაგები და მან შესძლო ამ ხელოვნებისათვის მტკიცე საძირკვლის ჩაყრა. მის შემოქმედებაში ჭარბობს სამოქალაქო მოტივები და ფორმაც მისი შემოქმედებისა — სამოქალაქო ლირიკაა. ეს გასაგებია, ვინაიდან აკოფიანმა მაშინ დაიწყო წერა, როდესაც პროლეტარულ ხელოვნებაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ აკოფიანის პოეზიაში თვალსაჩინოა პუბლიცისტური ელემენტი.

პირველად მისი დამოკიდებულება ქარხანასა და ქალაქისადმი იყო უარყოფითი: ქარხანა—ეს ჯოჯოხეთია,—სადაც იტანჯება მუშა, რომელსაც მისჯილი აქვს სულიერი და ფიზიკური გადაგვარება. შემდეგ იგი უმღერის აღფრთოვნებულ ჰიმნს ქარხანას, რომელიც— ქურაა, სადაც იჭედება პროლეტარიატის კოლექტიური ცნობიერება და ძლიერი ნებისყოფა. ქალაქი—ლაბორატორიაა, სადაც ათასი და ათიათასი მუშა ემზადება გადამწყვეტ ბრძოლისათვის ამ ქვეყნად სოციალურ თანასწორობის დასამყარებლათ.

ამგვარად აკოფიანი პროლეტარიატის მისწრაფებათა გამომხატველია, მისი პოეზიის მოტივები საყვარელი მოტივებია პროლეტარიატისათვის. ამიტომ მადლიერი პროლეტარიატი იუბილეს უმართავს თავის პოეტს.

## ქალაქი.

აი ქალაქი, როგორც დიდი პირამიდები.
ფოლადის მთები აიმართენ თითქოს ქალაქად.
ტელეფონები, ტრამვაები, მძიმე ხიდები.
თითქოს ცხოვრება ქარიშხალმა გადაალაგა.

ქალაქის ქუჩა—ვით მდინარე განაბრაზები,
სადაც იშლება მოძრაობის ტალღა—ნავარდი.
და შენობათა გიგანტებმა მკაცრი ხაზებით
მწვანე ბილიკი შემორკალეს ციურ ლაჟვარდით.

ავტომობილი აქ მობღავის ხარის ღრიალით,
ომნიბუსების, ტრამვაების რბენა, ტრიალი,
და იმათ შორის დასრიალებს, როგორც მერცხალი,
ველოსიპედი უეცარი—კაცით, თუ ქალით.

ჩქარი ეტლების, ტრამვაების მთელი კრებული
ჯადოქარ ხელის მბრძანებლობას ემორჩილება,
და ამ ტალღათა მოძრაობა გალაღებული
ქალაქის სუნთქვას ერთი წუთით არ ეცილება.

კმაყოფილია დღევანდელი ადამიანი
მთელი ცხოვრების ბატონი და ხარბი მწოველი.
დღეს იმისია თასი ტკბილი და ცეცხლიანი,
და გაუმაძღარს ეხარბება წუთი ყოველი.

სდგას ამ დიდების შემოქმედი ყოფნის გარეშე,
მხოლოდ მან შექმნა ეს კოშკები დიდ სართულებით,
იგი გერია ამ ცხოვრების და სიმწარეში
ვერ განიკურნა წინაპართა ძველი წყლულები.

მაგრამ მუშები დაბინავდენ, ვით ურდოები
ქალაქის გარეთ, და ქარხნებში აქ იჭედება
თვით მომავალი, მოაწევენ სულ სხვა დროები.
ბრძოლის ხანძარი ძველ ქვეყანას სწრაფად ედება.

**ა. აკოფიანი.**

---

იქცა... ერთი სიტყვით... სოფია ალექსანდროვნა, დავრწმუნდი, რომ თქვენს იქით გზა არა მაქვს... გაგიჟებით შემიყვარდით... გამაბედნიერეთ და... ცოლად გამომყევით... მართალია ბევრი რამ არ მაბადია—მაგრამ... ვეცდები, ვიმუშავებ, მთელ სიცოცხლეს შეგწირამთ“... გაჩუმდა ვალიკო და მოკრძალებით შეხედა სოფიოს.

ქალი მიყუჩებული იჯდა, ოდნავ გაფითრებული ჩვეულებრივი ღიმილი აღარ ჰქროდა, თვალები თითქოს ჩაუღრმავდა და მკერდმა სუნთქვა უხშირა...

„ბ. ვალერიან, მომისმინეთ მეც,“ დაიწყო სოფიომ: შიშით მოველოდი ამ წუთს, ვიცოდი რომ ადრე თუ გვიან იგი დადგებოდა... ვცდილობდი ყოველი ღონით თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდან ამეშორებინა, მაგრამ... ალბად ვერ მოვახერხე..... არ დაგიმალავთ პირველ დანახვისთანავე მეც მომეწონეთ, მაგრამ როდესაც ახსენეთ თქვენი სამსახური, მზად ვიყავი უარი მეთქვა თქვენთვის, მაგრამ.... ჩემდა საუბედუროდ პირველმა შთაბეჭდილებამ აზრი ამირია და მდგმურად მიგიღეთ... მართალია თავს იმით ვიმართლებდი, რომ თარჯიმანი ჟანდარმი არ არის მეთქი... მაგრამ დრო გადიოდა, ვგრძნობდი, რომ პირველი შთაბეჭდილება არამც თუ არა ქრებოდა, პირიქით უფრო ღრმავდებოდა და რაც უფრო პატიოსანი და მოსაწონი ხდებოდით ჩემს თვალში, იმდენად უფრო შიშს ვეძლეოდი, იმდენად უფრო ვნანობდი, რომ ოთახი მოგაქირავეთ... ბ. ვალერიან, ქმარი მიყვარდა, არ ვიტყვი რომ იგი თავდავიწყებით მიყვარდა, მაგრამ მაინც მიყვარდა და დიდს პატივსა ვსცემდი. უაღრესად პატიოსანი ადამიანი იყო და ჩემთვის მეტის მეტად ძვირფასი.... მომიკლეს. მომიკლეს ვით ნადი-

„დროშის“ ფოტოგრაფია.



ბორჩალო—გიაურარხის არხი.

რი და ვინ?.. ჟანდარმებმა... მე დანამდვილებით გავიგე, რომ ჟანდარმის როტმისტრმა დაარიგა მცველები და მოაკვლევინა ჩემი ქმარი და ეს იმ როტმისტრმა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში მატყუებდა და მეფიცებოდა, თქვენს ქმარს უსათუოდ გავანთავისუფლებო.... ჩემი ნაცნობი იყო წინად ეს როტმისტრი.... აი ხომ ხედავთ არაფერს გიმალამთ, იგი როტმისტრი ვიდრე გავთხოვდებოდი უკან დამსდევდა, წამ და უწუმ სიყვარულს მეფიცებოდა, მაგრამ უარი უთხარი, რადგანაც არ მომწონდა.... დამემუქრა და აკი გადამიხადა კიდეც.... ჩემი ქმრის საქმე სწორედ ამ როტმისტრის ხელში გადვიდა, მეტად მძიმე იყო ეს საქმე და ჩემ ქმარს აუცილებლად სიკვდილით დასჯა მოელოდა... მზად ვიყავ ყოველივე მსხვერპლისათვის, ოღონდ კი როგორმე დამეხსნა ჩემი ქმარი. საქმეში იყო ერთი წერილი პირდაპირ დამღუპველი ჩემი ქმრისათვის და თუ სასამართლოს ჩაუვარდებოდა სიკვდილით დასჯა აუცილებელი იქნებოდა და ეს წერილი 'გაჩხრეკის დროს როტმისტრმა მე ამომაცალა ჯიბიდან.... წელიწადი გასტანა გამოძიებამ, მთელი წლის განმავლობაში თითქმის ყოველ კვირაში ერთხელ მიბარებდა როტმისტრი ვითომ დაკითხვისათვის და ყოველი დაკითხვა ჩემი დამცირება და შეურაცხყოფა იყო. სულიერად მაწამებდა, ხან იმედს მაძლევდა, ხან მაშინებდა, მიჰერდა სიტყვებში, მატყუებდა, ერთი სიტყვით რას არ ჩადიოდა და ჯავრს იყრიდა ჩემზე. არ მალავდა, რომ ერთი ჩემი სიტყვა, ჩემი თანხმობა, დანებება, ერთი სიტყვით ნამუსის შეწირვა და ჩემი ქმარი სიკვდილს გადარჩებოდა. ქმრის ნახვის ნებას არ მაძლევდა და არც საქმის ნამდვილ ვითარების მეუბნებოდა. დავიტანჯე, სულით დავეცი, ნერვები საშინლად დამისუსტდა.... როტმისტრი კი არ ცხრებოდა. ასეთ წვალებაში გავატარე მთელი წელიწადი... ბოლოს ერთ დღეს როტმისტრმა დამიძახა, და გამომიცხადა ხვალ თქვენი ქმრის საქმე სასამართლოში იქნება გადაცემულიო. „ახლა თქვენზეა დამოკიდებული, გადარჩება თქვენი ქმარი სიკვდილს თუ არა... აი ის წერილი, რომელიც მის ბედს გადასჭრის. გნებავთ ამ წერილს თქვენ გადმოგცემთ, მხოლოდ....“ და მისი საზარელი თვალები მე დამაშტერდნენ, საზიზღრად იღიმებოდა როტმისტრი.... უნდა გითხრათ, რომ წინად მე მითხრეს როტმისტრი მექრთამეა და შეიძლება მასთან ფულით საქმის გაკეთებაო. ასეთ ადამიანისაგან რა თქმა უნდა მექრთამეობა მოსალოდნელი იყო და მეც მოვკრიფე რაც კი რამ სახლში ოქრო-ვერცხლეულობა მქონდა, გავყიდე... მამი ჩემისაგან დარჩენილი ცოტაოდენი ფულიც ზედ დავაფარე და სწორედ იმ დღეს თან წავიღე როტმისტრთან. სულ ხუთასი მანეთი იყო.

მეც გულუბრყვილომ, გამომიცხადა თუ არა როტმისტრმა საქმის სასამართლოში გაგზავნის შესახებ, მუხლი მოუდრიკე, შევეხვეწე და თან ის ფული მივაწოდე, ოღონდ კი წერილი დაებრუნებინა...

კვლავ საზარლად გადიხარხარა როტმისტრმა და უსირცხვილოდ წამიჩურჩულა: „ნუ თუ სოფია ალექსანდროვნა, ეგრე იაფად აფასებთ თქვენს თავს, მე ათასს მოგართმევთ, ოღონდ კი“... მეცა და მკლავი დამიჭირა. ვკარი მაგრა ხელი და უკან დავიწიე: „თუ ხელს მახლებთ დავიყვირებ და მთელს ქვეყანას შევყრი“, დავემუქრე მე...

დამანება თავი, დაჯდა სკამზე, საშინლად ბრაზობდა, დამანახვა წყეული წერილი და მითხრა: „საქმე გათავებულია, წერილს საქმეში ჩავაკერებ, თქვენ კი თავისუფალი ხართ... რაც მოხდება ნუ დამემდურებით“...

რა მექნა... რა წყალში ჩავარდნილიყავ, ვიცოდი როტმისტრი თავის სიტყვას შეასრულებდა და ქმარს სიკვდილით დასჯიდნენ... ველარ ავიტანე... დავთანახმდი!!... აქ სოფიომ სიტყვა შესწყვიტა, თვალებზე ხელი აიფარა და თითქოს ქვითინებდა. მივარდა ვალიკო, ჩამოაშორა თვალებს ხელები და დაუწყო ხელზე კოცნა: „კმარა, კმარა... დამშვიდდით, არ მინდა გავიგონო... ნუ მიამბობთ“... ეხვეწებოდა ქალს.

მაგრამ სოფიომ ხელით მოიშორა და უთხრა: „არა არა, ყველაფერი უნდა იცოდეთ... არა მიშავს რა“... ამოიოხრა და კვლავ განაგრძო: „როტმისტრმა“ დამინიშნა იმავე საღამოს პაემანი ერთერთ ქუჩაზე: „წერილს იქ მოგიტანთ აქ ვერ გადმოგცემთ, შეიძლება გაგჩხრიკონ და თუ გიპოვეს მეც და თქვენც დავიღუპებით“. დამაჯერა როტმისტრმა.

საღამოს შევხვდით და როტმისტრმა სასტუმროში წამიყვანა, იქ ნუმერში გადმომცა წერილი: „მე ჩემს სიტყვას პატიოსნად ვასრულებ“, მითხრა და ხელები ჩემსკენ გამოიშვირა, ალბად ელოდა გულში ჩავეკვრებოდი... მე წერილი დავხიე და იქვე ანთებულ ბუხარში ჩავაგდე..;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვუბრუნდი როტმისტრს, თვალები დავხუჭე, თითქოს წყალში ვარდებოდი, გული მიმდიოდა... უცბად ვიგრძენ როტმისტრის დორბლიანი ტუჩები, ჩემ ტუჩებთან... ვეღარ შევძელი, მთელი სიძულვილი ამ მტარვალის მიმართ ყელზე მომადგა, ვკარი ხელი. ვეცი კარს, გადავატრიალე გასაღები, გავარდი ქუჩაში და გამოვიქეცი... ვიცოდი საქმე სასამართლოში უკვე გადაცემული იყო, სატუსალოდან ქმრისაგან მომივიდა ეს ცნობა, მატყობინებდა ხვალ სასამართლოში მივყევარ და იქ მოდიო. მეორე დღეს სასამართლოში წავედი, საქმე დილის ათი საათისათვის იყო დანიშნული, მაგრამ შესრულდა ათი, თერთმეტი, მეთორმეტე დაიწყო, მაგრამ სხდომა არ იწყებოდა და ტუსაღებიც არა სჩანდნენ. სასამართლოში რაღაც ჩოჩქოლი დაიწყო. მდივანი ხან გავარდება დარბაზიდან ხან შემოვარდება. ბოლოს ხალხს გამოუცხადეს, საქმე გადაიდვაო. მე მივმართე მდივანს ვკითხე საქმის გადადების მიზეზი და... თქვენს მტერს ელდა ეცეს, რა გავიგონე, მდივანი არ მიცნობდა. „ტუსაღ მაისურაძეს გზაში გაქცევა დაუპირებია და მცველებს მოუკლამთ“-ო. მეხი დამეცა თავს, გული შემიწუხდა, გონს რომ მოვედი, ვხედავ ეტლში მსვამენ, თან ვიღაცა მამშვიდებს, მისამართს მეკითხებიან. ეტლის ირგვლივ ხალხია შეგროვილი და ყველა მე შემომცქერის. მექანიკურად უთხარი ვიღაცასაც ჩემი მისამართი, ეტლი დაიძრა და სწორედ ამ დროს ხალხში თვალი მოვკარი საზარელ როტმისტრს... თითქოს იღიმებოდა... დავბრუნდი შინ, რა გადავიტანე და რა დამემართა და რასა ვგრძნობდი... ამაზე ლაპარაკი ზედმეტია... ქვეყანა შემეჯავრა, ყოველისფერი მომძულდა... მაგრამ ყველაზე მეტად მტარვალები. სიტყვა ჟანდარმი ტანში ჟრუანტელსა მგვრის და გასაგონათაც კი მეჯავრება... ახლა წარმოიდგინეთ, თუ რა ვიგრძენი, როდესაც თქვენ პირველ მოსვლისას დამისახელეთ ის საშინელი და საზარელი დაწესებულება, სადაც ამდენი ტანჯვა, დამცირება და უბედურობა გამოვიარე... მაგრამ გითხარით ჩემდა საუბედუროთ თუ საბედნიეროდ თქვენ სხვა თვალი მოგკარით, შემოგიშვით, ახლოს გაგიცანით, დაგიახლოვდით, თვალყურს გადევნებდით და... საუბედუროთ ვერ ვამჩნევდი რომ თვალყურის გდება თანდათან მიტაცებდა, მავიწყებდა ვინა ხართ და... აი იქამდის მივედი, რომ... რომ... თქვენმა... ...გრძნობამ გამიტაცა, გული ამიტოკა და“... აქ ქალი უცებ წამოხტა, სტაცა ვალიკოს ხელს, მაგრად მოუჭირა და შესძახა: „ვინ იცის, იქნებ თქვენ... თქვენ ჩემი ქმრის წერილებსაც თარგმნიდით, იქნებ თქვენც მონაწილე ხართ მისი მკვლელობისა?.. რით დამიმტკიცებთ, რით დამაჯერებთ?!!

ნაზად მოჰხვია ვალიკომ სოფიოს ხელი, დასვა კვლავ სკამზე, თითონ დაუჩოქა: „გეფიცებით ჩემს გრძნობას, ჩემს პატიოსნებას“, აღელვებული ხმით დაუწყო ვალიკომ: „თქვენი უბედური ქმრის საქმესთან საერთო არაფერი მაქვს და არც არაფერი ვიცოდი მის შესახებ... სულ სამი წელიწადია რაც იმ თქვენი სიტყვით „საზიზღარ“ და მართლადაც საზიზღარ დაწესებულებაში ვმსახურობ“... აქ სოფიომ თვალი თვალს გაუყარა და თითქოს ყურები აცქვიტა, თან ხელი ხელს მოუჭირა და გაფაციცებით შესცქეროდა. ვალიკომ ცოტა სიჩუმის შემდეგ, თითქოს ძალა დაატანა თავს და განაგრძო: „ამას ძე ხორციელი ჩემგან ვერ გაიგონებდა, მაგრამ თქვენ კი, თქვენ... რადგანაც უზომოდ მიყვარხართ და უზომოდ

„დროშის“ ფოტოგრაფია.







1. (ზევიდან) აბრეშუმის ლასტები, 2. აბრეშუმის ქსოვა სოფლად, 3. ყაჭის დართვა მანჯანიკზე.

გძულთ ის რაც მე, თქვენ კი გეტყვით“... აქ კვლავ შეჩერდა ვალიკო, ეტყობა სიტყვა მეტად ემძიმებოდა და თავს ძალას ატანდა, ქალის თვალები კი აქეზებდნენ, ეხვეწებოდნენ, ემუდარებოდნენ, თითქოს ეუბნებოდნენ: „მითხარი, დამაჯერე, მომხსენი საშინელი ტვირთი“, ვერ გაუძლო ამ თვალებს ვალიკომ და...

„ვმსახურობ იქ არა იმიტომ, რომ დავეხმარო მათ და მონაწილე ვიყო მათი საზარელი საქმეებისა, არამედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმიტომ რომ ხელი შეუწყო ყოველი საშუალებით მათ დანგრევას და საბოლოოდ აღმოფხვრას... მე რევოლიუციონერი ვარ!“ მტკიცედ დაუმატა ვალიკომ და ღრმად ამოისუნთქა, თითქოს დიდი აღმართი ამოიარაო.

სოფიო წამოხტა. მეტად გახარებული იყო და თვალებში შესცქეროდა ვალიკოს: „წარმოიდგინეთ, ვიცოდი, ვიცოდი... გული მითქვამდა“, დაუმატა, როდესაც შეატყო, რომ ამ სიტყვებზე ვალიკომ ყური აცქვიტა...

„მაშ ერთად, ხელი ხელს ჩაკიდებულნი, საერთო მტრის წინააღმდეგ?“ შესძახა ვალიკომ, სტაცა ხელი და გულში ჩაიკრა ქალი. მაგრად ჩაეკონა ტუჩებში, მაგრამ სოფიო ხელიდან გაუსხლტდა და სიცილით დაუწყო: „მეტის მეტად მოუთმენელი ხართ და ამიტომ წრეს გადადიხართ... ვინ მოგცათ ამის ნება?.. ხუმრობა იქით, ბ. ვალერიან, მაგრამ ყოველ გვარ გაუგებრობის თავიდან ასაცდენათ, მოდით სერიოზულად მოვილაპარაკოთ... ჯერ ერთი მე მარტო არა ვარ... შვილი მყავს“.., ვალიკომ სიტყვა გააწყვეტინა: „თქვენი შვილი, ჩემი შვილი იქნება“—„ძალიან კარგი, ახლა ჩემს შესახებ... ჩემს გრძნობაში ვიმედოვნებ დარწმუნებული ხართ, მაგრამ ყველა ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ჩემი თავისათვის ჯერ სწორი ანგარიში არ გამიწევია... მე უარს არ გეუბნებით, თქვენს იქით ეხლა გზა არა მაქვს და თუ გავთხოვდები, მხოლოდ თქვენ იქნებით ჩემი რჩეული... მაგრამ ცოტა მადროვეთ... გამოვსცადოთ ჩვენი გრძნობანი“... და ღიმილით დაუმატა: „თქვენ კი სიტყვას მომცემთ, რომ მოთმინებით აღიჭურვებით და თავს შეიკავებთ დრომდე“... და ამ სიტყვებთან ერთად ქალი ოთახიდან გავარდა...

ვალიკო სიხარულით ცასა წვდებოდა, მაგრამ ზოგჯერ გულის სიღრმეში რაღაც უსიამოვნო უღიტინებდა და ერთნაირ უკმაყოფილებას ჰბადებდა.

„თუ უყვარვარ, რაღა ყოყმანია საჭირო“... „რაღას უნდა უცადოთ?“... გრძნობდა ვალიკო რომ რაღაც თითქოს აკლდა ამ ურთიერთ შორის გრძნობების გამხილვას... როგორღაც ისე არ მოხდა.., თითქოს აკლდა რაღაცა...

„ე—ე, პირველი ნაბიჯი იყო ძნელი, თორემ მეორე ადვილად და მალე მოჰყვება“... ფიქრობდა ვალიკო.

მაგრამ განვლო რამდენიმე დღემ, კვირამ და მათი ურთიერთობა არაფრად შეცვლილა. მართალია სოფიო უფრო მეტს მზრუნველობას იჩენდა ვალიკოს მიმართ, უფრო ალერსიანად ექცეოდა, უფრო მეტს ხანს ატარებდა მასთან, ერთად კითხულობდნენ, ერთი ორჯელ ქუჩაშიაც კი ერთად გაისეირნეს, მაგრამ ყველა ეს არ შორდებოდა ერთნაირ საზღვარს და ჩვეულებრივ კარგ მეგობართა ურთიერთობას წააგავდა. და თუ ვალიკო ცოტა არ იყო, ამ წრის გადასვლას დააპირებდა, სოფიო ნაზად, ალერსით მაგრამ მტკიცედ კვლავ იმ წრეში აყენებდა.

დადგა ხუთშაბათი და სოფიომ ვალიკოს სთხოვა: „დღეს ახალ ოპერას სდგამენ, მეტად მიყვარს მუსიკა, მინდა ვნახო და თუ არ დაგზარდებათ ჩემს ბიჭიკოს თვალყური ადევნეთ“... ვალიკო რასაკვირველია დათანხმდა.

პირველი მოქმედება დამთავრდა, ხალხი თეატრის ფოიეში გამოიშალა. სოფიოც ლამაზად მოკაზმულ-ჩაცმული აქვეა და ხალხს ათვალიერებს და თითქოს ვიღაცას ეძებს. აგერ დაინახა, გაუცინა... წამოსადეგი, შედარებით ჯერ კიდევ ყმაწვილი კაცი, უკანასკნელ მოდის სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი მოუახლოვდა სოფიოს. მიხვრა მოხვრაში და სიარულში ეტყობოდა, რომ სამხედრო სამსახურში ნამსახურია. თვალებზე სათვალე ჰქონდა.

„ა—ა, ძვირფასო კნეინა, რუსულად მიმართა კაცმა სოფიოს და ხელზე აკოცა...

## თბილისის დეპო.

„დროშის“ ფოტოგრაფია.



საქვაბო ამქარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—„რა ამბავია კნიაზო, არა სჩანდით პირველ მოქმედების დროს? გათვალიერებდით, მაგრამ ვერ დაგინახეთ? შეეკითხა სოფიო.

„წარმოიდგინეთ დამიგვიანდა, სტუმრად ვიყავი“, თითქოს ხმა დააჭირა ამ სიტყვებს კაცმა.

„ხომ კარგად გაგიმასპინძლდნენ? დარწმუნებული ვარ კარტში მოიგეთ! ღიმილით ჰკითხა სოფიომ.

—„დღეს კარგი იღბალი მქონდა, სამჯერ ვითამაშე და სამჯერვე ისეთი ტუზები მომივიდა, რომ მთლად გავანადგურე მოპირდაპირენი“, კვეხნით მიუგო კაცმა.

—„თქვენ კნეინა, როგორ გიკითხოთ, როგორ მიდი სსაქმე?“ შეეკითხა კაცი და დააცქერდა სოფიოს: „ჰა, მოედო ანკესს?“

„მოედო, კნიაზო“ უპასუხა სოფიომ და სახე გაუწითლდა.

—„მაგრად მოედო?“ კვლავ შეეკითხა კაცი.

„მაგრად“, უპასუხა სოფიომ და თითქოს ამოიოხრა.

—„რატომ ისე სთქვით, თითქოს გენანებათ? შეატყო კაცმა: „იქნებ ანკესმა თქვენც ოდნავ გული გაგიღადრათ?“ თითქოს დაცინვით შეეკითხა კაცი. უფრო გაუწითლდა სახე სოფიოს, უხერხულობა დაეტყო. მაგრამ თავს ძალა დაატანა და მიუგო:

„რა პასუხია, კნიაზო! ეგ რამ გაფიქრებინათ.... მაგრამ არ შეიძლება“, თითქოს ღიმილით დაუმატა სოფიომ; „გამანთავისუფლოთ ამ საქმისაგან?.... მგონია არა ღირს შრომათ“?....

— „რას ბრძანებთ, კნეინა, როგორ შეიძლება. თქვენ არ იცით თუ რა სერიოზული საქმეა.... და ეხლა, როდესაც თითქმის ბოლომდე მივიყვანეთ და ხვალ თუ ზეგ ბრწყინვალედ უნდა დამთავრდეს... ეხლა მივანებოთ თავი? ყოვლად შეუძლებელია.... მაინც რაშია საქმე, რატომ ისე აიცრუეთ გული, პირველში ისე მხურვალედ მოჰკიდეთ ხელი და ეხლა უკან იხევთ?.. რაშია საქმე, რა მოხდა“?... „არაფერი, კნიაზო, უპასუხა სოფიომ: მაგრამ.... მაგრამ, გული მითქვამს, რომ ამ საქმეს წავაგებთ“....

— „რა სათქმელია, კნეინა.... ყველაფერი მზად არის, თქვენ მხოლოდ ანკესზე მოდებული ლოქო მაგრად დააბით, არ გაგექცეთ... ხვალ არა მცალიან და ზეგ კი დარწმუნებული ვარ ამ დიდ ლოქოს ამოვათრევ“!....

ზარი დაჰკრეს, ანტრაქტი გათავდა, კაცი გამოემშვიდობა სოფიოს და უთხრა: „ამ მოქმედების შემდეგ წავალ, საქმე მაქვს და აბა, კნეინა, თქვენ იცით, მაგრად დააბით.... მაგრად“!.. აკოცა ხელზე და კვლავ ხმის დაჭერით განიმეორა: „მაგრად“!!

უახლოვდებოდა სოფიო თავის ბინას და სიტყვა „ზეგ, ზეგ“! არ შორდებოდა მის ყურს.....

*
* *

ჟანდარმთა საგუბერნიო საკრებულოში უკვე ერთი თვეა რაღაც უცნაური ამბები ხდება, დრო გამოშვებით მეტად საიდუმლო და მნიშვნელოვანი ქაღალდები თითქოს ქრება. კვირა ისე არ გაივლის, რომ რომელიმე მოხერხებულად მოწყობილი საქმე არ ჩაიფუშოს, მარჯვედ გადასროლილი ბადე ისეთ ალაგას იხევა, სადაც არავინ მოელოდა და მსუქანი ვებერთელა თევზი წყალში მიდის თავისუფალი.... გამომძიებელი როტმისტრი საქმეს ამთავრებს და აგვირგვინებს, ყველა ბრალდებული ხელში ჰყავს და სულ ცოტა რამეღაა გამოსარკვევი, რომ უცბად აღმოჩნდება ისეთი რამ, რაიც საქმეს თავიდან ბოლომდე არღვევს და მშვენივრად მოქსოვილ ქსელს ნაკუწ-ნაკუწად აქცევს....

ეძებენ, უთვალთვალებენ, აშკარა, ფარული გამოძიება სწარმოებს, გამოძიება სასტიკი; უკვე რამდენიმე მოხელე

## თბილისის დეპო.

„დროშის“ ფოტოგრაფია.



ქურა.

და საიდუმლო აგენტი იჭვით დაითხოვეს სამსახურიდან. თითქმის ერთხანობით შესწყდა საბუთების დაკარგვა და სამმართველოდან ცნობების მიწოდება, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ კვლავ იჩინა თავი, მაგალითად ერთხელ მიიღეს

„დროშის“ ფოტოგრაფია.



სახალხო სახლის. ძველი შენობა.

ცნობა მეტად სანდო აგენტისაგან, რომ ამა და ამ ადგილას საიდუმლო სტამბა მუშაობსო. მიუყენეს მოთვალთვალენი, დღე და ღამ არ შორდებოდნენ, დარწმუნდნენ, რომ მართლა სტამბაა—დაეცნენ იმ ღამესვე, მაგრამ....

„დროშის“ ფოტოგრაფია.



სახალხო სახლი. ზუბალაშვილის შენობა.

სტამბა არ აღმოჩნდა, გამოძიებამ გამოარკვია რომ სტამბა მართლა იყო აქ, მაგრამ დაცემის სამი დღის წინად გაუპარებიათ და ისე კი რომ ვერვინ შეამჩნია.

კვლავ დაითხოვეს რამდენიმე მოხელე და აგენტი.

თითქოს ეშველა საქმეს და შესწყდა საბუთების და ცნობების სამმართველოდან გატანა, მაგრამ განვლო ერთმა კვირამ და კვლავ იჩინა ისეთივე მოვლენამ თავი.

ჟანდარმთა პოლკოვნიკმა აღარ იცოდა რა ექნა.

ვინც კი ცოტათი მაინც საეჭვო იყო, ყველა დაითხოვეს. პასუხისგებაშიაც კი მისცეს ერთი როტმისტრი, რომლის განყოფილებიდან მნიშვნელოვანი ხელთ ნაწერი დაიკარგა, მაგრამ საქმე მაინც ვერ გამოსწორდა, ბოროტმოქმედება ვერ მოისპო.

თითოეულ მოსამსახურეს მიუყენეს საიდუმლო აგენტი, როტმისტრები დაფაცურდნენ....

**ი. გედევანიშვილი.**

(დასასრული იქნება.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო თეატრი.



სახალხო სახლი. ა. გოგიაშვილის ნახაზი.

ასეთი ნამდვილათ ხალხის მიერ წარმოშობილი დაწესებულება, მეცხრამეტე საუკუნის დანატოვარში, მე ბევრი არ მეგულება.

იგი შექმნილია დურგალისა, ზეინკალისა, მლებარისა და სხვა ესეთ მუშათა მიერ.

იდეა ამ თეატრის წარმოშობისა შთასახულია მუშათა გონებაში და საქმე განხორციელებულია მათი ხელით, მათი სხეულით, მათი სიტყვათა ბგერით, მათი სახიობით.

ამ საქმეს თანდაყოლილი აქვს, პირველ ხანებში, დაცინება და გულ-გრილი მოპყრობა ამ სოფლის ზემხედველთაგან.

მაგრამ ხალხის უშრეტი ენერგია, მისი ერთხელ შეგნებული საქმიანობისათვის თავ-დადება, ნამდვილის გლეხურის მოუწყინრობით და მუდმივობით აკეთებს დიდს საქმეს:

ჯერ თბილისის გარეთა უბნებში იმართება ქართული წარმოდგენები კანტი-კუნტად სხვადასხვა შეგნებულ მუშათა მიერ, შემდეგ ეს მუშები თანდათან ჯგუფდებიან ერთად და ბოლოს, ამიერიდგან საამურად მოსახსენებელ ავჭალის აუდიტორიაში, იყრიან თავს. აქ ჩაღდება უფრო სისტემატიურად მუშაობა, აქ უკვე ყალიბდება შემადგენლობა სახალხო წარმოდგენების მმართველ დასისა, აქ უკვე შეძლების და გვარათ ყურადღებას აქცევენ წარმოდგენების მხატვრულ მხარეს. იწვევენ სპეციალისტ რეჟისორებს და წარმოდგენების საქმე კიდევ უფრო იჩარხება, შალაშინდება.

აქ უკვე ინტელიგენციაც მუშებთან ერთად ხელიხელ ჩაჭიდებული უძღვის ამ ნათელ საქმეს და...

ჩვენ დღეს ბევრი ვიცით ისეთი თვალსაჩინო, საზოგადო მოღვაწე, რომელნიც წარმოუშვია და ხალხოსნურ მუშაობაში გაუკაჟებია სახალხო თეატრის მადლიან კალთას.

ბევრი დაბრკოლება, ბევრი ხელის შემშლელი პირობები გადაულახავს ამ ხნის განმავლობაში სახალხო თეატრს. „შინა განხეთქის ჭირი" აზრთა და მიმართულებათა სხვადასხვაობისაგან გამოწვეული; გარეგანი დევნა ჟანდარმერიისა და ცენზურისაგან და უფულობა, უფულობა გაუვალი, მოუშორებელი.

ამ ორ უკანასკნელ წელიწადამდე უნდა ვიცოდეთ, როპ ღვაწლ-მოსილი მოღვაწენი სახალხო თეატრისა სრულიად უსასყიდლოთ ემსახურებოდნენ თავიანთ საყვარელ საქმეს და ხშირად მათი ღატაკის ჯიბიდგან ამოუძიგძიგებიათ თითო-ოროლა გროში, რომ ერთხელ დაწყებული საქმე არ შეჩერებულიყო და „იდეას გაემარჯვნა".

და რამდენად მეტი ტანჯვა ყოფილა წარსულში ამ საქმის გარშემო, იმდენად მეტი სასიყვარულო და შეულევნელია ჩვენის შეგნებისათვის, ჩვენი კულტურული განძეულობისათვის სახალხო თეატრი.

იგი ამ ჟამად შედარებით ფრთა-გაშლილია და მომაგრებული: ჰყავს საკუთარი დასი ძველთა და ახალთაგან საიმედო და განმტკიცებულ უნარიანობით აღჭურვილნი, აქვთ ათეულ წელთა განმავლობაში საკუთარი, მშვენიერად განხორციელებული რეპერტუარი, განსაკუთრებით ქართველი ავტორებისა, რომელთა შორის ავქს. ცაგარელი, იოს. გედევანიშვილი და ტრ. რამიშვილი უხვად და ნიჭიერად მასპინძლობდენ აუდიტორიას. არის ცდა თეატრში ახალი გეზის ძებნისა. ერთის სიტყვით თეატრი თეატრობს, მაგრამ სამწუხარო მაინც ის არის, რომ ამ მუშათა მიერ შექმნილ საქმეს მუშათა მთავრობა, სათანადოთ ვერ ეხმარება.

მართალია, სახალხო თეატრმა წარსულში დიდი და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა,—მისი ისტორია ამითი არ უნდა დათავდეს. იგი მოწოდებულია იქცეს თბილისის მეორე ქართულ დრამათ თანატოლათ თავის შემადგენლობით, მუშაობის ინტენსიობით, ჩვენი პირველი აკადემიური დრამისა და თუ ამ უკანასკნელს ექმნება ძალა და ღონე ევროპიულ დიაპაზონით გაქანებისა, ამას არც მეორე, დღეს სახალხო თეატრის დრამად წოდებული უნდა ჩამორჩეს, ხოლო უმთავრესად, ჩემის ფიქრით ამ თეატრმა კიდევ უფრო უნდა გაალვიოს კერა მშობლურ დრამატურგიისა და შეიქმნეს მისი ლამაზი ჩარჩო მსახიობთა ნიჭიერებით გაპოხიერებული, რეჟისორთა დიდი ცოდნით და უნარიანობით გამაგრებული, თეატრალობის მადლიან ნათელით გასხივოსნებული.

მეტი ყურადღება ამ საქმეს.

დიდება და პატივის ცემა სახალხო თეატრის დამაარსებელთ, მათ დღევანდელ მესვეურთ და მადლობა და საუკუნო ხსენება მიცვალებულ მოღვაწეთ ამ საქმის.

წმინდათ დავიცვათ ჭირ-გადახთილთა სამარე და ვეცადნეთ საწინაოთ დავდგათ საწადელი აკვანი.

გამარჯვება მომავალს!

**შალვა დადიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეშვიდე წელი.

უნდა ველოდეთ, რომ ამ **ოქტომბრის** შემდგომ მე-7-ე წელს, გადაწყდება ევროპის ბედი: მისი პროლეტარიატის და მასთან ერთად მისი მეურნეობისა და კულტურისაც. 1914 წლიდან ევროპა შედის თვითგანადგურების და თვითგაკოტრების ხანაში. ბურჟუაზია, რომლის ხელმძღვანელობითაც ევროპამ მიაღწია თავის ომის წინა ხანის ძლიერებას, ბოლომდის ამოიწურა და აღარ აქვს უნარი კვლავ განაგრძოს საზოგადოებრივ ცხოვრების მესვეურობა. საჭიროა ხელმძღვანელ კლასის შეცვლა, რომ კაცობრიობამ თავი დაახწიოს სისხლიან ჩიხს. მაგრამ ბურჟუაზიას არა სურს, რომ იგი ვინმემ შესცვალოს. და თუმცა ისტორიაში არა ერთხელ მომხდარა, რომ დრო მოჭმული ხელმძღვანელი კლასი ძალდატანებით დაუმხვია ახალ კლასს, მაგრამ წარსულს არასოდეს არ ახსოვს ესოდენ მდიდარი, განათლებული, ხერხიანი, თავის ბატონობის განმტკიცების საქმეში მაცდურობამდე დახელოვნებული კლასი, როგორიცაა ბურჟუაზია. მეორეს მხრივ, არასოდეს ხელისუფლებისათვის მებრძოლ ახალ კლასს არ შეხვდომია ამაღლებისაკენ სვლა ექსპლოატაციის და დაბეჩავების ეგზომ უმზგავსს ჯურღმულებიდან, როგორც ნიას და ფრანგულ ოქროსა და ხიშტების დახმარებით ჰქმნიან ბავარიის, რეინის და სხვა მახინჯ სახელმწიფო უჯრედებს მხოლოდ იმისათვის, რომ შეინარჩუნონ თავიანთ ხელში მათგანვე განადგურებულ სიმდიდრის ნარჩენი. აჯამბაზებს რა თავის საჭიროებისათვის სოციალ-დემოკრატიას, ბურჟუაზია ამასთან უფრო და უფრო იწევს პარლამენტარულ მეთოდებით ბატონობისაგან ფაშისტურ მეთოდებისაკენ. ფაშიზმის გამარჯვება კი—რა ჯურ დროშის და „იარლიჩკების" ქვეშ არ უნდა მივიდეს ის ხელისუფლებისადმი-—ნიშნავს გერმანელ ხალხის ეკონომიურ და ეროვნულ სასტიკ დამონებას. სეპარატისტი პრინცი რუპრეხტი, „ცენტრალისტები" ლიუდენდორფი და გიტლერი და წვრილი დაქირავებული ჟულიკები ახლად შეთითხნილ რეინის რესპუბლიკისა ერთნაირად ასახიერებენ შეიარაღებულ მანჭვა-გრეხას განწირულ კლასისას, რომელსაც არ უნდა სიკვდილი. ფაშისტებმა შესაძლებელია გასძლონ მხოლოდ მატერიალურ ძალის მუდმივ და განუწყვეტელ გამოყენებით. ძალა კი მათ ცოტა აქვთ. ამიტომ ისინი იძულებული არიან ეძიონ ძალა გარეთ, ე. ი. საფრანგეთში. და ამიტომ გერმანულ ნაციო-

„დროშის" ფოტოგრაფია.



სახალხო სახლის დარბაზი.

პროლეტარიატს. ბურჟუაზიის სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ბრძოლამ საშინელი მუხრუჭი მოუჭირა ევროპის კისერს. და 1914 წლიდან ჩვენ ვხედავთ, როგორ კოტრდება, სისხლიდან იცლება და ინგრევა ევროპა.

კაპიტალისტურმა ტეხნიკამ, სამეურნეო ორგანიზაციამ, ბურჟუაზიულ მეცნიერებამ განვითარების უმაღლესს მწვერვალს მიაღწიეს ევროპის შუაგულში, გერმანიაში. და აი ეხლა გერმანია განართხულია ჩვენს წინაშე, როგორც დამონებული და მშიერი ქვეყანა. ჯერ ათი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც გერმანულ ბურჟუაზიამ დაიწყო ომი ევროპის ცენტრალისტურად გაერთიანებისთვის. ახლა კი გერმანელი კაპიტალისტები ანაწილებენ გერმა-

ნალიზმის გამარჯვება უთუოდ ნიშანი იქნებოდა ბურჟუაზიულ „პატრიოტიზმის" სრულ და საბოლოო გახრწნისა, გერმანიის დაქუცმაცებისა და გაყიდვისა, მისი დალპობისა და დაღუპვისა.

ეკონომიური პოლიტიკური და სამხედრო დიქტატურა საფრანგეთისა ევროპაზე ამავ დროს მიაღწევდა თავის სრულ ყოფას. მაგრამ ამითივე 39 მილიონიან საფრანგეთის ხალხს მხრებზე საბოლოოდ დააწვებოდა ისეთი სიმძიმე, რომელიც გასტეხდა მას. ფრანგულ კაპიტალის პირველობა ნიშანი იქნებოდა უაზრო და სისხლიან სახელმწიფოებრივ ხტუნაობისა ევროპაში, ევროპის ბაზრის პროგრესიულ გამოფიტვის, ფრანგულ მეურნეობის თვითბლოკადის, მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტარიზმის და სახელმწიფო ვალის ზრდისა. ტყვილათ ცდილობდა გერმანული კაპიტალიზმი 1914 წლიდან ევროპის ცენტრალიზაციას, სამრეწველო ძალთა განვითარების ასპარეზის შესაქმნელად. ძლევა-მოსილი ფრანგული კაპიტალიზმი 1918 წლიდან მხოლოდ იმას აკეთებს, რომ ევროპის გაკოტრების და დაქვეითების პროცესების „ცენტრალიზაციას“ ჰქმნის. და ამ სფეროში ვერავინ ვერ შეედრება ქინიან, ხარბ და ჩლუნგ წვრილ ბურჟუას, რომელიც ცნობილია პუანკარეს სახელით. 6 წლის წინეთ რუსეთის ახალგაზრდა პროლეტარიატმა, რომლის კისერზე იმ დღეებში მეტის ძალით მოჭერილი იყო მუხრუჭი, თავხედ ოქტომბრის ნახტომით გამოსავალი აჩვენა ევროპის მშრომელთ. მაშინ ჩვენ ყველას გვეგონა, რომ ეს გზა უფრო მოკლე და მარტივია ვიდრე ეს საქმეზე აღმოჩნდა. მაგრამ თუმც უფრო მძიმე გამოდგა ეს გზა ვიდრე ჩვენი მოლოდინი იყო, იგი მაინც გამოდგა ერთად ერთი სწორი გზა, რადგან მას მივყევართ გამოსავლისაკენ. ამან ახალი დადასტურება ჰპოვა გერმანულ ამბების განათების გავლენით, რომელთაც მრავალ წლების სივრცეზე წინასწარ გადასწყვიტეს ევროპის ბედი. თუ თავის თავად აღებული ნეპ-ის შუქი შეიძლებოდა მოგვჩვენებოდა ისტორიულ გზიდან პრინციპიალურ გადახვევათ, ახლა, როდესაც ისტორია მზათაა დასვას გერმანულ რევოლიუციის მიჯნა, ნეპ-ი, თითქმის ხელშესახებ უეჭველობით, ისტორიულ ეპიზოდის ფარგლებში შედის, იხატება როგორც გზის მოვლა, რომელსაც ბურჟუაზიულ რეჟიმის სრულ ბატონობისაგან მივყევართ მის სრულ და საბოლოო ლიკვიდაციამდე.

რევოლიუციონურ ხანის მე-7 წელი მთელი თავისი სიდიადით აყენებს ხელისუფლებისათვის ბრძოლის პრობლემას გერმანიაში. ეს ამოცანა რამდენათაც რევოლიუციონურ-პოლიტიკურია იმდენათ რევოლიუციონურ-სამხედროა. საბოლოოდ გამეძავებულ სოციალ-დემოკრატიის ცულლუტობისა და ინტრიგების საშუალებით, პროფკავშირთა ბიუროკრატიის გაუტანლობის რთული სისტემის წყალობით, ბუნებრივ და ხელოვნურ, კერძო და საერთო უმუშევრობის, გერმანიის სახელმწიფოებრივ დაქუცმაცების და, უკანასკნელად, მძიმე და მსუბუქ ტყვიისმფრქვევლების დახმარებით ბურჟუაზია ისწრაფვის გათიშოს, გაჰყოს, დაასუსტოს და მიწასთან გაასწოროს პროლეტარიატი, წაართვას მას თავის თავის და თავის დანიშნულების რწმენა.

რევოლიუციონურ-პოლიტიკური ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დავეხმაროთ მებრძოლ, დატანჯულ და სისხლიდან დაცლილ მასებ. იგრძნოს თავისი კლასობრივი მთლიანობა უმაღლეს დაჭიმვის დროს — ძალა-უფლების ხელში ჩაგდების ნიშნის ქვეშ. ოქტომბრის შემდეგ მე-7-ე წელს გერმანიის კომუნისტური პარტია უნდა წარსდგეს — და წარსდგება კიდეც — გერმანელ პროლეტარიატის წინაშე, როგორც გერმანელ ხალხის მხსნელი, როგორც ნამდვილი კოლლექტიური ისტორიის მიერ მოწოდებული მეთაური.

დაპყრობის წყურვილით შეკვრა პროლეტარული მილიონების — უშუალო პოლიტიკური წინასწარი პირობაა სამხედრო-რევოლიუციონურ ამოცანის გადაჭრისათვის, ე. ი. ფაშისტურ დამხობისათვის და სახელმწიფოს მატერიალურ აპარატის ხელში ჩაგდებისათვის, ესაა ერთდა ერთი გერმანიის ხსნის გზა და მასთან მთელი ევროპისაც.

ჩვენ არ ვქმნით ეხლა არავითარ ილუზიებს ამ გზის სიმოკლის და სიმარტივის შესახებ. ჩვენ ვიცით, რომ იგი იქნება საშინლად მძიმე. იგი მოითხოვს უდიადეს მსხვერპლს იგი დაბადებს ჯერ არყოფილ შერყევას. იგი უკურნებელ დარტყმას მიაყენებს იმ დაბალ, ძალმომრეობისა და მშიშრობისაგან შექმნილ ევროპიულ „წონასწორობას“, რომელიც თავის მატიანეს სთვლის მოკიდებული ვერსალის ზავის შემდეგ. სამოქალაქო ომიდან, რომელსაც გერმანელ ბურჟუაზიას საფრანგეთის ბურჟუაზიასთან ერთად, სურს მისცეს მეტად სასტიკი და გამანადგურებელი ხასიათი, შეიძლება აღმოცენდეს სისხლიანი შეტაკებები ძლიერ შორს გერმანიის საზღვრებიდან.

მე-7-ე წელი ოქტომბრის შემდეგ იბადება მრისხანე წინათქმის ნიშნის ქვეშ, და ჩვენი საბჭოთა კავშირი, ჯერ კიდევ ერთად ერთი ბურჯია მშრომელთა — უნდა ვიყოთ უფრო ძლიერნი, მაგარნი, მჭიდრონი, შეიარაღებულნი ვიდრე ოდესმე, რათა დავხვდეთ ყველ გამოცდებს, რომელნიც შესაძლოა მოგვიტანოს მომავალმა...

ძველ ბიბლიურ გადმოცემით პირველი 6 დღე იყო შრომის დღეები: ახალი ქვეყნის შექმნის, მეშვიდე დღე კი იყო დასვენების დღე. ახალი ქვეყნის შექმნისათვის ექვსი წლის სისხლის ღვრის და ზეადამიანურ შრომის შემდეგ მოდის მე-7-ე წელი. მაგრამ ის არ იქნება მოსვენების წელიწადი. ის იქნება დიად და გაცხარებულ ბრძოლის წელი, იშვიათი გმირობის და აღურაცხელ მსხვერპლის წელი გამარჯვების გზისაკენ მიმავალი და ჩვენ მივესალმებით მას როგორც ასეთს!

ლ. ტროცკი.

5 ნოემბერი 1923 წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა




## კვაჭის ჭაბუკობა.

იმ წელს პირველ აპრილს სამტრედიაში საშინელი და იშვიათი დარი დადგა. დილიდანვე დედამიწას კუპრივით შავი ღრუბელი დააწვა. ხან თოვლი მოდიოდა, ხან ხოშკაკალა, ხან წვიმა, ხან კიდევ გაზაფხულის მზე ანათებდა. ხან ისეთი გრიგალი ამოვარდებოდა ხოლმე, რომ მთელი დაბა ჭრიჭინებდა და ზანზარებდა, ხან ისეთი მყუდროება და სიჩუმე ჩამოვარდებოდა რომ ცაში ღრუბელს ალარავითარი მოძრაობა არ ეტყობოდა.

ასე არეულ-დარეულად დაიწყო სამტრედიაში პირველი აპრილი—დღე ცბიერო, ყალბი და მზაკვარი.

იმ დღეს დილიდანვე სილიბისტრო კვაჭანტირაძის სახლში, რომელიც ხონის გზის ნაპირზე იდგა, დიდი ალიაქოთი და ფაციფუცი ტრიალებდა: სილიბისტროს მეუღლე ძაბული პირველ შვილზე იწვა მელოგინედ. მთელი ოჯახი ფეხზე იდგა. მელოგინეს თავს დასტრიალებდნენ მისი დედა ნოტიო, ბებია და მეზობელი დედაკაცები, ხოლო მისი ქმარი სილიბისტრო და მამა-ხუხუ ჩიჩია მეორე ოთახში ისხდნენ და გულისფანცქალით ელოდნენ პირველ მემკვიდრეს.

შუადღემ რომ მოატანა, თითქმის სულ დაბნელდა და დაღამდა. მიყუჩებული დედამიწა უცებ ისევ შეინძრა და აზანზარდა. საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. ქვეყანა ჰგმინავდა, კვნესოდა და სჭექდა. კვაჭანტირაძის ფიცრული აიგრიხ-ჩაიგრიხა, აჭრიჭინდა, აიბურძგნა და აფერნას ლამობდა. მელოგინე ჰკიოდა, სხვები თავზარდაცემულნი და დამფრთხალნი უგზო-უკვლოდ დარბოდნენ.

უცებ ისე გაიელვა, რომ ყველანი რამდენიმე წამით დაბრმავდნენ. იმავე წამს, ერთსა და იმავე დროს, ისეთი საზარელი ჭექა და კივილი მოისმა, ხოლო დედამიწა ისე შეინძრა, რომ შიშით ზოგი გაშეშდა, ზოგი ჩაიკეცა, ზოგი კიდევ კარებს ეცა. ერთი წუთით სრული სიჩუმე ჩამოვარდა. უცებ იქვე კუთხეში დაბადებულის წრიპინი მოისმა.

— მე-ე.. მე-ე.. მე-ე...

პირველი ვაჟი სილიბისტრო კვაჭანტირაძესი პირველად ჩაუარდა ფეხებში პირველ დედაკაცს—თავის დედას.

ატყდა სიხარულის ჟრიამული, ალიაქოთი და ფუსფუსი.

იმავე წუთს სრული თორმეტი საათი შესრულდა. გრიგალს ენა ჩაუვარდა, სინათლემ სიბნელეს სძლია.

ბავშის ხმაზე სილიბისტრო კვაჭანტირაძე და ხუხუ ჩიჩია მეორე ოთახიდან გამოცვივდნენ.

— ვაჟია!—მიახარა ბებიამ სილიბისტროს და ხუხუს.

— მადლობა უფალსა!—სთქვა სილიბისტრომ.

— დიდება მამასა, და ძესა, და წმინდასა სულსა!—სასოებით დაუმატა ხუხუმ—ამინ!

— ამინ!—გაიმეორეს სხვებმა და ყველამ პირჯვარი გადიწერეს.

„დროშის“ ფოტოგრაფია.



სახალხო სახლის ძველი გამგეობა.

—კვაჭი დამირქმევია— გამოაცხადა სილიბისტრომ.

ყველანი დათანხმდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ დუქნის ბიჭი ბარდღა ამოვარდა ქვემო სართულიდან და ამბავი მოიტანა, რომ მეხი ალვის ხეს დაეცა, რომელიც კვაჭანტირაძის ბაღში იდგა, და შუაზე გახლიჩა, ხოლო გრიგალმა დაანგრია და მიჰფანტმოფანტა ჟონდიას დუქანი, რომელიც კვაჭანტირაძის „სასტუმროს“ დიდს მეტოქეობას უწევდა.

ერთი საათის შემდეგ ღრუბელი გაიფანტა და გაზაფხულის მშვენიერი დარი დადგა. მზემ თავზე დაიდგა საუცხოვო რამ სხივოსანი გვირგვინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დროშის“ ფოტოგრაფია.



სახალხო სახლი. ნაწილი ახალი გამგეობისა.

მთელი სამტრედია გარეთ გამოსულიყოდა ათვალიერებდა იმ გვირგვინს, ჟონდიას ნადუქნარს და კვაჭანტირაძის გაჩეხილ ალვის ხეს.

ასე დაიბადა კვაჭი კვაჭანტირაძე.

იმავე საღამოს ქალბატონი ნოტიო ასე ეუბნებოდა თავის მოსულიერებულ ძაბულის, თავმომწონე სილიბისტროს, დამშვიდებულ ხუხუს და ამპარტავან ბარდღას:

— ქარიშხალი და ჭექა-ქუხილი იმას ჰნიშნავს, რომ ახალგაზრდობაში კვაჭის მრავალი გაჭირვება და თავგადასავალი მოელის, მაგრამ ღმერთი დიდია. მზემ რომ გვირგვინი დაიდგა თავზე, ეს იმას ნიშნავს, რომ შემდეგში კვაჭის—ვენაცვალე იმას პაწია თათებში!—ბრწყინვალე და სახელოვანი მომავალი მოელის. ალვის ხეს რომ მეხი დაეცა და ჟონდიას დუქანიც რომ ეშმაკებმა წაიღეს, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენი და კვაჭის მტრებს—ჯვარი აქაურობას!—მეხი დაეცემათ და გულები ისე დაუსკდებათ, როგორც ალვის ხე გასკდა დღეს.

ყველას გული მოულბა და მოეფხანა.

მერე სილიბისტრომ სთქვა:

— ბავშვის ესეთი ტირილი ჯერ არ გამიგია. სულ მე-მეს იძახის. ეტყობა სხვას არაფერს შეარჩენს და ამ ქვეყანას დაიჩემებს.

ყველამ გაიცინა.

— ვენაცვალე ჩემს კვაჭიკოს!—ჩაიჩურჩულა ღიმილით ძაბულიმ და გვერდით მიძინებულ კვაჭის ალერსი დაუწყო.

რა იცოდენ მაშინ, ან სილიბისტრომ, ან ძაბულიმ, ან ბარდღამ, თუნდ ხუხუმ, თუნდ ნოტიომ, რომ მათს მკითხავობაში და ოცნებაში სიმართლის ნატამალი იყო ჩაქსოვილი, და რომ წრიპინა და მჩხავანა კვაჭიკო მომავალში მათ სავსებით გაუმართლებდა იმედებს და მრავალჯერ გადააჭარბებდა.

II

ეხლა გთხოვთ გაიცნოთ სილიბისტრო კვაჭანტირაძე და მისი ოჯახი.

პატივცემული ბატონი სილიბისტრო დაიბადა გურიაში იმ ხანებში, როცა ბატონ-ყმობა ისპობოდა. მისმა დედმამამ ანაპოდისტემ და ციუციამ პაწია სილიბისტრო გასაზრდელად მიაბარეს ციუციას დას ქალბატონ ნოტიოს და მის ქმარს ხუხუ ჩიჩიას.

ხუხუმ და ნოტიომ პაწაწინა სილიბისტრო ხურჯინში ჩასვეს, ცხენს აჰკიდეს და დიდი ტანჯვა-წვალებით გაიყვანეს სამეგრელოში სოფელ ბანძაში, სადაც ცხოვრობდნენ ხუხუ და ნოტიო.

მეგრელებმა სილიბისტროს ქრისტიანული სახელი დაუწუნეს და ჭიპი დაარქვეს. რადგან მეორე ნათლობა უმღვდლოდ მოხდა და მეორე სახელიც არც ერთ წიგნში არ იყო ჩაწერილი, ამიტომ მის პატრონს ორივე სახელი შერჩა — სილიბისტრო და ჭიპი.

ათიოდე წელიწადი გავიდა. სილიბისტრო—ჭიპი ხან გურიაში გაჰყავდათ ისევ ხურჯინით ან გოდრით დედმამის სანახავად, ხან უკანვე მოჰყავდათ.

რუსეთ-ოსმალეთის ომი რომ დაიწყო, ანაპოდისტე ქართულ მილიციაში ჩაეწერა და ბათუმის ასაღებად წავიდა, მაგრამ ციხისძირის ერთ-ერთი იერიშის დროს მოჰკლეს. ერთი წელიწადი ძლივს გავიდა, რომ ციუციაც მეორედ გათხოვდა და ქმარს ადესაში წაჰყვა.

ასე დაობლდა სილიბისტრო კვაჭანტირაძე. კიდევ კარგი, რომ მისმა დედიდამ ნოტიომ და ხუხუ ჩიჩიამ იკისრეს სილიბისტროს გაზრდა და დროზედ უპატრონეს იმის ერთი მუჭა ქონებას.

სილიბისტრო მარტო არ იყო ჩიჩიას ოჯახში. ხუხუს ერთი ძმა ჰყავდა სამტრედიაში—ჯვებე ჩიჩია, რომელიც ადრე დაქვრივდა. ჯვებეს ჰყავდა ერთად-ერთი ქალი—ძაბული. ჯვებე მოუცლელი კაცი იყო, ამიტომ ძაბულიც ბანძაში იზრდებოდა, ხუხუს და ნოტიოს ოჯახში.

ამრიგად სილიბისტრო და ძაბული და-ძმასავით შეეზარდენ ერთმანეთს და ერთმანეთი ბავშვობიდანვე შეიყვარეს.

სილიბისტრო რომ წამოიზარდა, მიწის მუშაობა ითაკილა და ბათუმში წავიდა აზნაურობის და ბედის საძებნელად. ხუხუ თავის ოჯახით ჯვებემ სამტრედიაში დაიბარა. ჯვებე ავათ იყო, ამიტომ მან თვისი ქალიშვილის—ძაბულის ბედი და პატარა დუქანი ხუხუს ჩააბარა, ხოლო სული ღმერთს.

ხუხუმ ამ დუქანს ვერ მოუარა, ამიტომ ბათუმიდან სილიბისტრო დაიბარა და უთხრა:

— შვილო ჭიპი! საკუთარი პაწაწა ფაცხაში ცხოვრება სჯობია, სხვის სასახლეში სამსახურს; საკუთარი ხმელი ჭადი—სხვის პურს, ბათუმში შორს ვერ წახვალ მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტო ქართული წერა-კითხვით. იქ ათასი განათლებული ხალხი ირევა, შენ გასაქანს არ მოგცემენ, ამიტომ გირჩევ საკუთარი ოჯახი გაიჩინო. ბედი კარზე გიცდის, ხელს ნუ ჰკრავ, თორემ ინანებ. ძაბული დასაწუნი არ არის; ლამაზი, რიგიანი და ცოცხალი ქალია; ეს მომართული სახლი და ბაღიც ერთ რამედ ღირს. რაც მე და ნოტიოს გვაბადია, ესეც ხომ თქვენი იქნება. რას იტყვი, შვილო ჰიპი?

რას იტყოდა ჰიპი კვაჭანტირაძე? კარზე მომდგარ ბედს ხელ-გაშლილი გაეგება და ამ რიგად დაბა სამტრედიის საერთო ოჯახში ჩასახლდა.

III

სილიბისტროს სახლი—ორსართულიანი მიგრეხილ-მოგრეხილი ფიცრული—ხონის გზაზე იდგა. სახლს უკან ნახევარი ქცევა მიწა ჰქონდა, რომელსაც ბაღს ეძახდნენ. „ბაღში“ ათიოდე ხე იდგა —ბალი, პანტა და მაჟალო ვაშლი. იქვე ხუთიოდე კვალი მწვანილი ეთესა ბოლოკი, ქინძი, წიწმატი, ტარხუნა და ნიახური.

ქვემო სართულში „სასტუმრო“ იყო, სადაც ყოველთვის იშოვებოდა ხარჩო, სულუგუნი, კვერცხი, კუპატი, ხილეულობა და მრავალნაირი ღვინო—კულაშური, სვირული და საჩინური ალადასტური.

ეზოში საქონელი და ფრინველიც ჰყავდათ: ათიოდე ქათამი, ბატი და იხვი, ორიოდე თხა, რამდენიმე გოჭი და ერთგული ძაღლი.

დუქნის უკანა ოთახში ოთხი ტახტი იდგა, რომელზედაც ლოგინის მაგიერ ძონძები ეყარა. სახლი ძველი იყო და დანგრევას აპირებდა, სამაგიეროდ ხონის გზაზე იდგა და მუშტარი ხშირად ხვდებოდა.

ზემოსართულში სამი ოთახი ჰქონდათ, თითქმის ცარიელი, მაგრამ სუფთა და მხიარული. თანდათან სილიბისტრომ გაიჩინა დანა ჩანგალი, ფაიფურის ჭურჭელი, მაგიდა, სკამები და ფარდები.

ხუხუმ და ნოტიომ თავიანთი ხაბაკ-ხუბაკი გაჰყიდეს ბანძაში და საერთო ოჯახში თავიანთი წვლილიც შეიტანეს. ოთხივენი ხალხში გამოსულნი, ზრდილნი და თავაზიანნი იყვნენ, ამიტომ მალე გაიჩინეს მუშტარი, რომელსაც იმ „სასტუმროში“ წყალწყალა ღვინისა, გამხმარი სულუგუნისა და ბუზნაჭამი კუპატის გარდა ყოველთვის უხვად უხვდებოდა სტუმართ მოყვარე მასპინძლების ღიმილი, ცხელ-ცხელი ამბები, შინაურული მოქცევა, ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი, ათასი ბოდიში და მუდმივი დაპირება უკეთესი დახვედრისა შემდეგში.

სილიბისტრო და ძაბული, რა თქმა უნდა, ყველა გამვლელ-გამომვლელს თავს არ უყადრებდნენ, მდაბიო ხალხს ბარდლა და ნოტიოც კარგად უხვდებოდნენ, მაგრამ თავად-აზნაურებს, ვაჭრებს და საერთოდ სუფთა მუშტარს სილიბისტრო და ძაბული ისე არ გაატარებდნენ იმ გზაზე, რომ გამარჯვება მაინც არ ეთქვათ, არ მიეპატიჟნათ, მათი ამბავი არ გამოეკითხათ და თავიანთიც არ ეამბნათ.

სილიბისტრო სადგურზე ან ბაზარშიაც რომ ყოფილიყო, ალღოთი ან რაღაც მანქანებით გაიგებდა ხოლმე ასეთი მუშტრის მისვლას და უმალ სახლში გაჩნდებოდა ხოლმე თუნდ იმისთვის, რომ სასურველი მუშტარი გაეცნო, გადმოებირა, ან ორიოდე ტკბილი სიტყვით მისი გული მოეგო.

როცა ხონის გზაზე ეტლების მოძრაობის დრო გავიდოდა ხოლმე, სილიბისტრო სადგურზე და ბაზარში წავიდოდა და ათასნაირ წვრილმან საქმეს აკეთებდა. აქედანაც ყოველთვის ორიოდე გროში რჩებოდა, რომელსაც ისევ „სასტუმროს“ და თავის ოჯახს აყრიდა. ერთიც და მეორეც თანდათან ივსებოდა, ფეხზე დგებოდა, ძალღონეში შედიოდა.

ასეთი იყო სილიბისტრო კვაჭანტირაძის ცხოვრება და ოჯახი, როცა დაიბადა კვაჭი კვაჭანტირაძე.

კვაჭი საოცარის სისწრაფით იზრდებოდა. სხვა ბავშვები დაახლოვებით ერთის წლისა აიდგამენ ხოლმე ფეხს და ენას, ხოლო კვაჭიკო ექვსი თვისა ძლივს იქნებოდა რომ პირველად წაილუღლუღა:

— ბაბა... დედ... ბებია...

და იმავ ხანებში აიდგა ფეხიც.

ნოტიომ სამართლიანად სთქვა ამის გამო:

— დამიჯერეთ, ბავშვი რომ ასე ადრე გაიზრდება, ეს იმის ნიშანია, რომ სახელოვანი და დიდი კაცი გამოვა

რა თქმა უნდა, ნოტიოს ისევ დაუჯერეს და კვაჭის მოვლა პატრონობას უმატეს.

კვაჭის დაბადების შემდეგ სილიბისტროც მეტ წილად სახლში ტრიალებდა, გროშის საქმეებს აღარ დასდევდა. ზედმეტ თუმანს რომ მოიგდებდა ხელში, აბრეშუმის პარკს ან კვერცხებს ყიდულობდა და ამაშიაც კარგს ხეირს ხედავდა.

მხოლოდ ერთი საზრუნავი, იდუმალი ფიქრი და ოცნების ჭია ჰქონდა სილიბისტროს თავში და გულში, რომელიც მას ღრღნიდა, აწვალებდა და აწამებდა: სილიბისტრო კვაჭანტირაძე აზნაური არ იყო; არა, ბოდიში! სილიბისტრო აზნაური იყო, ეს მთელმა ქვეყანამ იცოდა, მაგრამ აზნაურობა მას ჯერ დამტკიცებული არ ჰქონდა. ამ საქმის მოსაჭახრაკებლად სილიბისტრომ აუარებელი დრო და ფული დახარჯა, მრავალჯერ იმგზავრა ოზურგეთსა და ქუთაისში, ვექილებიც აიყვანა, მაგრამ ვერაფერი მოაგვარა. დაპირებას და იმედს უხვად იძლეოდნენ, სამაგიეროდ ფულს უხვად იღებდნენ, ხოლო სილიბისტროს წინანდებურად ეწერა პასპორტში სამარცხვინო და სათაკილოსიტყვა.

გ-ლ-ე-ხ-ი.

სილიბისტრო „მაძიებელი“ იყო, „იჩუჩი“ (ищущий); ამის გამო ზოგნი მასხრობდნენ და სილიბისტროს ზურგს უკან დასცინოდნენ; ეს იცოდა სილიბისტრომ და გული უფრო ემღვრეოდა. მაგრამ მაინც ითმენდა, ეძებდა, მუშაობდა და ელოდა.

ბოლოს ერთმა ღვთისნიერმა ადამიანმა მიასწავლა:

— აშორდია!

სილიბისტრო ზუგდიდში გაჩნდა. ბევრი ღრეჭავაჭრობის შემდეგ მორიგდნენ.

კიდევ გავიდა რამდენიმე წელიწადი.

ერთხელ სილიბისტროს ოჯახში დიდი ფაცა-ფუცი და ალიაქოთი ასტყდა: ყველანი დარბოდნენ და ჩურჩულებდნენ:

— აშორდია... აშორდია მოდის...

საღამოზე მოვიდა უცხო ვინმე ადამიანი, დიდის მოწიწებით და თავაზით დაუხვდნენ. შეიქმნა დიდი ლხენა, ზეიმი, სიხარული და ალტაცება:

აშორდიამ სილიბისტროს და მის ოჯახს სანატრელი და სასიხარულო ამბავი მოუტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საბჭოთა სომხეთის სამი წლ ს თავი.**

„დროშის“ ფოტოგრაფია.

იმ დღიდან სილიბისტრო კვაჭანტირაძეს და მის კვაჭიკოს აზნაურობა დაუმტკიცდა.

ვახშამზე ხუთი წლის კვაჭიკომ სილიბისტროს და ''იგებით აშორდიას ხელზე აკოცა და უთხრა:

— ბიძიავ, მადლობელი ვარ.

აშორდიამ გაიღიმა, კვაჭიკოს შუბლზე აკოცა, მოუალერსა და უთხრა:

— ჩემო პატარავ! მე გზა გაგიკაფე ბედნიერებისა და წარმატებისკენ. ეხლა კარები ყველგან გახსნილი გაქვს. დანარჩენი. შენ იცი, შენც ბედნიერი იყავ, შენი მშობლებიც და სამშობლოც გააბედნიერე და ასახელე. ვსვამ პაწია კვაჭიკოს სადღეგრძელოს!



სომხეთის ცაკი ამბარცუმიანის მეთაურობით.

**საბჭოთა სომხეთის სამი წლის თავი.**

„დროშის“ ფოტოგრაფია.



პროფკავშირთა საბჭო.

ისევ ასტყდა ჟრიამული, სიმღერა, ლხენა და მხიარულება.

მეორე დღეს აშორდია რომ წასასვლელად ემზადებოდა, კვაჭიკომ ერთხელ კიდევ აკოცა მას ხელზე და უთხრა:

— ბიძია! მეფესთან ლომ იქნები, უთხალი, კვაჭიკო კვაჭანტილაძე არ დაივიწყებს შენს სამსახურსათქო, ლომ გავიზრდები, შენც გადაგიხდი მადლობას.

ყველამ გაიცინა. აშორდია წავიდა.

იმ საღამოს ნოტიო ამბობდა:

— ვენაცვალე ჩემს კვაჭიკოს! ეხლა წინ ვერაფერი დაუდგება. ქვეყანას გადაატრიალებს და ჩვენც გაგვაბედნიერებს. იქნება ისეთი დრო მოვიდეს, რომ კვაჭიკომ აშორდიას მართლა მადლობა გადაუხადოს და "სამსახურშიაც გაასწროს.

რა იცოდნენ მაშინ ნოტიომ, თუნდ აშორდიამ, ან გაბღენძილმა სილიბისტრომ, რომ მომავალში პაწაწინა კვაჭიკო აშორდიას სახელს სრულიად დაჩრდილავს, ყველას დაავიწყებინებს და ქვეყანას მართლა ააფორიაქებს, აალაპარაკებს და თავის გვარს ბრწყინვალე შარავანდით შემოსავს და შეამკობს.

(შემდეგი იქნება).

# ექსპრესიონიზმი.

1914—18 წელი, ომი. ვერსალი. რევოლიუცია, აი უკანასკნელი პერიოდი გერმანიის ისტორიაში.

ბრძოლა სისხლიანი შედეგებით დამთავრდა კაპიტალიზმის კრიზისის გამო.

ვერსალმა კიდევ უფრო გაამწვავა, ისედაც მწვავე მდგომარეობა. რევოლიუცია-კი სწორი გამოსავალი იყო იმ კატაკლიზმის, რაც გერმანიამ განიცადა.

ამ პერიოდს ეკუთვნის ექსპრესიონიზმის განვითარება [1]) ამ მიმართულებაში თავი მოიყარა გერმანიის ინტელიგენციის პაციფისტურ ნაწილმა, რომელიც გამოსულია საზოგადოების საშუალო ფენებიდან და ამისთვისაც პოლიტიკურად ჩამორჩენილი ნახევრად პასიური ელემენტებისაგან შესდგება. მათ ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე პროტესტი განაცხადეს სისხლის ღვრის წინაალმდეგ, მაგრამ მათ პაციფისტური ბუნება უფრო ომის პერიოდში შემუშავდა.

ანტიმილიტარიზმიდგან მათ არსებულ ცხოვრების უკეთესით შეცვლა დაისახეს მიზნად, მაგრამ მხოლოდ ხელოვნების საშუალებით, ისინი დარწმუნებული არიან, რომ საზოგადოებრივი იდეით ამოძრავებული ხელოვნება, შეიძლება გახდეს საზოგადოებრივი მოძრაობის სტიმულად, მათთვის იგი იდეის პრაქტიკულ საშვალებათ ხდება, ექსპრესიონიზმის დადებითი მნიშვნელობაც სწორედ ამაშია.

* * *

გერმანია—აზროვნების ქვეყანაა, საფრანგეთი—ესთეტიკის.

გერმანიის ხელოვანს ყოველთვის შინაარსი ახასიათებს ფრანგს-ფორმა.

გერმანიის აქტიური ხელოვნება ვერ უთანხმდება საფრანგეთის პასიურსა და ფორმალურ ხელოვნებას.

გერმანელი მხატვარი დიდი ერუდიციის ადამიანია და შთაბეჭდილებას ერთ მთლიან განცდათ გარდაქმნის. „გერმანელი პლასტიკი—ამბობს ლუნაჩარსკი—ან ეთიკოსია, ან ლირიკოსი უფრო ხშირად კი ლირიკოს-ეთიკოსია. ფრანგი კი წმინდა პლასტიკოსია, რომელიც ჰქმნის უფრო თვალებისთვის, ვიდრე ადამიანისთვის“. ექსპრესიონისტ მხატვარსაც ეთიკა და შემოქმედება „ადამიანისთვის“ ახასიათებს, მისი მიზანია ემსახუროს ადამიანის სულიერ და არა ესთეტიურ მოთხოვნილებას. ამ მხრივ იგი უფრო მაღლა სდგას საფრანგეთის ხელოვნებაზე, თუმცა მას ფორმის მხრით ვერ შეედრება.

ომმა ყოველივე ფარნგული ჩაჰკლა, ეს კი ექსპრესიონიზმის გამარჯვებას ნიშნავდა. გაიმარჯვა პრინციპმა; ხელოვნება ადამიანისთვის და ამისთვის ტეხნიკა გერმანელ ექსპრესიონისტისათვის გამოთქმის საშვალებათ გარდაიქცა.

შინაარსმა ფორმას დასძლია.

თუ კი იმპრესიონისტს უნდოდა ზერელე შთაბეჭდილება საგნისაგან, მაშინ ექსპრესიონისტს უნდა ღრმა ცოდნა ამავე საგნისა.

იმპრესიონიზმი ზერელე ხელოვნებაა ძველი ევროპისა, ექსპრესიონიზმი კი ღრმა და შინარსიანი ხელოვნებაა გარდამავალი ევროპისა.

ძველი ხელოვნება პასივი შეთვისებაა საგნის, ახალი აქტივი შენება ამავე საგნისა.

ექსპრესიონიზმი აქტივიზმია ხელოვნებაში.

იმპრესიის მაქსიმუმი, ექსპრესიის მაქსიმუმათ იქცა.

ახალ ხელოვანისთვის ფორმა როდილაა მიზანი, იგი ფორმით აღარ იწყებს შემოქმედებას, მასში პირველ ალაგს იჭერს სულიერი განცდა εrlebniss, ხასიათი ანუ როგორც სეზანი ამბობა „temperrrament“-ი. ექსპრესიონისტი ხელოვანი კონსტრუქტივისტიცაა, მას უყვარს ენის დერაციონალიზაცია, იგი ცდილობს შეაერთოს რეალობა ფანტაზიასთან და დაშორდეს ბუნებას, იგი უარყოფს ფსიქოლოგიურ ნატურალიზმს და სანტიმენტალურ რომანტიზმს და ამიტომაა, რომ მისი „ერთად-ერთი უძლიერესი მტერი ნატურალიზმია“ (გუბნერი).

ამიტომაც იგი ხშირათ დიფორმაციულია, გარეგნობის მხრივ კი ექსპრესიონიზმი ფორმის უხეშობამდე მიდის, რაც გერმანიის კულტურის სპეციფიურ თვისებით და ომის მემარცხენე ლიტერატურის გავლენით აიხსნება.

ექსპრესიონისტული კონსტრუქტივიზმი მეტად უბრალოა (ეკონომია) და მიზან შეწონილი (უტილიტარული).

სიმარტივე და მიზანშეწონილობა აი ორი უდიდესი პრინციპი ექსპრესიონიზმისა.

ექსპრესიონიზმი იგივე ტეილორიზმია ხელოვნებაში. პრინციპი ექსპრესიონიზმისა და ტეილორიზმისა ერთი და იგივეა „შედეგების მაქსიმუმი მოქმედების მინიმუმთან“.

* * *

ექსპრესიონიზმმა პირველ ნაბიჯისთანავე მებრძოლი პოზიცია დაიჭირა არსებული მხატვრული წყობის მიმართ. იშვიათი ოტება ექსპრესიონიზმში გამოიწვია 19 ს. გამეფებულ მეცნიერულ აზროვნებამ. 19ს. ადამიანი იყო მონა თავისივე აღმოჩენების: ცხოვრების, მედიცინის და ტეხნიკის სფეროში,—რაც ბატონობდა მსოფლიო მეურნეობაში. ასეთივე მონა იყო იგი ხელოვნებაშიაც. რა არის განთქმული რომანები ზოლასი და დრამები იბსენის, თუ არ აშკარა დოკუმენტები საუკუნის ლიტერატურული დასასრულისა?.. სამყაროს, ეპოქისა და კანონების ყოველგვარმა აღწერამ—რაიც ახასიათებს ბევრის ძლიერებას და გენიას—მოსპო ხელოვნებაში გაგება ადამიანის თავისუფლებისა, ეს სისტემა სპობს გაგებას ადამიანის „ნების ყოფის არსებობისას. ნატურალიზმი ადამიანის ცხოვრების ულრმეს პრობლემებს გვერდს უხვევდა ადამიანში დ მარხულ პოტენციურ ძლიერებას („სულის“). მეცნიერულ აზროვნებამ გაანთავისუფლა ადამიანი პირვანდელ სულიერ მღელვარებისაგან—ყოველივე შეიქმნა უბრალო და მექანიკური. ადამიანი შეიქმნა რაღაც საბრალო დანაწონათ ბუნებისა. ასეთივე დანაწონად დარჩა იგი იმპერსიონისტების ნაწერებში. იმპერსიონიზმი—ხელოვნებაა, რომელიც მხოლოდ შემთხვევით შთაბეჭდილებების ზეგავლენას განიცდის ბუნების განჭვრეტის დროს.

ექსპრესიონიზმი ადამიანს და მის ბედს სრულიად სხვა თვალთსაზრისით უდგება. ხელოვნები ამ მიმართულებისა ვერ ურიგდებიან ადამიანის გარეშე სამყაროსადმი მორჩილებას, იგი სამყაროს ცენტრში ადამიანს აყენებს

---

[1]) ექსპრესიონიზმი განვითარდა ომის პერიოდში, ხოლო მისი წარმოშვება ეკუთვნის უფრო შორეულ წარსულს, თუ ჩავთვლით მისი ისტორიის დასაწყისად მანიფესტებს, რომლებიც 1910—12 წლებში მიუნხენის კრებულ „ცისფერ მხედარში“, რომ იბეჭდებოდა. გერმანიაში ამ მანიფესტებმა დიდი ხმაურობა გამოიწვია და უნდა ჩაითვალოს ექსპრესიონისტულ მებრძოლ ლიტერატურის პირველ გამოსვლად.

„დროშის“ ფოტოგრაფია.



ერევნის უნივერსიტეტის პროფესურა.

და დარწმუნებულია, რომ გარდაიქმნება იგი ადამიანის შემოქმედებითი ნების ყოფის საშვალებით. „სამყარო—ჩემი წარმოდგენაა“ აღიარა მან შოპენჰაუერთან ერთად.

ჯერ კიდევ 1910 წელში თანამედროვე გერმანიის ერთმა საუკეთესო პოეტმა ტომას მანნმა, მხატვრული შემოქმედების პრინციპად იდეის ძლიერებით სამყაროს გარდაქმნა—აღიარა. ექსპრესიონიზმიც ამ გზას დაადგა, იგი შეიქნა მსახური იდეის, ადამიანისა და ამიტომ მან სრულიად დაივიწყა ფორმა დაივიწყა პარიზული ესტეტიზმი.

ექსპრესიონიზმის ერთი დამახასიათებელი თვისება მისტიციზმია. ეს მისტიკა თავის მხრით ღვთაების ძიებით ხასიათდება, რაც ხან ქრისტიანული ღმერთის, ხან კი უკვდავი „სულის“ ძიებად იქცევა. ხშირად ამ ძიებას—მოულოდნელ შედეგამდე—ატეიზმამდე მიჰყავს ისინი.



„ხოროურდაინ ჰაიასტანის“ რედაქცია.

გაურკვევლობა და ჰაოტიური მდგომარეობა ექსპრესიონისტ ხელოვანს მისტიციზმის ტალღებში აგდებს, და ხშირად სკეპტიციზმამდეც მიჰყავს იგი.

საზოგადოებრივი აქტიობის დაცემა, პერსპექტივების ბუნდოვანება, მდგომარეობის სირთულე, ადამიანებში გამეფებული დისჰარმონია და ამორალიზმი, აი ყოველივე ის რასაკ მისტიციზმის Arrièrepensle-ს უწოდებენ.

ამ ბოლო ხანებში მას ემჩნევა მისტიციზმის გაძლიერების ტენდენცია; ენის კაბალისტიკა, სიტყვის რაოდენობის შემცირება, გამომეტყველებითი სიჩუმე, მელანქოლიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოზა, და სკეპტიციზმი - რაც აუცილებლად კინოს გავლენას მიეწერება—იმარჯვებს ექსპრესიონისტულ დრამაში.

ექსპრესიონიზმის მეორე დამახასიათებელი თვისება ანტიბურჟუაზიულობაა.

პაციფიზმი მათში კლასთა მოსპობის იდეათ იქცა, მაგრამ ეს ანტიბურჟუაზიულობა არასოდეს არ მიდის აქტიურ რევოლიუციონერობამდე, ბუდიზმი და პასივი სპინოზიზმი ახასიათებს ამ პაციფიზმს, თუმცა ექსპრესიონიზმის მემარცხენე ფრთა—თავისი გულუბრყვილობით—არამც თუ კომუნიზმამდე, არამედ უფრო შორსაც კი მიდის. ამით აიხსნება, რომ ზოგი რევოლიუციონერი პოეტი ექსპრესიონიზმით იწყებს და შემდეგ კი თანდათან სცილდება მას, რადგან იგი ეწინააღმდეგება რევოლიუციურ აქტიობას. ექსპრესიონისტები ომის სიძულვილით თითქოს აქტიობამდეც კი მიდიან.

ისინი აღიარებენ, რომ; „პოლიტიკური სიმღერა, არ უნდა იყოს ჩვენთვის უცხო სიმღერა“-ო, მაგრამ მისტიციზმი მათში სძლევს აქტიურ მომენტს და ისინი მაინც „რყევაში არიან იდეურ-რევოლიუციურ ტოლსტოვიზმსა და პრაქტიკულ-რევოლიუციურ კომუნიზმ შუა“ს ანუ „რომენ როლანის და ბარბიუსის“ პოზიციებს შორის და თავის როლს იმით ისაზღვრავენ, რომ „ესროლონ თანამედროვეობას მტკიცე სიტყვა ბრალდებისა“.

პ. ქიქოძე.

## ქალაქების დემონები.

მათ ხეტიალის მოდის ნამქერი
და ქალაქები მთლად გადარია.
ნიკაპის ირგვლივ, ისე ვით წვერი—
კვამლის და ჭვარტლის შავი ქარია.
მათი აჩრდილი ქუჩას დაფარავს
და სინჯავს სახლებს გძელი თითებით,
შემდეგ ჩააქრობს ის ქუჩის ფარანს
და ნისლი მოდის ყალბ მორიდებით.
მათ მოედანზე აქვთ ერთი ფეხი
მუხლს მიაბჯენენ გოდოლს ხმაურით
როცა დასტვენენ – წვიმა და მეხი
მოდის მაღლიდან აურ-ზაურით.
ამ ფეხთა ირგვლივ—საცოდავ ხმაზე
დატრიალდება ქალაქთა რკალი.
და ხმა სიკვდილის ისმის მიწაზე,
აშავებს ღამეს ავი გრიგალი.
მდინარე აღარ უმღერის ველებს
სუსტი ფარნებით გაყვითლებული,
იგი ვით ხვლიკი ზურგს აიჭრელებს.
სადღაც მიზორგავს წყალთა კრებული.
და ხიდის ბურჯზე ერთად ჯდებიან,
რომ ხალხს ჩაასონ თავის ბრჭყალები,
ვით ის ფავნები, რომ ისვრებიან
ტბების ტალახში იდუმალებით.
დემონმა სპეტაკ მთვარეზე ხელით
დაჰკიდა შავი ნიღაბი. გაჰქრა.
ეძგერა ქალაქს ღამე სიბნელით
და შავ სვეტებზე სწრაფად გააკრა,
მძიმედ აძგერდენ ქალაქთა მხრები
ხანძარი მოდის ცეცხლიან ფრქვევით.
ისინი სხედან, როგორც კატები,
აუწევიათ თავები ზევით.
არის ოთახი—შიშით მოცული
იქ მშობიარე ქალი გაჰკივის,
ბალიშთა შორის დახტის მუცელი
და დემონების და ჯგუფთა მწკრივი.
ქალი კანკალებს. და ოფლის წვიმა.
კივის. არ ელის შველას ღვთისაგან-
საშო უეცრად კვლავ დაიჰიმა—
გასკდა ნამყოფის სიმძიმისაგან.
და დემონები ჟირაფთა მსგავსად
წასწევენ კისერს. უთავო ბავში.
დედის კივილი ედება ხავსად
კედლებს,—და ხელებს ის იცემს თავში.
ვით გოლიათნი ყველგან დარბიან.
ცაში არჭობენ მეწამულ სოლებს.
მათი ტერფები მიწის-ძირას ქმნიან,
ცეცხლი ქვეყანას სწვავს და ათრთოლებს.

გეორგ გეიმი.

## მდინარე

ჩემ სიყვარულით სტირის მდინარე
მე ვერ დავუკრავ ფლეიტაზე-პირმომცინარე.
არ მეხერხება გიტარის ხმაზე გალობა.
უცხოა ჩემთვის სანტიმენტალობა.
მაგრამ არიან მდინარენი, რომ ღამით არ ცხრებიან.
და სამარისაკენ ნელა მიიზლაზნებიან,
რადგანაც ედარბაზა იმათ ნაპირი
თავისი გაფითრებული ზაფრით.
საყვარელო! ფრაკში ვარ მე-შენი მხლებელი.
არა ვარ ნარცისი. უბრალოა ჩემი საცხებელი.
შენ ჩემი სურათი, ო, რატომ გაჩუქე!
არა ერთგულმა ჩემი გული რად გავაშუქე!
ჩემი სიყვარულით მდინარე ქვითინებს,
მაგრამ მე თეატრში ვიქნები დღეს!

ივან გოლლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი.

# ვლადიმერ მაიაკოვსკი.

### ავტო ბიოგრაფია

## მე თვითონ.

### თემა.

მე—პოეტი ვარ და ამით ვარ საინტერესო. ამაზე ვსწერ კიდეც. მიყვარს, თუ შევდივარ აზარტში კავკასიის ბუნების სილამაზიდან—ყველაფერი ეს მაშინ არის, როცა სიტყვით გადადუღდება.

### მთავარი რაც არი.

დავიბადე 7 ივლისს 1894 წელს (ან 93 წელს—დედაჩემის აზრი და მამის სამსახურობის სია ერთი მეორეს არ ეთანხმებიან. ყოველ შემთხვევაში ამაზე ადრე არ დავბადებულვარ). ჩემი სამშობლოა სოფ. ბაღდათი, ქუთაისის გუბერნია საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში.

### რომანტიზმის ძირი.

პირველი სახლი ნათლად წარმოდგენილი. ორ სართულიანი. ზევით სართული ჩვენია. ქვევით კიდევ პატარა მარინია. წელიწადში ერთხელ მოდიოდენ ყურძნით დატვირთული ურმები. სწურავდენ ღვინოს საწნახელში. მე ვსჭამდი ყურძენს. ისინი სვამდენ მაჭარს. ყველაფერი სადაც ეს ხდება: ტერიტორია ბაღდადის ახლო უძველესი ქართული ციხის ნანგრევი. ციხეს ოთხ კუთხივ აკრავს გალავანი. კუთხეებში დარჩენილან ზარბაზანის დასადგამი ადგილები. შემდეგ დიდი თხრილები. არის შემდეგ ტყეები და ტურები. ტყეების ზევით მთები. წამოვიზარდე. ყველაზე დიდ მთაზე დავრბოდი. ჩრდილოეთით ხრამია. ვოცნებობდი, რომ ეს არის რუსეთი: საშინლად მიწევდა გული იქით.

### ეგზამენი.

გადავსახლდით ბაღდათიდან ქუთაისში. ეგზამენია ქუთაისში. ეგზამენიც დავიჭირე. მკითხეს ღუზის შესახებ (ჩემ სახელოზე). კარგად ვიცოდი. მაგრამ ღვდელმა მკითხა რა არიო „Око“, ეს ნიშნავს თვალს ძველ სლავიანურ ხუცურად. ამისთვის ლამის არ ჩამჭრეს. ამიტომ იმ თავითვე შევიძულე ყველაფერი ძველი. ყველაფერი ხუცური, და სლავიანური. შეიძლება აქედან წარმოსდგა: ჩემი ფუტურიზმი, ჩემი ატეიზმი, და ჩემი ინტერნაციონალიზმი.

### იაპონიის ომი.

ჩვენს ოჯახს მოემატნენ გაზეთები და ჟურნალები: „Русския Ведомости“, „Русское Слово“, „Русское Богатство“ და სხვ. ვკითხულობ ყველაფერს ანგარიშ მიუცემლად. აღელვებული ვარ. ჩემ აღტაცებას იწვევენ ღია ბარათზე დახატული კრეისერები. მეც ვადიდებ ამ სურათებს და ხელმეორეთ ვხატავ. გამოჩნდა სიტყვა „პროკლამაცია“, პროკლამაციებს აკრავდენ ქართველები, ხოლო ქართველებს კაზაკები საღრჩობელაზე ჰკიდებდნენ. ქართველები ჩემი ამხანაგები არიან. მე შევიძულე კაზაკები.

### 1905 წ.

რა დროს სწავლაა. წამოვიდენ ორიანები. გადავედი მეოთხე კლასში, მხოლოდ იმიტომ, რომ მე თავი გამიტეხეს ქვით (რიონის პირზე ვილაცასთან ჩხუბის დროს). გამოცდების დროს შემიბრალეს. ჩემთვის რევოლიუცია დაიწყო ასე: ჩემი ამხანაგი, მღვდლის მზარეული ისიდორე, პლიტაზე შეხტა ფეხშიშველა სიხარულით.—მოკლეს გენერალი ალიხანოვი, საქართველოს დამაწყნარებელი. დაიწყეს დემონსტრაციები და მიტინგები. მეც წავედი. კარგია. მხატვრულად განვიცდი: შავებში ანარქისტებია, წითელში ესერები, ლურჯში ესდეკები და სხვა ფერებში ფედერალისტები.

### სოციალიზმი.

სიტყვები, გაზეთები. ყველაფერში მხვდებიან უცნობი სიტყვები და ცნებები. ჩემ თავს ვთხოვ ახსნას. ფანჯარაში თეთრი წიგნები მოსჩანს: „Буревестник“-ის. ვყიდულობ. ვდგები დილის 6 საათზე. ვკითხულობ ლოთივით. პირველი წიგნი: „ძირს სოციალ-დემოკრატები“. მეორე: „ეკონომიური საუბრები“. მთელ ჩემ ცხოვრებაში დამრჩა გასაოცრად სოციალისტების ნიჭი: ხსნიან ფაქტებს, და ქვეყანა მოჰყავთ სისტემაში. „რა უნდა იკითხო?“ მგონია, რუბაკინისა. წავიკითხე რასაც მირჩევდა. ბევრი არ მესმის. გამოვიკითხავ. მე შემიყვანეს მარქსისტულ წრეში. მოუსწარი ერფურტის პროგრამას. მოვხვდი შუა სწავლაზე. „ლუმპენ პროლეტარიატის“ შესახებ. მე უკვე ჩემ თავს სოციალ-დემოკრატად ვსთვლი.: გადავაძვრინე მამაჩემის ბერდანკები ესდეკების კომიტეტში. ფიგურით მომეწონა ლასალი. ალბად იმიტომ რომ წვერი არ აქვს. რაღაც უფრო ახალგაზრდაა. ლასალი მე გადავაბი დემოსთენს. დავდივარ რიონზე ვლაპარაკობ სიტყვებს და პირი კენჭებით მაქვს ამოვსებული.

### გ ზ ა.

ყველაზე დიდებულია ბაქო, ჭები, ცისტერნები, საუკეთესო სურნელება—ნავთი, და შემდეგ კი ველი. თითქმის უდაბნო.

### მოსკოვში.

მთელი ოჯახი ჩავედით რაზუმოსკოვიეში. ჩემი დის ნაცნობები არიან - პლოტნიკოვები. დავიჭირეთ ბინა ბრონნაიაზე. მახსოვს პირველი „ბოლშევიკი“ **ვასო კანდელაკი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დროშის" ფოტოგრაფია.



მხატვარ სარიანის გალერეა.

### პარტია.

1908 წელს შევედი რ. ს. დ. მ. პ. (ბოლშევიკების) პარტიაში. დავიჭირე ეგზამენი სავაჭრო-სამრეწველო ქვერაიონში. კარგად ჩავაბარე. პროპაგანდისტი ვარ. წავედი მებულკეებთან, შემდეგ მეჩექმეებთან და შემდეგ სტამბის მუშებთან. ქალაქის საერთო კონფერენციაზე ამომირჩიეს მოსკოვის კომიტეტში: იყვნენ: ლომოვი, პოვოლჟეცი, სმიდოვიჩი და სხვ. მეძახდენ „ამხ. კონსტანტინ".

### დაპატიმრება.

გრუზინებში მოვხდი ჩასაფრებულ პოლიციას. გვქონდა არალეგალური სტამბა. ვსჭამდი ბლოკნოტს ადრესებით და შეკანულ ტყავით. პრესნიას უბნის ნაწილი. ოხრანკა. სუშჩევის უბნის ნაწილი. გამომძიებელმა ვოლტანოვსკიმ (ალბად თავის თავს სთვლიდა ძალიან ეშმაკად) დამაწყებია კარნახით წერა. მე მაბრალებდენ პროკლამაციების წერას. მე უიმედოთ აურიე კარნახი. ვსწერდი: „Соцяль-димокритическая". გამომიშვეს თავდებობის ქვეშ. უბნის ნაწილში გაკვირებით წავიკითხე „სანინი" რატომაც ეს წიგნი ყველა საუბნო ნაწილებში იყო ხოლმე. ალბად სულის საცხონებლად.

გამოვედი. ერთი წელი პარტიულ მუშაობისა.

### მეორე დაპატიმრება.

ისინი ვინც ჩვენთან ცხოვრობდენ, აწყობდენ „პოდკოპს" ტაგანკისთვის. უნდოდათ გაენთავისუფლებიათ კატორღელი ქალები. მოაწყეს გაპარება ნოვინსკის ციხიდან. მე დამიჭირეს. სახლში მინახეს რევოლვერი და არალეგალური ლიტერატურა. არ მინდოდა ჯდომა. ვაკეთებდი სკანდალებს. გადავყავდით ერთ საუბნო ნაწილიდან მეორეში—ბასმანაია, მეშჩანკაია, მიასნიცკაია, და სხვ. და ბოლოს ბუტირკები. „ოდინოჩკა". № 103.

### 11 თვე ბუტირკის ციხეში.

ჩემთვის ყველაზე უფრო საგულისხმო დრო. სამი წლის პრაქტიკის და თეორიის შემდეგ გადავარდი ბელეტრისტიკაში, წავიკითხე ყოველგვარი ახალი, სიმვოლისტები: ბელლი, ბალმონტი. ვამჩნევდი ფორმალურ სიახლეს, მაგრამ ჩემთვის ეს ძალიან უცხო იყო. თემები და სახეები არ იყვენ ჩემი ცხოვრებიდან. დავაპირე მეც დამეწერა მათსავით კარგად, მაგრამ სხვა რამეზე. გამოჩნდა რომ **ასევე** არ შეიძლება **სხვის** შესახებ. გამოვიდა ძალიან დამანჭული და რევპლაქსიური.

ასეთი ამბებით ერთი რვეული გავავსე. მადლობა კიდევ ზედამხედველებს განთავისუფლების დროს წამართვეს, თორემ დავბეჭდავდი კიდევ!..

მე გამომიშვეს. უნდა წავსულიყავი (ოხრანკამ დაადგინა) სამი წლით ტურუხანსკში. მამაჩემის მეგობარმა მახმუდბეკოვმა განაცხადა, რომ რევოლვერი მისი იყო, და როგორც იყო დაალმობიერა კურლოვი. ციხეში ჯდომის დროს მასამართლებდენ პირველ საქმეზე; დამნაშავეთ მიცნეს, მაგრამ ხნოვანება არ გამოვიდა. მიეცეს პოლიციის ზედამხედველობას და მშობლების პასუხისმგებლობას.

ეგრედწოდებული დილლემა.

გამოვედი აღელვებული. ისინი—ვინც მე წავიკითხე, ეგრეთ წოდებული დიდებულებია. მაგრამ როგორ არ არის ძნელი, მათზე უკეთესად წერა!.. მე უკვე ეხლაც სწორი განწყობილება მაქვს ქვეყანასთან. მხოლოდ საჭიროა გამოცდილება ხელოვნებაში.

საიდან უნდა ავიღო? მე უსწავლელი ვარ. უნდა გავიარო სერიოზული სკოლა. მე კი გამოგდებული ვარ გიმნაზიიდანაც და სტროგანოვის სასწავლებელიდანაც. რომ დავრჩე პარტიაში სამუშაოთ, უნდა გავხდე არალეგალური. არალეგალურს კი რა შეუძლია ისწავლო.

პერსპექტივა ასეთია: მთელი სიცოცხლე სწერო ლეტუჩკები, ამოალაგო აზრები, მართალი, მაგრამ არა ჩემგან ნააზრევი, წიგნებიდან.

წაკითხული რომ გადაფერთხო, ჩემი რა დარჩება, მარქსისტული მეთოდი.

მაგრამ განა ბავშვის ხელში არ მოხვდა ეს იარაღი?

ადვილია მისი ხმარება თუ საქმე გაქვს საკუთარ აზრებთან.

მაგრამ რა უნდა ჰქნა მოწინააღმდეგესთან შეხვედრის დროს?

აი მაგალითად, ანდრეი ბელიზე უკეთესად მე ვერ დავსწერ. ის თავის საკუთარზე „в небеса запустил ананасом" და მე კი უმღერი ჩემ „ათასი მომკვლელი გულის დღეები" კარგია სხვა პარტიულებისთვის. მათ აქვთ უნივერსიტეტი.

(უმაღლეს სკოლას მაშინ, მე კიდევ არ ვიცნობდი რა იყო და ამიტომ პატივს ვცემდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა უნდა დავუპირდაპირო მე თავზე წამოქცეულ ძველ ესტეტიკას?

განა რევოლიუცია არ მომთხოვს მე სერიოზულ სკოლას? მაშინ მე შევედი ჩემ პარტიულ ამხანაგთან მედვედევთან: მინდა შევქმნა სოციალისტური ხელოვნება.

მე შევწყვიტე პარტიული მუშაობა და დავჯექი სამაცადინოთ.

### დავით ბურლიუკ.

მხატვრობის სასწავლებელში გამოჩნდა ბურლიუკი. ურცხვი შეხედულება. ლორნეტკა, სიურტუკი, დადის და დაიმღერის. მე დაუწყე დევნა. ლამის წავიჩხუბეთ.

### სამახსოვრო ღამე.

ბურლიუკთან საუბარი. რახმანინოვის მოწყენიდან გადავედით ჩვენ სასწავლებლის მოწყენაზე, სასწავლებლიდან მთელ კლასიკურ მოწყენილობაზე. დავითს, აქვს თანამედროვეთა გასწრებულის ოსტატის რისხვა,—მე კი სო-



სოფლის სურათი.

ციალისტის პათოსი, რომელმაც იცის აუცილებლობა ძველის დამხობის. დაიბადა რუსული ფუტურიზმი.

### შემდეგი.

დღეს მე გამომივიდა ლექსი. უფრო სწორად, რომ ითქვას რაღაც ნაგლეჯები. ცუდი. არსად არ არის დაბეჭდილი. ღამეა. სრეტენსკის ბულვარი. ვუკითხავ სტრიქონებს ბურლიუკს, თან ვუმატებ, რომ ეს არის ერთი ჩემი ნაცნობი. დავითი შეჩერდა. დამათვალიერა. და წამოიყვირა. ეს ხომ თქვენი დაწერილია. თქვენ გენიალური პოეტი ყოფილხართ! ასეთი გრანდიოზული და დაუმსახურებელი ქება მე მახარებს. მე მთლად გადავეშვი ლექსებში. ამ ღამეს სრულიად მოულოდნელად მე შევიქენი პოეტი.

### ს ი ლ ა.

მაიაჩკიდან დავბრუნდით. თუ ჩამოყალიბებულ შეხედულებით არა გალესილი ტემპერამენტით. მოსკოვში ვნახეთ ხლებნიკოვი. მისი მშვიდი გენიალობა მაშინ ჩემთვის მიუწდომელი იყო, რადგან მას ჩრდილს აყენებდა მდუღარე დავითი. აქვე ბზრიალობდა ფუტურისტული სიტყვის იეზუიტი კრუჩიონიხს.

რამდენიმე ლირიკის ღამეების შემდეგ დავბადეთ საერთო მანიფესტი. დავითმა გადასწერა მისცა სახელი და გამოუშვა „სილა საზოგადოებრივ გემოვნებას“.

### დაიძრა...

გამოფენები. „ბუბნოვი ვალეტ“. დისპუტები. ამოხეთქილი სიტყვები ჩემი და დავითის. გაზეთები გაივსენ ფუტურიზმით. ტონი არ იყო მაინცა და მაინც ზრდილობიანი. ასე მაგალითად მე პირდაპირ მეძახოდენ „сукин сын“.

### ყვითელი კოფტა.

კოსტიუმები მე არასდოს არ მქონია. მქონდა ორი ბლუზა—საზიზღარი შეხედულობის. გამოცდილი ხერხია გალსტუკით შელამაზება. ფული არ მაქვს. გამოვართვი ჩემს დას ყითელი ლენტის ნაგლეჯი. მოვიხვიე ყელზე. ფურორია. სჩანს ყველაზე უფრო შესამჩნევი და ლამაზი კაცისთვის ყელსახვევი ყოფილა. აშკარ ა, თუ ყელსახვევს გაადიდებ, ფურორიც გაიზრდება და რადგან ყელსახვევის ზომა განსაზღვრულია, მე ვიხმარე ეშმაკობა: გავაკეთე ყელსახვევის ბლუზა და ბლუზის ყელსახვევი. შთაბეჭდილება აუწერელია.

### მხიარული წელიწადი.

დავდიოდით მთელ რუსეთში. საღამოები. ლექციები საგუბენატროები ფხიზლდებოდენ. ნიკოლაევში ჩვენ მოგვცეს წინადადება არ შევხებოდით არც კაცობრიობას არც პუშკინს. ხშირად ნახევარზე გვაწყვეტიებდენ მოხსენებას პოლიცილები. ჩვენ ვატაგას მიემატა ვასია კამენსკი. უძველესი ფუტურისტი. ჩემთვის ეს წლები—ფორმალური მუშაობაა. სიტყვის დამორჩილება (პირველი ტომის პირველი ნაწილი) გამომცემლები ჩვენ არ გვიღებდენ. კაპიტალისტური ცხვირი გრძნობდა ჩვენში დინამიტების მსროლელთ. ჩემსას ერთ სტრიქონსაც არ ყიდულობდენ.

მოსკოვში დაბრუნებული უფრო ხშირად ვცხოვრობდი ბულვარებში, ეს დრო დასრულდა ტრაგედიით „ვლადიმირ მაიაკოვსკი“ დადგეს პეტერბურგში: „ლუნა პარკში“ უსტვინეს.

### ომი 1914 წ.

მივიღე აღელვებულად. პირველად უფრო დეკორატიულად და ხმაურის მხრით. ლექსი: „ომი გამოცხადებულია“.

### ზამთარი.

აღშფოთება და სიძულვილი ომის: „ოხ, დახურეთ, დახურეთ გაზეთების თვალები“ და სხ. ინტერესი ხელოვნებისადმი სრულებით გაქრა.

### კუოკკალა.

შვიდ ნიშნიანი სისტემა (შვიდ ნოლიანი). გავიჩინე 7 სადილის ნაცნობი. კვირას „ვსჭამ" ჩუკოვსკის. ორშაბათს ევრიენოვს და სხ- ხუთშაბათს ყველაზე ცუდი იყო ვსჭამდი რეპინის ბალახებს. ფუტურისტისთვის, რომელსაც ერთი საჟენი სიმაღლე აქვს, რასაკვირველია ეს საქმე არ არის.

საღამოობით დავხეტიალობ პლიაჟზე. ვსწერ „облако"ს.

გამოიჭედა შეგნება მოახლოვებულ რევოლიუციის.

გავემგზავრე მუსტომიაკაში. მ. გორკი. წავუკითხე მას „облако"ს ნაწყვეტები. გრძნობა გადმოდენილმა გორკიმ მთელი ჟილეტი დამისველა ცრემლებით. ლექსებიც დავაყოლე.

მე ცოტა გავამაყდი. მერე გამოირკვა რომ გორკი თურმე ყველა პოეტურ ჟილეტზე ქვითინებს.

ყოველ შემთხვევაში ჟილეტს ვინახამ. შემიძლია დაუთმო თუ ვინმეს უნდა პროვინციალურ მუზეუმისათვის.

### 26 თებერვალი 17 წელი.

წავედი ავტომობილებთან ერთად სათათბიროში, შევარდი როძიანკოსთან კაბინეტში. შევათვალიერე მილიუკოვი. სდუმს. მაგრამ მე რატომღაც მგონია, რომ ის ცოტა ენა დამბული უნდა იყოს. ერთი საათის შემდეგ მომაწყინეს თავი. წავედი. რამოდენიმე დღით მივიღე ავტოშკოლის კომანდა.

გუჩკოვის სიო კრის. ძველი ოფიცრობა ძველებურად დასეირნობს სათათბიროში. ჩემთვის ნათელია, რომ ამათ უთუოდ მიჰყვებიან სოციალისტები.

ბოლშევიკები. ვსწერ რევოლიუციის პირველ დღეებშივე. „პოეტის ქრონიკა" რევოლიუცია. ვკითხულობ ლექციას „ხელოვნების ბოლშევიკები".

### აგვისტო.

რუსეთი თანდათანობით ანებებს კერენსკის თავს. დაკარგეს პატივისცემა. გავდივარ „Новая жизнь"იდან. დავიწყე ფიქრი „მისტერია ბუფფ"-ზე.

### ოქტომბერი.

მივიღოთ თუ არ მივიღოთ. ასეთი კითხვა ჩემთვის (და სხვა მოსკოვის ფუტურისტებისათვის) არ ყოფილა. ჩემი რევოლუცია. წავედი სმოლნში. ვმუშაობდი ყველაფერს, იწყებენ სხდომას.

### 18 წელი.

რ. ს. ფ. ს. რ. ვერ მოიცლის ხელოვნებისათვის. მე კი სწორედ ამისათვის ვარ მოცლილი. შევედი პროლეტკულტში კშენისკაიასთან, რატომ პარტიაში არა? კომუნისტები მუშაობდენ ფრონტებზე. ხელოვნებაში და განათლებაში კი შემთანხმლებლები. მე გამაგზავნეს ასტრახანში თევზის საჭერათ.

### 19 წელი.

ვმოგზაურობ ჩემი მისტერიით და სხვა ნაწერებით ჩემ ამხანაგებთან ერთად ქარხნებში. მშვენივრად გვიღებენ. ვიბორგის მხარეზე ხდება კომფუტის ორგანიზაცია, შევუდექით „კომუნის ხელოვნების" გამოცემას. აკადემიები ინგრევიან. გაზაფხულზე ჩამოვდივარ მოსკოვში. თავში მეძგერა „150.000.000" დაწერის იდეა. წავედი როსტაში სააგიტაციოთ.

### 20 წელი.

გავარღვიე ყველა კანცელარიის თავის ტეხა და სიძულვილი—ვსდგამ „ჩემი მისტერიის" მეორე ვარიანტს. მიდის რ. ს. ფ. ს. რ. პირველი თეატრში მეიერხოლდის რეჟისორობით და მხატვრების ლავინსკის ხრაკოვსკის, კისელიოვის დეკორაციებით ცირკში გერმანულ ენაზე კომინტერის მესამე კონგრესისათვის.

სდგამს გრანოვსკი ალტმანით და რავდელით. მიდის თითქმის ასჯერ.

დავიწყე წერა „იზვესტიებ"ში,

### 21 წელი.

მოვაწყვე „მაფ"ის გამომცემლობის ორგანიზაცია, ვაგროვებ კომუნის ფუტურისტებს. შორეულ აღმოსავლეთიდან ჩამოვიდენ: ასეევი, ტრეტიაკოვი და სხვა ბრძოლების ამხანაგები. დავიწყე ჩაწერა სამი წლის ნამუშევარის 5 ინტერნაციონალის, უტოპია. უნდა ვაჩვენო ხელოვნება 500 წლის შემდეგ.

განვიზრახე: სიყვარულზე: უზარმაზარი პოემა შემდეგ წელში გავათავებ.

რიგში დგას ორი პიესა:

ეს ცოტაა და უვარგისი.

### დასკვნა.

რაც ვსთქვი, იმით არ მსურდა ამოვწურულიყავი. ყველა ნათქვამის გარდა მიყვარს ასტრონომია, „ვარდის ფერი ფანარი" დახურეს იმის შემდეგ, როცა მე წავიკითხე: „ერთი საათი ამის შემდეგ" „მოხეტიალეც" ღამის მიაკეტეს ლექსისათვის: „Вам проживающим."

მაგრამ ამისთვის საჭიროა რომანების წერა.

მე კი პოეტი ვარ. და ეს არის ევრედ წოდებული ავტობიოგრაფია. აი ყველაფერი...

ვ. გ—ელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპარტაკ.

ისტ. დრამა 5 მოქ. და 5 სურ.

## მოქმედება მესამე.

### სურათი პირველი.

ევტიბიდეს ოთახი—საპირფარეშო.

I

**ევტიბიდე მარტო.**

**ევტიბიდე.** (სარკის წინ)
ნუ თუ ჩემს სახეს დაეკარგა მომხიბვლელობა?
ნუ თუ თვალები ვნების ცეცხლით აღარ ინთება?
მაშ ჩემი ბაგე გადაფურჩქვნილ ვარდს არ ემსგავსის?
იგი მჯობია?—ვალერია? მე ვალერია?!
მან ერთ დროს გვნახა: მეც და ისიც! ის მოეწონა? (იძახის)
— ასპაზი!
(მოახლე კარებში გამოჩნდება)
უთხარ: მუსიკის ხმა აღარ მატკბობს!
ტკბილი ჩანგები შესუდრონ და მაღლა დაჰკიდონ!
ჩემს სულს სწყურიან სხვა მუსიკა... არა, მოიცა!
უთხარ: დაუკრან „სიყვარულის მხურვალე ლოცვა“!
(მოახლე გადის)
ის არაბეთის ლომს წააგავს დაუძლეველსა!
იმის თვალებში ინთებიან ელვის ისრები!
იმის მკლავებში ძლიერება ველარ ტეულა!
სპარტაკ!სახელიც ტკბილად ჰრეკავს ჩემს მუსიკაზე!
იმან მე როგორ ვერ შემნიშნა?—ან თუ შემნიშნა,
ჩემის მშვენების ქსელში როგორ ველარ გაება?..
თუ იგი უყვარს...
**ასპაზი.** (შემოდის) ქალბატონო! კაცი გიახლათ,
ამბობს: კუმიდან მოვდივარო!..
**ევტიბიდე.** ჩემი მეტრობი!
რაღას აჩერებ? მე მას ველი ღელვით ამდენ ხანს!
უთხარ მოვიდეს! (მოახლე გადის).
ნეტა თუ რას შემატყობინებს?!
ოჰ ზეცის ძალნო! გარდატანა შემაძლებინეთ!

II

**ევტიბიდე და მეტრობი.**

**მეტრობი.** ქალთა მშვენებას, ევტიბიდეს, მდაბლად სალამი!
**ევტიბიდე.** აბა, რას მეტყვი? რა გაიგე? მართლა ისეა?
ეჭვიც არ არის? დაამტკიცებ? თუ სიცრუეა?
**მეტრობი.** სეტყვა ხომ არ ხარ?
აბა, რომელზე გიპასუხო?—მე კი მეგონა:
ჯერ გამიშლიდი კოხტად სუფრას,—მგელივით მშიან!
**ევტიბიდე.** მოკლედ მი.მბე: ჰო თუ არა? ნუღარ აყოვნებ!
**მეტრობი.** გინდ ჰოსაც ვიტყვი, გინდ არასაც! ჩემზე ჰკიდია!
უფრო კი, ჩემო ევტიბიდე, ჩვენს პირობაზე:
ქისა ნახევრად იქნება, თუ ყელამდი სავსე!
კარგა ხანია ჩემს ჯიბეში თაგვნი დარბიან;
მეგობრებთანაც ვერ ვქეიფობ „რემის სარდაფში“!
**ევტიბიდე.** ოხ, რა ყბედია, ღმერთო ჩემო!
(ქისას აძლევს)
აჰა მტანჯველო!
**მეტრობ.** აქამდის: მეტრობ ხუმარაო, ეხლა—მტანჯველო!
**ევტიბიდე.** რაებსა ჰბოდავ?
**მეტრობ.** მე სიყვარულით შეპყრობილი როდი გახლავარ!
**ევტიბიდე.** კარგი! მომიყე! ჰო თუ არა? მხოლოდ მოკლედ კი!
**მეტრობ.** ჰო!
**ევტიბიდე.** რა ჰო? მითხარ!..
**მეტრობ.** (ცინიკურად) მოკლეც ეს არის! თუ გრძლად გინდა, მაშ დამავალე!
**ევტიბიდე.** გრძლად! დაწვრილებით!
**მეტრობ.** მე ერთხელ ასეთს მზვერაობას ძლივს გადავურჩი!
არ ვიცი ეხლა ევტიბიდე თავს საით მიკრავს!
ქალი და ფული! რომელს უფრო მეტი ძალა აქვს?
ჩემს საქმეში კი მოიყარა ორივემ თავი!
**ევტიბიდე.** როგორ გაიგე? რა გაიგე?
**მეტრობ.** იმავე ფულით! მოვისყიდე მოახლე გოგო.
იმათ კარების ნახვრეტიდან თვით დავინახე,
სპარტაკი როგორ ეხვეოდა სულლას მეუღლეს,
დაქორწინებულს ვალერიას სულ ერთის თვისას!
ჰოი ქალებო! რა მაცდური ვინმე ბრძანდებით!
(ევტიბიდეს გული შეუწუხდება)
რა მოგივიდა? წყალი! წყალი! ექიმი ჩქარა!
(ასპაზიას წყალი შემოაქვს. მეტრობი პირზე შეასხავს.
ევტიბიდე გამობრუნდება. ასპაზია გადის)
ეხლა კარგად ხარ? გაუმაგრდი!.. რომ მომკვდარიყავ,
ხომ წახვიდოდი და შენს მიჯნურს ველარ ნახავდი?
თუ მაგის მეტი შენ ატანა არ შეგიძლიან,
მე, უარყოფილს და მოკლებულს შენს ნაზსა ალერსს,
გამიგონე და ძველს მიჯნურებს ხელს ნუ გაუშვებ!
მეც ხომ მიჯნურად მიგულებდი?..
**ევტიბიდე.** რა მოხდა ჩემს თავს?
**მეტრობი.** ეგ სიყვარულის ელდა იყო, მალე გაივლის!
კარგი იქნება, ევტიბიდე, ესეც იცოდე:
— გული კი აღარ შეგიღონდეს, ღვთის გულისთვის!—
იგი სპარტაკი ჩვენს დიქტატორს მიუწვევია,
რომ გაუწურთნოს საკუთარი გლადიატორნი!
ეს ვალერიას ეშმაკობით მოხერხებაა!
ამ რიგად იგი თავის სპარტაკს ყოველ დღეს ხედავს!..
და ღამღამობით... (ეშმაკურად იცინის)
**ევტიბიდე.** (ამ სიტყვებით უფრო აღელვებული)
ო, ჯოჯოხეთის უძლეველნო, თქვენ დამეხმარეთ!
(მეტრობს აჯანჯღარებს)
მაშ შენ არ შესცდი?
**მეტრობ.** არა, ჭკუაზე მე კი არა, ვგონებ, სხვა სცდება!
**ევტიბიდე** მაშ შენ იხილე... მაშ შენ ამბობ, სულლას სარეცელს ორნი არცხვენენ?
**მეტრობ.** ვამბობ შენთან! ვექილთან—არა!
**ევტიბიდე.** (კარებთან მირბის)
ასპაზი! ჩქარა! დემოფილეს აქ დამიძახე!
უნდა ვაფრინო! უნდა სულლას შევატყობინო.
ეხლა მე ვიცი! ვალერია, კოცონზე გნახავ!..
(საჩქაროდ სწერს წერილს. ყაითნით შეკრავს)
**მეტრობი.** მე გთხოვ... მე მინდა... ეგ წერილი ვის სახელზეა?
**ევტიბიდე.** დიქტატორ სულლას!
**მეტრობი.** (მუხლებში ჩაიკეცება) ჰა? რა სთქვა? როგორ? ალბათ სმენამ თუ მომატყუა!
**ევტიბიდე.** დიქტატორ სულლას...

ეროვნული

**მეტრობი**. ე, მართლა რომ ჭკუაზე შეცდა!..
გლადიატორებს გადაურჩი—აქ ვიღუპები!
მშვიდობით მეტრობ! ვაი, ვაი! მშვიდობით მეტრობ!
**ევტიბიდე**. კომედიანტო! მერე, შენთან ვის რა საქმე აქვს!
**მეტრობ**. სწორედ მოხვდება კომედიანტს! მშვიდობით მეტრობ...
ულამაზესო, ევტიბიდე!.. შენ ქვეყნის თვალო!..
ცოტა დავფიქრდეთ! (დაუჩოქებს)
გთხოვ მუხლ-მოყრით, მოსპე წერილი!
(მოტვლეპილ თავზე ხელს იდებს)
ამ ჩემს ჭაღარას თუმც არსად სჩანს—დასდე პატივი!
**ევტიბიდე**. ვერ გამიგია, რა შუა ხარ, თავს რომ შიგ ალან
**მეტრობ**. მოტანებული არის კიდეც და გარდამეტიც!
მერე, სულლამ რომ არ ინებოს სხვისი ჩარევა...
მე კარგათ ვიცი, იგი სულლა რა მხეციც არის... (სიტყვას შეატრიალებს)
მე უნდა მეთქვა კაცი-მეთქი! და შორს მჭვრეტელი!
ცოლის მაგიერ დამბეზღებელს ძებნა დაუწყოს,
მოახლე გამცემს! ერთ-ორს დღეზე ალმომაჩენენ...
მშვიდობით, მერტობ! და მშვიდობით „რემის სარდაფო!"
როგორც წიწილას გამფლეთავენ—საბრალო თავო!
შემდეგ იქნებ რომ დიდებულად დამმარხოს კიდეც,
და ჩემს კოცონთან შეაბრძოლოს გლადიატორნიც,
პატივსაცემად... (თითქოს ტირილით) დიახ, დიახ, პატივსაცემად!
რადგან დიდი ხნის მეგობრები ვართ მე და სულლა.—
ბრალი ჩემი რომ სანახავით ველარ დავსტკბები!
**ევტიბიდე**. ნუ გეშინიან!
(შემოდის მონა. ევტიბიდე მას წერილს აძლევს. მეტრობი მუხლებში მოსწყდება და სავარძელში ჩაეცემა)
ეს წერილი სულლას საკუთრად...
არსად გასჩერდე, სულ აფრინე შენი მერანი! (მონა გადის)
შენ კი მეტრობი! მიბრძანდი იქ! სუფრა მზად არის!
**მეტრობ**. ყოველი მადა დამეკარგა.
ჯანდაბას იყოს! რაც უნდა მოხდეს.
უბრძანე მაინც,
ღვინო მაგარი მომიტანონ... (გადის)

III

**ევტიბიდე** მარტო.

**ევტიბიდე**. შურის ძიებავ! რა კარგი ხარ, როს მიზანს ახწევ!
ეხლა, კი იგი ჩემს ხელშია! ო, ვალერია!
სპარტაკთან ალერსს ჩაგიშხამებ... მაგრამ მოიცა...
(ფიქრს მიეცა)
იქნებ მე შევცდი? იქნებ სულლამ ვადა ადროვოს,
რომ ორივენი ხელში იგდოს, მაშინ სპარტაკსაც
სულას სასჯელი არ ასცდება... ახ! ჩქარა! უკან!
ასპაზი! ჩქარა! დააბრუნე!

IV

**ევტიბიდე და ასპაზი**

**ასპაზი**. აქ გახლავარ!
**ევტიბიდე**. ჩქარა გაიქეც! დემოფილე...
**ასპაზი**. რა, დემოფილე?
**ევტიბიდე**. ისევ უკანვე დააბრუნე. (მოახლე გარბის)
მეტრობ! ახ მეტრობ! (უძახის)

V

**ევტიბიდე და მეტრობ.**

**მეტრობ**. (შემორბის)
გულის ღონება ხომ არა გჭირს? რა დაგემართა?
**ევტიბიდე**. რა ჭკვიანი ხარ! რატომ წელან არ გაგი[illegible]
**მეტრობ**. მე და ჭკიანი? პირველად მესმის!
**ევტიბიდე**. რომ მოფიქრება სჭირდებოდა! ამ მძიმე საქმეს...
იგი სპარტაკსაც არ დაინდობს! იმასაც მოჰკლავს!
**მეტრობ**. აბა, რას ბრძანებ! ეტლში ჩასვამს და აქ მოგიყვანს!
სულლა ისეთი სულგრძელია, რომ აქ მოგიყვანს!

VI

იგინივე და **ასპაზი**

**ასპაზი** (შემორბის)
უკვე გასულა გალავნიდან... გზაზეც აღარ სჩანს!
**ევტიბიდე**. მთლად დავიღუპე!
**მეტრობი**. კიდევ გაგწუწო? ჩქარა წყალი!
**ევტიბიდე**. შენ მასხარაობ, ჩემს სულშიაც ჩამოიხედე!
არა, ერთი გზა კიდევ არის! მეტრობი ჩემო!
მას უნდა უკან გამოუდგე და დაეწიო!
**მეტრობი**. როგორ თუ უკან?
დაღლილი არის ჩემი ცხენი მეც პური მშიან!
**ევტიბიდე**. (მუხლს მოუყრის)
მუხლ მოდრეკილი გევედრები: მოსპე წერილი!
სულამ არ ნახოს!
**მეტრობი**. წელან მე ვიყავ დაჩოქილი: ნუ გზავნი მეთქი!
ეხლა შენა ხარ: წერილი არ მიუვიდესო!
არა! ცოტა ხანს იყავ ჩემ წინ მუხლ მოდრეკილი (იბერება)
ნახე ამ ქვეყნად მეც ვყოფილვარ ვინმე თუ არა?
**ევტიბიდე**. ელვის სისწრაფით დაედევნე...
**მეტრობი**. გზაზე ჩემს ცხენსა მოუნდება კუდით აწევა!
**ევტიბიდე**. რაც გინდა მთხოვე...
**მეტრობ**. ეგ სხვა საქმეა... რაც გინდა გთხოვო. (ეშმაკურად იცინის)
არ ვიცი არა, მე ეს ქალი სად გადამჩეხავს! (გადის)
**ევტიბიდე**. გემუდარებით ჰომეროსის ყველა ღმერთებო...
შენ აფროდიტე! სიყვარულის დიდო მფარველო!

**ფარდა.**

**სურათი მეორე.**

დარბაზი სულლას სასახლეში.

(ქეიფობს **სულლა** რვა-ცხრა სტუმართან. ყველას თავზე ვარდის გვირგვინი ადგია. ქალები მერიქიფობენ.
უკან მუსიკა და მოცეკვავე ქალები. სიცილი)

I

**სულლა**. (ჩახრინწული ხმა აქვს. სახე ჩამომხმარი, ჩამწვანებული. ზედ აყრია გარყვნილ ცხოვრების მუწუკები. წელში მოხრილი.)
მე ეს ასე მსურს... მსურს რომ ყველამ იმხიარულოს...
მინდა მივეცე თქვენთან ერთად თავდავიწყებას!..
ვინა სთქვა სულლა ავად არის?—მე მან გამტეხოს?
მე უ-ძ-ლ ე-ველი! (ახველებს)
აბა თასები ასწიეთ მაღლა!
**ყველანი**. აცოცხლოს სულლა უძლეველი!
**სულლა**. მაშ, უძლეველი!..—ხელთ მიპყრია!
მთელი მსოფლიო სათამაშო ბურთია ჩემთვის...
მაშ გაუმარჯოს რომის უკვდავს... სიცოცხლეშივე,.,
მის სიამაყეს... ჩემზე უწინ,.. ვინ იყვნენ? ან სად?
ჩემი მეტოქე... საზიზღარი ჩემი მეტოქე...
მარკ მარიუსი! ის დავმარხე!.. არ დამიმარხავს...
მე მოვსპე იგი და სახელიც აღარ არსებობს!
ხომ მართალია? აღარ არსებობს (კმაყოფილი იცინის)
**ლუპერკ**. მაშ გაუმარჯოს უკვდავ რომსა და მის დიდებას!
**ყველანი**. —ვაშა დიქტატორს!—ვაშა სარდალს—ვაშა ორატორს!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სულლა.** მთელს რომში მხოლოდ ერთად ერთი ედილი გრანი."
ის მეურჩება! მიტომ ისიც მოწვეულია!
კრიზიგონ! არის მოწვეული? ხომ მოიწვიე?
**კრიზიგონ.** დიახ, უკდავო!
**სულლა.** რო მოვიდეს, შემატყობინე!
პონციონ! მითხარ, რა სთქვა გრანიმ?
**პანციონ.** (თასი ხელიდან გავარდება. გაფითრებული უყურებს სულლას)
ვინ მოგახსენათ? ვფიცავ ღმერთებს, არ გამიგია!
**სულლა.** (დამშვიდებული)
ჩემს მახვილ სმენას ჩურჩულიც კი დიდის ხმით ესმის!
აბა, მიამბე! რა სთქვა გრანიმ?
მე გავიგონე, შენ რაც უთხარ ამ ელი ლუპერკს...
მართალი არის, ელი ლუპერკ?
**ლუპერკ.** ყოვლად ძლიერო! (დაბნეულია, არ იცის რა ჰქნას)
**სულლა.** შენც უარს ჰყოფ? ორივე სცრუობთ!
ხა, ხა, ხა! როგორ, სცახცახებთ?
მომწონს როდესაც ჩემს წინაშე კაცი ცახცახებს!
სთქვი, გრანიმ რა სთქვა?
**პონციონ.** ბედნიერო, თუ მერწმუნებით...
**სულლა.** მე გერწმუნები, როცა მეტყვი! შენ ასე უთხარ:
„სულლამ გრანის რომ გარდუწყვეტა გადასახადი,
„იმან უარი განაცხადა და ასე სთქვა, თუ"...
მან, აბა, რა სთქვა? მე ყურს გიგდებ! სთქვი! დაათავე!
**პონციონ.** რომის სარდალთა უმაღლესო, უკვდავო სულლა...
**სულლა.** (ბრაზმოსული) არ ვსაჭიროებ მე შენს ქებას, შე სულმდაბალო!
ჩემი სახელი თვით ჩავწერე მატიანეში;
მე შენგან მინდი გავიგონო გრანის სიტყვები...
თუ უარს იტყვი, ველარ წახვალ ცოცხალი სახლში!
აპოლონს ვფიცავ, ამ ჩემს მფარველს!
(ძეწკვზე ჩამოკიდებულს ადრიანტს უჩვენებს).
**ყველანი:**-- თვისი მფარველი დაიფიცა!
— აღარა ხუმრობს...
— სთქვი, სთქვი, პონციონ!
**პონციონ.** (ყველას აათვალიერ-ჩამოათვალიერებს. ყოყმანით)
გრანიმ სთქვა: ეხლა არ გადვიხდი ჯარიმასაო!
სულლა ხომ მალე მოკვდებაო!
**სულლა.** (ბრაზმორეული წამოვარდება) ო, ტარტაროზი!
ჩემს სიკვდილს ელის მოუთმენლად? ჩემს სიკვდილს ელის?
მაგრამ ჰო!.. კარგი!...—ეგ ცხვირები რას დაგიშვიათ?
იქნებ გგონიათ, ჩემს ქელეხში იმყოფებოდეთ?
თქვენც თანაუგრძნობ გრანის განა? ჩემს სიკვდილს ელით!
**ყველანი.** დიდხანს სიცოცხლე ღირსეულ სულლას!
**სულლა.** მე ეს ყიჟინა, მესმის როგორც ყორნის ჩხავილი!
„დიდხანს სიცოცხლე"! თითქოს გულში სხვას იძახიან!
თითქოს ამათაც ენატრებათ ჩემი სიკვდილი!
**კვინტ როსცი.** რა გავიხსენებ მე მასპინძლის მოღვაწეობას,
რომ განუმტკიცა ბატონობა რჩეულ რომაელთ,
რომ იგი დიდი სარდალია დაუძლეველი,
რომ იგი თავის მემუარებს სწერს დიდის ნიჭით,
რომ მან დაჩრდილა ყველა ძველი, ვინც კი ყოფილა
და შეიმოსა თვითონ იგი ღმერთის დიდებით,—
დავლიოთ მისი სადღეგრძელო! იცოცხლოს სულლამ!
**სულლა.** (მოეწონა მისი სიტყვა და გულში იხუტებს)
კვინტ როსცი! ჩემო საყვარელო!
**ყველანი.** Sullae Jelici, Epattrodìto!
აფროდიტესგან საყვარელ სულლას! (მღერიან, ვარდებს აყრიან).
**სულლა.** ჰეი, მუსიკა! რას აკეთებთ, უსაქმურებო!
მარტო სვამთ ღვინოს და მე მქურდავთ! მუსიკა, ცეკვა!...
(მუსიკა უკრავს. ქალები ვნების ამშლელად ცეკვავენ)

**ბ ა ლ ე ტ ი.**

II.

იგინივე. **კრიზიგონ—მეკარე** და შემდეგ **ედილი გრანი.**
**კრიზიგონ.** ღმერთების სწორო!
ედილი გრანი ბრძანებას ელის!
**სულლა.** ო, ის ხომ ჩემი სტუმარია! მოიპატიჟე!
ო, რა რიგ მიყვარს ვინც ნატრულობს ჩემს ადრე სიკვდილს!
(კრიზიგონი ანიშნებს. შემოდის ჭაღარა ედილი გრანი)
ჩემს მტერ-მოყვარეს სალამს უძღვნის მდაბალი სულლა!
**გრანი.** შენი მფარველი აპოლონი მუდამ გწყალობდეს!
**სულლა.** დაგითმობ ადგილს მეტრობისთვის რო ვინახავდი!
სად არის მეტრობ? ჩემი მეტრობ! ჩემი ხუმარა!
უიმისობა ამ მეჯლისში ყველას ეტყობა!
ამ ოქროს თასით, ბატონებო, ვსვამ სადღეგრძელოს,
იმ დიდებულის თანამოძმის, მე რომ ვსცემ პატივს,
მაგრამ იმან კი გაბედა და უარჰყო სულლას
განკარგულება, თანაც სიკვდილს მისას ნატრულობს!
**გრანი.** (აცახცახებული) მე თუ მგულისხმობს!
(სულლა თვალებში უყურებს. შემდეგ გადაიხარხარებს)
**სულლა.** ხომ არ გენიშნა?
**გრანი.** ნუ დაუჯერებ!
დაბეზღებაა! საზიზღარი ცილისწამება!
**სულლა.** ლუპერკ! აციონ! ნუ თუ იგი დაბეზღებაა?
ეხლა სცახცახებ? რატომ მაშინ შიშს არა ჰგრძნობდი,
როცა დიდ სულლას მიაყენე შეურაცყოფა...
ფლიდო! ლაჩარო!
სთქვი, აბა, როგორ ნატრულობდი შენ სულას სიკვდილს!
**გრანი.** (ფეხებში ჩაუვარდება)
დიდო სარდალო! მაპატიე!
ჩემი ცოლშვილი შეიბრალე... ჩემი ჭაღარა!
**სულლა.** შენ შეგიბრალო? შენ ნატრულობ ჩემს ადრე სიკვდილს
და შეგიბრალო? უნდა მოჰკვდე!
(იქვე მაგიდიდან სისწრაფით იღებს დანას და ჩასცემს გულში. გრანი წაიქცევა. სულლა ფეხს წაკრავს).
— ჰეი ზანტებო! გაათრიეთ! მგლებს შეაჭამეთ!
**გრანი.** (მომაკვდავის ხმით)
სულლა. მტარვალო!
მისმინოს ღმერთმა, მალე გნახო, სადაც გამგზავნე!
**სულლა.** ჰაერს ნუ სწამლავს! გაათრიეთ!
(მონებს გვამი გააქვთ)

III.

იგინივე, **გრანის** გარდა.
**სულლა.** მე დიდმა სულლამ დავიმონე ურიცხვი ერი!
თვით ჩემს წინაშე მეფეებიც შიშითა კრთიან...
ეგ კი ჩერჩეტი მეურჩება!.
**პონციონ.** ძლიერ მთვრალია!
**როსცი.** ჯანაბამდის გზაცა ჰქონია!
რომ რამე ვუთხრათ, გრანის ბედი არც ჩვენ აგვცდება!
ღვინო დავლიოთ და მივუძღვნათ დითირამბები!

რა გვენაღვლება რომ ვაქოთ და თან ვიქეიფოთ?
**სულლა.** თქვენ მეგობრებო! ნუ მოიწყენთ! ეს თამაშია!
ვვონებ, რომ უფრო გაერთობით სანახაობით!
**ყველანი.** დიდებულია, დიდებული! (ყველანი ცბიერობენ(
**როსცი.** ცბიერი გრანი! რა საბრალოდ ხელში კვდებოდა!
მაგრამ ვერ გასჭრა მისმა ცრემლმა!..
**ლუპერკ.** რომაელს განა ცრემლი შეჰფერის?
**პონციონ.** იქ დედას ჰკითხავს, ვისი სისხლი ედგა ძარღვებში!
(საერთო სიცილი და სმა)
**სულლა.** ჩემო მეტრობი! შენ ხუმრობას ვინ შეედრება!
სად არის იგი?— — —
ამ ბოლო დროს ცუდ სიზმრებს ვხედავ!
(შემოდის გორტენზი. საერთო მისალმებაა.)

IV.

**იგინივე და გორტენზი.**

**ყველანი.** ა! გორტენზი! გორტენზი!—სულლას ცოლის ძმა!
**სულლა.** ჩემო ცოლის ძმავ! აქეთ! ჩემკენ! მოდი დაგკოცნო!
**გორტენზი.** ნუ შესწუხდები, დიდო სულლა! ნუ შესწუხდები!
**სულლა.** განა არ მახსოვს, რომ შემაქე იმ დღეს იმ დღეს სენატში?!
რა დიდებული, მჭერმეტყველი ხარ, შენ, გორტენზი!
ასეთი უნდა იყოს კიდეც ჩემი ცოლი-ძმა!
შენ ის გინდოდა, ძველს ადგილზე დავრჩენილიყავ!
აბა, დავლიოთ სადღეგრძელო ჩვენი გორტენზის!
(სვამენ)
მაგრამ მე აღარ მოვინდომე დიქტატორობა!
შენა გგონია, დაიხსომებს ხალხი სიკეთეს?
ხალხი ბრბო არის! იგი უნდა დაიმორჩილო!
ძლიერი მუშტი მუდამ უნდა ზედ თავზე გედოს!
თორემ მოჰყვება ღრიანცელსა, მყრალსა გინებას...
და შემდეგ... შემდეგ.. სადმე კლდეზე გადავარდება!
ხა! ხა! ხა!
მეც ხომ მქონია ნიჭი შენებრ მჭერმეტყველების?
დიდებულათ ვსთქვი: „სადმე კლდეზე გადავარდება!“
მთვრალი ვარ, მაგრამ ჩემს გონებას მაინც არ ვკარგავ.
**ყველანი.** დიდებულია! დიდებული!
— ხომ მოგეწონა?
— ხომ მოგეწონათ მეგობრებო?— დიდებულია!
**პონციონ.** რაც უნდა არ თქვას, ყველაფერი დიდებულია!
**სულლა.** (გორტენზის)
მე მინდა ეხლა მშვიდ ცხოვრებას მივეცე ჩემთვის!
ჩემს ვალერიას ჩემი დღენი უნდა შევწირო!
ჩემო გორტენზი! ერთი სევდა მე გულზე მაწევს,
როს გავიხსენე ვალერია.... ფეხ-მძიმედ არის...
რაც მეტის მეტად საეჭვო და საკვირველია!
რადგან მე არც ერთ ქალთან შვილი არა მყოლია...
და, აბა, შენთან რა დავმალო? ახლობელი ხარ...
მოგეხსენება ჩემი სენი უკურნებელი...
ის კი!—გარწმუნებ—გამომიტყდა: ფეხმძიმედ ვარო!
**გორტენზი.** ალბად ღმერთებმა გადმოგხედეს, მათებრ უკვდავო!
**სულლა.** შენც ხომ გწამს ჩემი უკვდავება, ჩემო გორტენზი!
მხოლოდ ციცერონს... არა, ისიც დიდებულია!
რისთვის გაიქცა საბერძნეთში? თავს რად მარიდებს?
(რაღაც მოაგონდა და აირევა)
თავს რომ მარიდებს... ციცერონი... ჩემი მკილავი...
განა არ ვიცი, ყველას გძულვართ, თქვე საზიზღრებო!?
პირში მე მაქებთ და პირს უკან სამარეს მითხრით!
თქვე სულმდაბლებო, რო დაჰხოხავთ ჩემს ფეხთა ქვეშ!
ან რისთვის გძულვართ?
(ნერვებ აშლილი ქვითინით. გორტენზის ეყრდნობა)
მე ხომ მოგეცით სიმდიდრე და თანამდებობა?
მე ხომ თქვენ ყველა აგამაღლეთ სხვა პატრიცებზე?
უარვყავ ჩემი სახელი და დიქტატორობა...
როგორ? სახელიც?—არა! არა! მე ვარ უკვდავი...
ჩემი სახელი მომავალშიც გარდაიცემა...
მე ვარ უკვდავი! ხომ ვარ გორტენზი?
**გორტენზი.** მოსვენებას თუ საჭიროობ,
მე მიგაცილებ დიდებულო, სიძე-ბატონო!
**სულლა.** არა! მოიცა! ეს გაივლის. . მოგიწყენიათ?
ხომ ჰხედავთ მე ვარ მხიარულად—თქვენც მოილხინეთ!
ეხლავ გიჩვენებთ ისეთ ნაირ სანახაობას,
რომ შეიქციოს ყველამ თავი!—ჰეი კრიზიგონ!
**კრიზიგონ.** გისმენ ბრძანებას!
**სულლა.** გინდათ იხილოთ თქვენ წინ ბრძოლა გლადიატორთა?
**ყველანი.** (დიდის აღტაცებით)
გვინდა! გვინდა! დიახ! დიახ! დიდებულია!
გლადიატორნი! გაუმარჯოს უძლეველ სულლას!
**სულლა.** კრიზიგონ! წადი და სპარტაკსა შეატყობინე:
გლადიატორნი მოიყვანოს და შეაბრძოლოს!
(კრიზიგონ გადის)
უნდა გვიჩვენოს, ჩვენს სკოლაში როგორ დაწურთნა!
ის ვალერიას თხოვნითა მყავს მე აყვანილი!
**ხმები:** ის რუდიარი დიდებულია!
**სულლა.** თქვენ? როგორ? ის დიდებული? მეც დიდებული?
**როსცი.** (შეატყობს წყენას და აწყვეტინებს) რაც უნდა დიდი ვინმე იყოს—საზიზღარია!
გლადიატორი! რუდიარი! დაბალი ჯიშის!
ის პირუტყვია! გინდა დაჰკლავ, გინდ გაასუქებ!
**სულლა.** ო, როსცი! როსცი! შენს სიმართლეს რა შეედრება?
ჩვენ, რომაელნი რჩეულნი ვართ თვით ღმერთებისგან,
რომ მაგისთანა მდაბალ ხალხზე ჩვენ ვბატონობდეთ!
**ყველანი.** (აღტაცებით თასებს ასწევენ)
ჩვენ ვბატოწობდეთ! ჩვენ ვბატონობდეთ!
**აპული.** (რომლიც აქამდის ხან სთვლემდა, ხან თვალებს წამოაჭყეტდა, ლაპარაკს ძლივს ახერხებს).
როს ღვინოს დავლევ, მაშინ მოდის აზრი და აზრი...
რა უნდა მეთქვა? კუჭი... კუჭი... რა მოგახსენოთ...
ყველა ღმერთები კაცის აზრით მოგონილია...
(ერთი ამხანაგთაგანი ძალით სვამს სკამზე და უნდა რომ დააჩუმოს).
—მოიცა ლუპერკ... —ნუ მაწყვეტინებთ!—
მხოლოდ არ არის მოგონილი კორნელი სულლა!
(ლუპერკი კვლავ ძალით დასვამს)
**სულლა.** მომწონს... მაგრამ ჩემი აზრი სთქვა!..
გორტენზი ჩემო! ამ ბოლო დროს ცუდს სიზმრებს ვხედავ!
გამომეცხადა ჩემი ცოლი ერთის წლის მკვდარი...
**გორტენზი.** არაფერია!
**სულლა.** ამბობენ კი „ცუდს ჰნიშნავსო!“
როგორ? მე მოვკვდე? ვეღარ დავსტკბე თქვენთან ქეიფით?
ღმერთნი არიან განუსჯელნი! უსამართლონი!
**აპული.** (კვლავ წამოდგება)
ღმერთებზე სიტყვა მე მეკუთვნის... ჰოი ძლიერო!
მე ჩემი ღმერთი ამ კუჭში მყავს და მის ვმსახურებ!

ელექტრონული ბიბლიოთეკა

**სულლა.** მე უნდა მეთქვა ეგ აზრი და შენ კი დამასწარ.?.
როგორ გაჰბედე, შე ლოთო, რომ ჩემს აზრებს ჩასწვდი.
**პონციონ.** აპულის საქმე წასულია! კოცონზე ავა...
(იცინიან პონციონ და ლუპერკ)

V.

იგინივე. **კრიზიგონ. გლადიატორები:** ხუთი **ფრაკიელი** წითელ ტოგებით, ხუთი **სმინიტი** ლურჯებით. საბრძოლველად გამზადებულნი.
**კრიზიგონ.** შენი აჩრდილი იყოს ჩვენთვის ნათელი მზისა!
**სულლა.** რა უყავ სპარტაკ?
**კრიზიგონ.** იგი ვერ ვნახე?
**სულლა.** (ეჭვიანად) იგი ვერ ნახე? (იჭვიანად)
მაშ სად იქნება? როგორ თუ შენ იგი ვერ ნახე?
სად არის სპარტაკ?

VI.

იგინივე და **სპარტაკ.**
**სპარტაკ.** მეც აქ გახლავარ, დიდებულო ღმერთების სწორო!
**კრიზიგონ.** (თავისთვის)
გადავრჩით ყველა: მეც, სპარტაკიც და ვალერიაც!
**სულლა.** მე მინდა ვნახო, რა ასწავლე შენს მოწაფეებს!
**სპარტაკ.** (შემკრთალი) უნდა ვაბრძოლო?— — —
ორი თვეა, ფარიკაობენ!— —
მაგრამ ადვილად დაინახავ!— —
(გლადიატორებს თადარიგს აძლევს)
თქვენ უნდა ეხლა სულლას სტუმრებს ასიამოვნოთ...
უხდა სიცოცხლეს გამოაკდეთ—რა არის თქვენთვის
თქვენი სიცოცხლე? ის ეკუთვნის ძლიერ ბატონებს!
(ორტორიქს დაინახავს).
ორტორიქს! შენც აქ? შენ რად მოსუხარ?
რომ რამე გევნოს, ჩვენი საქმე დაიღუპება!
ამხანაგებშა შენ აქ ან კი რად გამოგზავნეს?
**ორტორიქს.** ჩვენ წილი ვყარეთ! ხვედრი მე შემხვდა!
**სპარტაკ.** (სულლას)
ნება მიბოძე, დიდ-სულოვანო!
აძის მაგიერ სხვა დავიბარო!
**სულლა.** მაგას კი ბრძოლა არ შეუძლიან?
**სპარტაკ.** ის სხვებზე მეტად გამოცდილია!
მაგის შეწევნით ძლიერია ფრაკელთ მხარე!
ორთავ მხარეს კი უნდა იყოს თანასწორობა!
**სულლა.** ეგ უვრო კარგი! უარესი სამნიტებისთვის...
დაე იბრძოლონ!
**გლადიატორები:** (სულლას წინ ერთხმად)
სალამი სულლას, სასიკვდილოდ გაწირულთაგან!
Ave sullae! morituri te salutant!
(გლადიატორები იბრძვიან. ველური ალტაცებაა. ერთი ფრაკიელი და ორი სამნიტი მკვდრები დაეცემიან. ორიც დაჭრილი სამნიტი პატიებას თხოულობს. აპატიებენ ცერების დაშვებით. ბოლოს ცერს დაუშვებს სულლაც. ერთი სამნიტი გამწარებული ებრძვის ოთხ ფრაკიელს).
**სულლა.** გააჩერე მაგათი ბრძოლაც!
აბა, შენ, სპარტაკ! შეებრძოლე მაგ ხუთსავ ერთად!
**სპარტაკ.** (აილეწება ამ მოულოდნელობით. შეძრწუნებული სდგას. არ იცის რა უპასუხოს).
**ორტორიქს** (ყურში) გაბედე სპარტაკ! შენი ღელვით საქმეს არ ევნოს!
**სპარტაკ.** (თავაზიანად)
ნება მიბოძეთ გაგახსენოთ, სვე-ბედნიერო,
რომ მე გახლავართ რუდიარი—თავისუფალი!
და შენთან მხოლოდ მასწავლებლად მე ვიმყოფები!
**სულლა.** ხა! ხა! ხა!
შენ გეშინიან სიკვდილისა, მდაბალო სქესო!
ვფიცავ იბრძოლებ! (მაგიდაზე მუშტს დაჰკრავს)
ვინ მოგანიჭა სიცოცხლე და თავისუფლება?
ეს იყო სულლა და სულლავე იმას წაგართმევს!
გიბრძანებ, ეხლა შენ იბრძოლო! იბრძოლებ კიდეც!

VII

**იგინივე და ვალერია**

(ვალერია შემოდის უცბად. აღელვებას იკავებს. საზეიმოდ მორთულია).
**ვალერია.** მაშ, აი, რისთვის იბარებდა!—დაიღუპება!
(წინ წარმოდგება. ზოგნი სალამს აძლევენ, და ზოგნიც სალამის მისაცემად ვერ წამომდგარან).
ამას რას ვხედავ!. ჩემო მეუღლევ!...
(სულლას წინ დაემხობა)
**სულლა.** შენ აქ ხარ... ამ დროს? ვალერია! რა გინდა შენ აქ.
**ვალერია.** მიპატიჟებდი შენ მე მუდამ.... ვერ დავიძინე...
მესმოდა თქვენი ზრიამული!. გავბედე მოსვლა...
ნებას არ გაძლევს შენი ჯანი, აქ მეტს ხანს დარჩე!
ნუ თუ არ გეყოთ სისხლის ღვრა და ამდენი მსხვერპლი
იქ, იმ ცირკებში, რომ დარბაზშიც არ გაგემართათ?
**სულლა.** არა გაქვს ნება სტუმრებს რამე უსაყვედურო!
არა გაქვს ნება დაითხოვო... გაჩუმდი, კმარა!—
შეებრძოლე!
**სპარტაკ.** (უკმეხად)
მე შენს ბრძანებას არ შევასრულებ
და არც ვიბრძოლებ!
**სულლა.** შენ ურჩობ, მონავ!
**სპარტაკ.** მე მონა არ ვარ!
ვინემ ჩემს ხალხსა დაიპყრობდით, იმ დრომდე ვიყავ
თავისუფალი და რჩეული ჩემის ხალხიდგან!
**სულლა.** შე საზიზღარო! შეიპყარით!
**სპარტაკ.** (მახვილით სულასკენ გამოექანება).
სისხლი გწყურიან და საკუთარ სისხლით დაგახრჩობ!..
(ვალერია წინ გადაეღობება. სპარტაკი უცბად შეჩერდება. შემდეგ უცბად აივანთან მივა და იძახის:)
**სპარტაკ.** დაჰკარით საყვირს! აიშალენით!
საათმა დაჰკრა! გაშალეთ დროშა...
აწ აჯანყება დაიწყო ჩვენი... (დაფის ხმა)
(ყველანი შემკრთალნი არიან გლადიატორები სცენაზე დროშას აათრიალებენ. იძახიან: გაუმარჯოს თავისუფლებას! სიმღერით გადიან. გარედ ხმაურობაა და ძახილი: აიშალენით! საათმა დაჰკრა! ძირს დიქტატორი)!
**სულლა.** (გაშეშებული. გაფითრებული. სული უგუბდება)
ჩემს წინააღმდეგ!.. აღიმაღლა მონამ მახვილი!
დროშა, გაშალეს... ჩვენს წინაალმდეგ!..
იქ... რას უყურებთ? გული... გული! სული მეხუთვის...
ექიმი... სისხლი... ჰაერი...
(იატაკზე გაიშხლართება. მონები და სტუმრები მისცვივიან და ტახტზე დაასვენებენ. ღრმა სიჩუმე).
**გორტენზი.** (მაჯას უშინჯავს)
გარდაცვლილა!
(ვალერია სდგას გაფითრებული. ზოგი ქვითინებს, (ზოგიც გაშტერებულია.)

VII

**იგივენი დემოფილე და მეტრობ.**

**დემოფილე.** (შემოდის ხელში წერილით. რიხით)
დიქტატორ სულლას საკუთარს ხელში!
(გორტენზი ჩამოართმევს ამ დროს შემორბის მეტრობ და იძახის: წერილი მომეც! მოსპე! დახიე!—მიცვალებულ სულლას დაინახავს. შეკრთება)

ფარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ალბერტ აინშტაინ.

„დიდებულმა მეცნიერმა, თავისი ახალი სწავლის ძირითადი დებულებანი პირველად წაიკითხა სპეციალისტების ვიწრო წრეში. მოხსენების შემდეგ ჩქარი ნაბიჯით დაბრუნდა სახლში ერთი დამსახურებული მათემატიკის პროფესორი. სულიერად დაცემული და დაქანცული, გაკვირვებული მითი, რომ მთელი მისი ძველი ქვეყანა უმოწყალოდ დაუნგრევია ახალს, შევიდა ის თავის სამუშაო ოთახში. დიასახლისის გაკვირვებულ შეკითხვას, უპასუხა პროფესორმა: ყველაფერი ირყევა, ქვეყნები ინგრევიან, რწმენა და ცოდნა იღუპება, ის რაც გვწამდა, რასაც ქვეყანას ვასწავლიდით სიყალბე აღმოჩნდა, სინამდვილემ აიხადა პირბადე, დაინგრა ჩვენს მიერ აღიარებული ჭეშმარიტება, ქვეყანას მხოლოდ ნანგრევები ღა დარჩა“. ასეთ სიტყვებით გადმოგვცემს ერთი გერმანელი მკვლევარი, სულიერ შთაბეჭდილებას იმ ხალხისას, რომელთაც მოისმინეს აინშტაინის პირველი მოხსენება მისი ახალი აღმოჩენის შესახებ.

სამართლიანად აღნიშნა ერთ თავის მოხსენებაში ცნობილმა ფილოსოფოსმა ნატორპმა: „საერთო რელატივობის თეორიით მოგვევლინა აზროვნების აქტის უდიდესი რევოლიუცია, თვით კოპერნიკის სისტემა არ წარმოადგენდა დასრულებულ რევოლიუციას, ის ვერ სწვდებოდა სრულ კოსმოსს, მთელი თავისი გასაქანით; თანამედროვე რელატივობის თეორია არის დამთავრებული რევოლიუცია, უმოწყალო ნგრევა ყველა არსებული პრინციპების, კოსმოსის სრული გადატრიალება.

ისეთი დამსახურებული ფიზიკოსი როგორც ჰაიდელბერგერი პროფესორი ლეჰნარდი სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენა აინშტაინის თეორიის გაუგებრობამ. თეორიულ ნიადაგზე რომ ვერას გახდა აინშტაინის წინააღმდეგ, იმით გაიმარჯვა, რომ ევროპას ასმინა: აინშტაინის თეორია ბოლშევიზმია ფიზიკაშიო.

ალბერტ აინშტაინი, პირველად ვნახე 1919 წლის დასაწყისში ბერლინის ერთ-ერთ დიდ აუდიტორიაში, სადაც ის გაერთიანებულ სოციალისტ სტუდენტთა კავშირის სასარგებლოდ თავის თეორიის შესახებ პოპულიარულ მოხსენებას ჰკითხულობდა. მალე, ამავე წელს ინგლისის რადიო სადგურებმა შეატყობინეს მთელ კულტურულ კაცობრიობას: „აინშტაინმა გაიმარჯვა ნიუტონზეო“. რას ნიშნავდა ეს? აინშტაინის თეორია არსებობდა 1905 წლიდან. მე-19 საუკუნის უკანასკნელ წლებში დასავლეთური აზროვნების სიამაყე მისი გეოფიზიკა იმდენად ამოიწურა შინა პრინციპების დახარჯვით, რომ შესაძლებელი გახდა დიდ ფიზიკოსთ შორის მოვლინებულიყო ერნსტ მახი უსაშინელესი პესიმიზმით და მოეთხოვა ფიზიკალურის ურყევ აზროვნების ყველა კანონებს ადგილი დაეთმო ადამიანის მსოფლმხედველობრივი რყევისათვის. მახი თავის არგუმენტებით დაუძლევს ჩამოგავდა და იძულებული იყვნენ ფიზიკოსები მისთვის მოესმინათ. დიდი ფიზიკოსი მაქს პლანკი, შეურყევლად იცავდა ძველ კლასიციზმს და მეცნიერულ ოპტიმიზმს, მაგრამ მას არ გააჩნდა უძლევი არგუმენტები მახის თეზების წინააღმდეგ, გარდა იმ სწორი, მაგრამ არა ბასრი თქმისა, რომ თუ მახი მართალია, მაშინ ყველა ფიზიკოსმა, და ყველა ადამიანმა საკუთარი ფიზიკის სახელმძღვანელო უნდა დასწეროსო. თეორიულ ფიზიკაში საშინელ უძლევ და უხეშ სვეტად იდგა კიდევ 1881 წელში მაიკელზონის და მორლეის მიერ აღმოჩენილი პარადოქსონი; სახელდობრ ის, რომ ექსპერიმენტალურად აღმოჩნდა შემდეგი: მიუხედავად ეთერის ორკანის რხევისა უნივერსის სივრცეში სხივი გაივლიდა განსაზღვრულ სივრცეს წინ და უკან ერთსა და იმავე დროს. ყველა იმ კანონების მიხედვით, რაიც აქამდის ფიზიკოსებს გააჩნდათ, ეს ასე არ უნდა მომხდარიყო; მიუხედავად ამისა, რამდენჯერაც კი არ გამოსცადეს ეს ექსპერიმენტი, ეფექტი ერთი და იგივე დარჩა. აქ აღარც მახის ფილოსოფიური სოფიზმები შველოდა, ეს ხდებოდა არამც თუ წინააღმდეგ ჩვეულებრივი ადამიანის თვალსაზრისისა და მისი „შეგრძნება-ელემენტების კომპლექსისა,“ არამედ აგრეთვე ყველა დიადი ფიზიკოსის აზროვნების ცოდნის და სურვილისა.

ფიზიკის ამაყი შენობის გადასარჩენად და პარადოქსონის თავიდან ასაშორებლად ჩვენი საუკუნის დასაწყისში ჰოლანდიის ფიზიკოსი ჰ. ლორენცი იგონებს ისეთს ჯამბაზურს მათემატიკურ ხერხს, რომ ფორმულის საშვალებით ბუნებას აიძულებს ჰქონდეს უძრავი ეთერი და მოძრავ სხეულს აიძულებს მოძრაობის ყველა მომენტში შეკუმშოს ეთერის არე იმდენად, რომ უკან მოძრაობის დროს შეკუმშული გაიშალოს და ორივე გზა ერთი მეორეს უდრიდეს. ყველა ეს გამოყვანილია ერთად ერთ მათემატიკურ ფორმულაში! გონების,—რომელიც, კანტის დამოწმებით, ბუნებას კანონებს უკარნახებს—ამაზე უფრო დიდი გამარჯვება აღარ შეიძლებოდა; მაგრამ გამარჯვებაც არის და გამარჯვებაც. ლორენცის ფორმულა არაფერს არ ხსნის, მან არ იცის საკითხი, რად უნდა იყოს ეთერი უძრავი, რად უნდა ხდებოდეს დასახელებული შეკუმშვა და სხვ. მოკლეთ: ლორენცი კიდევ კლასიკურ მექანიკის ნიადაგზე იდგა და ამ მექანიკისათვის არა ხელსაყრელი ექსპერიმენტის შედეგებს ხერხის და ფორმულის ხუხულის საშუალებით იცილებდა თავიდან. სინამდვილეში მაიკელზონის და მორლეის ეფექტი ისეთსავე თავსატეხ ამოცანად დარჩა, როგორც ლორენცის ფორმულამდი იყო. ფიზიკალურ აზროვნების ამ საშინელ კრიზისის ხანაში, სახელდობრც 1905 წელს ცნობილ ჟურნალში

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ფიზიკის ანალები=4. XVII გვ. 891 გამოდის წერილი, Zur Elektrodynamik bewegter Systeme, რომლის ავტორი იყო ახალგაზრდა ინჟინერი ალბერტ აინშტაინი. ულმობელად დაინგრა ძველი, აღმოჩენილ იქმნა სპეციალი რელატივობა, დროის და სივრცის გარელატივებით, ხოლო სინათლის მოძრაობის სიჩქარის შემდეგ ფორმულაში ჩამოსხმით: სინათლის მოძრაობის სიჩქარეს + დედამიწის მოძრაობის სიჩქარე=სინათლის მოძრაობის სიჩქარეს—თამაშივით გამოყვანილ იქმნა მაიკელზონის თავსატეხი ეფექტის საიდუმლოება: სინათლის სხივი ერთსა და იმავე სივრცეს წინ და უკან მსვლელობის დროს გარბის ერთს და იმავე დროს, მხოლოდ იმიტომ რომ 3=4. სამი უდრის ოთხს, საშინელებაა, არა?! აინშტაინის თეორია ჩვეულებრივი გონებისათვის კი არა, ფიზიკის პროფესორების გონებისათვის საშინელება იყო იმ დროს. აინშტაინმა ერთი დაკვრით დაანგრია დრო და სივრცის აბსოლიუტური მექანიკა და დაამკვიდრა მათ ადგილას მათი რელატივობა. საშინელ ნაღმივით ააფეთქა ევროპის ფიზიკალური აზროვნება იმ პატარა წერილმა. დიდი ფიზიკოსის მაქს პლანკის გენიალურმა ინტუიციამ მალე გაიგო, რომ მეოცე საუკუნის დიდი საიდუმლოება აღმოჩენილი იყო და უყოყმანოთ გადავიდა აინშტაინის ბანაკში. კიდევ თავის ლაიდენელ სიტყვაში პლანკი ბურუსში გახვეულს ხედავს ამ აღმოჩენას (1909 წ.) აქ ამბობს ის, რომ მთლიანობა ფიზიკალური ქვეყნის სურათის გადარჩენილია (მახის წინააღმდეგ) დიდი აღმოჩენა გაკეთებულია, ძველი ინგრევა, ახალი ფიზიკა მოდის და სხვ. ნაგულისხმებია სპეციალი რელატივობის თეორია. აინშტაინის თეორიას კიდევ 1908 წ. ურყევლად ამაგრებს უკვდავი ჰერმან მინკოვსკი ´დღეს მთელ კულტურულ ქვეყანაზე დაცულია მისი ცნობილი სიტყვა: Raum und zeit, Köln 1908.

1913 წელს უკვე გამოდის კრებული ლორენც-მინკოვსკი—აინშტაინი: Das Relativitätsprinzip. (Leipzig und Berlin, Teubner.) ხოლო 1916 წელს გამოდის აინშტაინის დიდი რევოლიუციის მომხდენი შრომა: Die Grundlagen der algemeinen Relativitätstheorie Leipzig 1916. ამ შრომამ, რომელიც სულ 64 გვერდს შეიცავს ქვეყანას შეატყობინა საერთო რელატივობის თეორიის აღმოჩენა. (შინაარსის აღნიშნა შეუძლებელიც არის და უადგილოც). აქვე დაუმატოთ ამავე წელში აინშტაინის მიერ პრუსიის სამეცნიერო აკადემიის წინაშე გაკეთებული მოხსენება: Die formalen Grundlagen der allgemeinen Relativitäts theorie (იხ. იქვე XLI. 1916). აინშტაინმა იწინასწარმეტყველა, თუ ჩემი თეორია მართალი არის, მაშინ დავინახავთ, რომ მომავალ მზის სრული დაბნელების დროს შორეულ ჰერკულესის სისტემიდან მომავალი სხივი მზის არესთან გავლის დროს იღუნება 1, 7 სეკუნდის სისხოთით. რას ნიშნავდა ეს? ეს ნიშნავდა იმას, რომ სხივი მსოფლიო სივრცეში სწორად არ ვრცელდება და დიდრონი მასების სფეროსთან გავლის დროს იღუნება, ე. ი. მას აქვს სიმძიმე, ე. ი. სხივი ენერგიაა მატერიისა, ე. ი. დროსივცე მატერია და ენერგია ერთი და იგივეა ე. ი. მატერიის კონსტანტობა სხვა და სხვა სისტემების მიმართ არ არსებობს ყველა ეს ფიზიკოსებისათვის იმაზე გაცილებით მეტს ნიშნავდა, რაც მოთხრობა იმის შესახებ, რომ ბალდადს ვირები ხის ტოტებზე დახტოდნენ! აინშტაინმა კი განაცხადა: თუ ჩემი სისტემა მართალია, ეს მაშინ ასე მოხდება. თუ არა და, ჩემი ანგარიშები და მთელი თეორია მხოლოდ ხუხულა ყოფილა და მეტი არაფერიო. გაზაფხულზე 1919 წელს ინგლისელი ასტრონომები დიდი ფოტოგრაფიული აპარატებით გაემგზავრენ ბრაზილიის ახლო გაშლილ ოკეანეს პატარა კუნძულებზე, სადაც 29 მაისს 1919 წელს მათი აპარატები მზის დაბნელების დროს ვარსკლავებიდან მომავალ სხივების სურათებს იღებდნენ. რა აღმოჩნდა? ცუდი ტაროსის გამო ყველა აპარატმა სურათი ვერ გადიღო, ხოლო რომელმაც გადაიღო, სურათი უჩვენებდა, რომ ყველა ვარსკვლავების სხივები მზის სივრცეში გამოვლის დროს იღუნებოდენ 1,7 სეკუნდით. აინშტაინმა გაიმარჯვა ნიუტონზე! თეორია დამტკიცდა. ეს ამბავი მოედვა მთელს ქვეყანას.

მოწინააღმდეგებმა განაცხადეს, რომ 1919 წლის მზის დაბნელების დროს გადაღებული სურათები არაფერს არ ამტკიცებენ, რადგან მზის სრული დაბნელების დროს ტაროსი ცუდი იყო. ამიტომ საჭირო შეიქმნა რელატივობის თეორიის ექსპერიმენტალური დამტკიცება მორიგ მზის დაბნელების დროს.

მეორე ექსპედიცია მოაწყო ამერიკელებმა ავსტრალიაში 1922 წ. შედეგი ბრწყინვალე გამარჯვება იყო აინშტაინისათვის. სურათებმა ერთხმად აჩვენეს კოეფიციენტი 1,75.

1922 წ. 10 სექტემბერს მორიგი მზის დაბნელება უნდა მომხდარიყო მექსიკაში. იქაც გაემგზავრნენ გერმანეთის მეცნიერები, მაგრამ ჯერ შედეგი არ ვიცით.

ალბერტ აინშტაინი დაიბადა ბავარიაში, ჩამომავლობით ებრაელი; მამა მისი—ელექტრო-მატორების ქარხნის მეპატრონე იყო. პირველი სწავლა შვილმა მიიღო სახლში, შემდეგ საშვალო სასწავლებელში. კურსი არ ქონდა დამთავრებული, რომ მამა მისი „გაკოტრდა“ და გადასწყვიტა გადასახლებულიყო გერმანიიდან იტალიურ შვეიცარიაში მშვენიერ ლუგანოს ახლოს. აქედან ალბერტი მალე გამოგზავნილ იქმნა გერმანულ შვეიცარიაში, სახელდობრ ქ. ციურიხში, სადაც დაამთავრა ფედერაციის სახელმწიფო პოლიტეხნიკუმი ინჟინრის ხარისხით. სტუდენტობის დროს განსაკუთრებით თავი არ გამოუჩენია. სწავლის დამთავრების შემდეგ აინშტაინი უმნიშვნელო სამსახურში იმყოფებოდა 1905 წ. როდესაც მისი ყოვლის გადამტრიალებელი შრომა გამოქვეყნდა, მაშინ აინშტაინი დაბალი ხარისხის შვეიცარიის საბაჟოს სამმართველოში მსახურებდა. ბერლინის აკადემიის „უკვდავები“ მალე მიხვდნენ, თუ რა გიგანტური ძალა იმალებოდა „მოძრავ სისტემათა ელექტროდინამიკისათვის“ დამწერ ავტორში. აინშტაინი არჩეულ იქმნა პრუსიის სამეცნიერო აკადემიის წევრად ყველაზე უახალგაზრდესი. მალე დაინიშნა ბერლინის უნივერსიტეტში პროფესორად და სახელმწიფო ფიზიკალური ინსტიტუტის დირექტორად.

ინგლისში სტუმრად მისრულ აინშტაინს ლოიდ ჯორჯმა სამართლიანად უწოდა მეოცე საუკუნის გენიოსი.

უკანასკნელად ვნახე მე აინშტაინი ბერლინის უნივერსიტეტში 1920 წ. იმ დროს ზამთრის სემესტრში იგი კითხულობდა შედარებით პოპულიარულ ლექციას რელატივობის თეორიის შესახებ. საზოგადოების დიდი ყურადღება მიიპყრო. აინშტაინის სურვილი იყო ლექციას დასწრებოდა არა-სტუდენტებიც. ნაციონალისტური და ანტისემიტური სტუდენტობა აინშტაინის საჯარო ლექციებს თავიდანვე სკანდალებით შეხვდნენ. და ბოლოს გამოიტანენ დადგენილება: ლექციას არ დასწრებოდა არც ერთი არა-სტუდენტი; ამ დადგენილებით გამოცხადდნენ ერთ მორიგ ლექციის დროს. აინშტაინი ავიდა კათედრაზე, სტუდენტობა აურზაურით მოითხოვდა „სტუმრების“ და ურიების განდევნას. აინშტაინმა ითხოვა სიმშვიდე, გაისმა საშინელი ყვირილი, ღრიალი და ძახილი „ძირ'იუდებო“ დიდი მეცნიერის სახე საშინლად მოიკუმშა, შუბლი შეიკრა, მაღალ შუბლზე თმა გადმოეშალა. აიღო თავისი პორთფელი. გავიდა აუდიტორიიდან და მას შემდეგ აღარ ასულა უნივერსიტეტის კათედრაზე.

მოსე გოგიბერიძე.

# უცხოეთის ქრონიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ზოლას პოემები.

გამოვიდა ემილ ზოლას ლირიკული პოემები, რომელნიც ინახებოდენ მის ქვრივთან.

### ანკეტა.

ჟურნალმა „Les Marges" („წიგნის მინდვრები") მოახდინა ანკეტა, მეცხრამეტე საუკუნის შესახებ. აი რამოდენიმე საინტერესო დახასიათება, რომელსაც იძლევა კრიტიკოსი ფაგე მე XIX საუკუნის გამოჩენილ მწერლების შესახებ: შატობრიანი-„ნარცისი-ნერონი"; ლამარტინი-„გედი ბულბულის ტვინით"; მიშლე—ხანშესული ქალწული"; რენანი-„მიშლე უფრო ნაკლები ხარისხის"; ანატოლ ფრანსი-„რენანი-სადისტი"; ვიკტორ ჰიუგო-„მამალმერთი ტარტიუფი".

### ინგლისური რომანი.

აბელ შევალიმ გამოუშვა შრომა: „თანამედროვე ინგლისური რომანი", რომელზედაც მუშაობდა ოცდა ათი წელიწადი. ავტორის ერუდიცია იქედანაც სჩანს, რომ იმას მოყავს ციტატები ხუთას ინგლისურ რომანიდან. ის მიდის დასკვნამდე, რომ ახლანდელი ლიტერატურული ეპოქა ინგლისში არის ეპოქა ატეიზმის, რადგანაც ყველა მწერლები, გარდა კიპლინგისა და კონრადისა, მტრულად არიან განწყობილნი ეკლესიასთან.

### ახალი კათედრა სორბონაში

სორბონაში დაარსდა კათედრა ვიკტორ ჰიუგოს შესწავლისათვის.

### ახალი რომანები

გამოვიდა კარლ ვიდმაიერის რომანი „ბრინჯაოს ღმერთი" იმ ეპოქიდან, როდესაც უნგრეთში ძალა-უფლება ხელში ეჭირათ კომუნისტებს.

გამოვიდა ნიჭიერ ვენის მწერალის ფრიდლ შრეიფოველის რომანი „ანტექრისტე", რომლის მთავარ-მომქმედი პირი არის კომუნისტი-აგიტატორი.

### პროლეტარული პოეტი.

გერმანიის მეტად ნიჭიერ პროლეტარულ პოეტების რიცხვს ეკუთვნის მაქს ბართელსი. 1920 წელში გამოვიდა მისი ლექსების ორი კრებული: „მუშის სული" და „ჩვენ უნდა დავიპყროთ ქვეყანა", სადაც იშლება პროლეტარის პოლიტიკური იდეალები, მისი ზრახვანი და ოცნებანი

### პოეტი ექსპრესიონისტი

ვენაში გამოვიდა მშვენივრად გამოცემული კრებული ლექსების-პოეტის ექსპრესიონისტის მაქს როდენის

### დანტეს თარგმანი

პოეტმა სტეფან გეორგემ სთარგმნა „ღვთაებრივი კომედია" დანტესი გერმანულ ენაზე.

### ოდისეოსის ავტორი.

ინგლისელმა მწერალმა ბატლერმა გამოსცა წიგნი „ოდისეოსის ავტორი", რომელშიდაც ამტკიცებს, რომ ეს პოემა ქალის დაწერ ილია.

### ბერგსონი და ეინშტეინი.

გამოვიდა ანრი ბერგსონის წიგნი: „ხანგრძლივობა და ერთდროულობა და ეინშტეინის თეორია", რომელშიდაც მკაფიოთ და საუცხოვო ფორმაში მოცემულია კრიტიკული განხილვა ეინშტეინის თეორიის. ბერგსონი აძლევს მას ისეთ განმარტებას, რომელიც სრულიად არ ეწინააღმდეგება საღი გონების ტრადიციებს.

### შტეინახი

ბერლინელი ექიმი პ. შმიდტი ჟურნალ „მედიცინის პროგრესში" იძლევა კლინიკურ გამოკვლევათა მიმოხილვას ვენის ფიზიოლოგის შტეინახის გაახალგაზრდავების მეთოდის შესახებ. სხვა და სხვა ოპერაციები იძლევიან ასეთ დადებით შედეგებს:

ფიზიკური ცვლილებები: წონვის მომატება 12 კილოგრამამდე; თმის გაზრდა და პიგმენტების გამრავლება; ფიზიკური ძალის მომატება; მხედველობის და სექსუალურ ფუნქციების გაუმჯობესება.

ფსიქიური ცვლილებები: გონებრივი ინტენსივობის, ინიციატივის, მეხსიერების, თვითშეგნების გამახვილება.

### მზის დაბნელება და ეინშტაინი.

სრული მზის დაბნელება, რომელიც მოხდა 21 სექტემბერს, უფრო ადვილი დასანახავი იყო სამხრეთ და დასავლეთ ავსტრალიაში. თავისი დაკვირვებები მეცნიერებმა მოახდინეს იმ მიზნით, რომ მეცნიერული თვალსაზრისით გაესინჯათ ეინშტეინის შეფარდების თეორია. იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს მზის მიზიდულობის რკალი სინათლის სხივებზე, რომელნიც მოდიან ვარსკვლავებიდან მიწაზე და თავის მსვლელობაში გაივლიან მზის ბურთის ახლოს.

### ვაგნერის „პარსიფალი" პარიზის დიდ ოპერაში.

ვაგნერის ერთი საუკეთესო ნაწარმოები „პარსიფალი" პირველად დაიდგა ფრანგულ სცენაზე იმ გულგრილობის შემდეგ, რომლითაც ფრანგები ხვდებოდნენ საერთოდ გერმანულ ნაწარმოებს და კერძოთ ვაგნერისას.

ეს დადგმა დიდი ოპერის უთუოთ ახალი მიღწევაა მუსიკალურ მსოფლიოში რადგან დიად კომპოზიტორის ნაწარმოებში პარსიფალის როლს ასრულებდა შესანიშნავი არტისტი ფრანცი და უკრავდა 100 კაცისგან შემდგარი ორკესტრი.

### დეკორატორების გამოფენა.

ბევრი ახალი და საინტერესო რამ აჩვენა დგმისა და ხელოვნების გამოფენამ პარიზში. მან დაამტკიცა რამდენად ხალხის გემოვნება გაუბრალოვდა და რომ ლამაზ ფორმებს ნახულობენ არა ნაძალადევ ხაზებში და წარსულ საუკუნეთა რთულ ჩუქურთმებში, არამედ სწორ ხაზებში და სადა ზედაპირში. ეს ახალი ეპოქაა, სადაც ე. წ. „მოდერნი"-ის სტილმა დაიკავა მკვიდრი ადგილი.

### ახალი წიგნები.

ორმა წიგნმა, რომელიც თითქმის ერთდროულად გამოვიდა, დიდი ხმაური გამოიწვია ევროპაში. ესენი არიან ვიქტორ მარგერიტის „La garçonne" და მარსელ პრევოს „დონნა-ჟუანიები". მათში აღწერილია ახალი ფრანგი ქალი, შექმნილი ომით და მისი შედეგებით. ორივე ავტორს გამოჰყავთ ეს ახალი ქალის ტიპი ფრანგი ქალისთვის მეტად არა საპატიო გაშუქებით.

### ფრანგ მხატვრების სალონი.

1923 წლის სალონი მეტად საინტერესოა სკულპტურის ნაწარმოებით. ბევრს და საუკეთესო შრომებს წარმოადგენენ ომის ეპიზოდები. შესანიშნავია მათ შორის პოლ ლანდოვსკის ჯგუფი „ფანტომები", რომელიც გამოხატავს ჯარის-კაცთა ჯგუფს, დარჩენილს იმავე მდგომარეობაში, როგორც მათ მიუსწროთ სიკვდილმა.

პასუხისმგებელი რედაქტორი მ. კახიანი.

გამომცემელი: სახელმწიფო გამომცემლობა.

ფასი 20 კაპ. ჩერვ.